


# ფრანდოზ უმღეკი




## ტურანდოტი ჩინეთის პრინცესა

ტრაგიკომიკური ზღაპარი  
გოცის  
მიხედვით


\*

თარგმანი გერმანულიდან  
ვანტანგ ბეწუკელისა



### მოქმედი პირები

ალტოუმი, ჩინეთის ლეგენდარული იმპერატორი.  
ტურანდოტი, მისი ასული.  
ადელმა, თათრის პრინცესა, ტურანდოტის მხევალი.  
ზელიმა, მეორე მხევალი ტურანდოტისა.  
სკირინა, ზელიმას დედა.  
ბარაკი, 'კარინას ქმარი, წინათ კალაფის სახლთუხუცესი.  
კალაფი, ასტრახანის პრინცი.  
თემური, დევნილი მეფე-ასტრახანისა.  
იზმაილი, სამარყანდის პრინცის მხლებელი.  
ტარტალია, მინისტრი.  
პანტალონი, კანცლერი.  
ტრუფალდინი, საკურისთა ზედამხედველი. \*  
ბრიგელა, დარაჯთა უფროსი.  
სწავლულნი დივანხანისა.  
მონები და მხევალნი სერალისა.



## მოქმედება პირველი

### პეკინის გარეუბანში

ქალაქის უიშვრის ხედი. უჯანა შჩარე'ს მოჩანს რკინის მესრები. რომლებზეც სიმეტრიულად, თითქოსდა დამშვენების მიზნით, ჩალმებიერთაა ჩამოცმული ადაჰიანთა: მოკვეთილი თავები.

### გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

პ რ ი ნ ც ი კ ა ლ ა ფ ი, თათრულ. ოღნავ ფანტასტიკურ სამოსელით, გამოდის ერთ-ერთი სახლიდან. ანავე ღროს ქალაქის უიშვრიდან შემოდის ბ ა რ ა კ ი.

### კ ა ლ ა ფ ი

მადლობა ღმერთებს! მათ განსაჯეს, რომ პეკინშიაც ერთი კეთილი სული ვპოვო!

### ბ ა რ ა კ ი

(სპარსულ სამოსელით შემოდის. შეაჰჩნევს თუ არა კალაფს, გაოცებული უკან დაიხევს)

ვის ვხედავ ამას!

პრინცი კალაფი! ცოცხალია!

კ ა ლ ა ფ ი (იცნობს ბარაკს)

ბარაკ!

ბ ა რ ა კ ი (გაეშურება შისკენ)

ბატონო!

კ ა ლ ა ფ ი

ეს შენ ხარ, ბარაკ? აქ მოსულხარ?

ბ ა რ ა კ ი

კვლავ ცოცხალს გხედავთ?

და აქ, პეკინში!

კ ა ლ ა ფ ი

ჩუმაღ. ბარაკ! არ გამამხილო,  
გაფიცებ ლამას, ერთი შითხარ, აქ როგორ მოხვედი?

ბ ა რ ა კ ი

აღბათ ღმერთების ნება იყო, მე ასე ვფიქრობ,  
რომ ამ ქალაქში ერთმანეთი ჩვენ ისევ ვპოვეთ.  
სწორედ იმ წყევულ, უბედურ დღეს, როცა ვიხილე,  
როგორ გარბოდა ჩვენი ხალხი, შიშით დამფრთხალი,  
ზომელიც მეფეს თბილასისას ვერ გაუმაგრდა,  
ველარ გაუძლო მის იერიშს და უკუიქცა,  
მძიმედ დაჭრილი მეც დავბრუნდი ასტრახანისკენ.  
იქ მე შევიტყვე, რომ ბრძოლაში დაიღუპენით  
თქვენ და თ ე მ უ რ ი, მამათქვენი. ჩემს მწუხარებას.  
ვერ ავწერ ენით; ყველაფერი დავკარგე უკვე.  
და როგორც გიყი, სასახლეში მივეარდი მაშინ,  
რომ დედოფალი, თქვენი დედა, დამეხსნა მაინც,  
მაგრამ ამაოდ ვეძიებდი. ველარსად ვპოვე!  
მტერი კი უკვე ასტრახანში შემოდის...  
სასომიხილი გამოვევარდი კიშკრიდან უცებ.  
ვხეტიალობდი სამი წელი ქვეყნიდან ქვეყნად,  
ყველგან ვეძებდი თავშესაფარს მიუსაფარი,  
ვიდრე ბოლო დროს პეკინში არ ვიპოვე იგი.  
აქ მე ჰ ა ს ა ნ ი ს სახელით და ჩემი ერთგული.

თავდადებული სამსახურით ერთ ქვრივ დედაკაცს  
გული მოვუგე, ახლა უკვე ქმარი ვარ მისი.  
არ იცის, ვინ ვარ, გავასაღე სპარსელად თავი.  
აქ ვცხოვრობ ახლა, სასწრალოა თუმცა ჩემი ხვედრი  
წინანდელ ბედთან შედარებით, მაგრამ ამჟამად  
ბედნიერი ვარ და მდიდარიც, რადგანაც მე თქვენ,  
ჩემი მეფის წულს, ძვირფას კალაფს, რომელიც უკვე  
დიდი ხანია მკვდრად შევრაცხე და დავიტირე,  
ისევ უვნებელს, ისევ ჯანმრთელს და ცოცხალს ვხედავთ,  
მაგრამ ცოცხალი ვით გადაარჩით? აქ როგორ მოხვდით?

### კ ა ლ ა ფ ი

აღარ მიწოდო ეგ სახელი. როს ასტრახანთან  
ბრძოლა წავაგეთ და სანეფოც დაეკარგეთ ამით,  
სასახლისაკენ გავეშურე მამასთან ერთად.  
მსწრაფლ შევგაროვეთ, რაც გადარჩა ძვირფას თვლებიდან,  
და ჩვენ, გლეხურად გადაცმულნი — მე და მშობლები,  
ვხვტილობდით კლდოვან მთებზე და უდაბნოში.  
ჰოი, ღმერთებო, რა ტანჯვა არ გადავიტანეთ!  
კავკასიონის მწვეთის ძირას ავაზაკებმა  
წაგვართვეს განძი და დაგვტოვეს მშვიერ-ტიტვლები.  
ბევრჯერ ვებრძოდით უღვთო შიმშილს, უღმობელ ყინვას  
და ათასნაირ გაჭირვებას, უბედურებას.  
ზურგით მიმყავდა რიგრიგობით მშობლები ჩემი,  
საკუთარ მხრებით მიმიკონდა მე ძვირფასი ტვირთი.  
ძლივს ვაკავებდი ყოველ სათგანს, რომ გამწარებულთ  
მამას სიცოცხლე არ მოესპო თავისი ხანჯლით,  
ხოლო დედაჩემს, მეტისნეტი მწუხარებისგან  
დაუძლურებულს, გზაში სული არ დაელია.  
ასეთი ტანჯვით მოვალწიეთ ქალაქ იაიკს  
და აქ, მეჩეთის კართან ვდგარი, ხელგაშვერილი  
ვთხოვდი მლოცველებს მოწყალებას ლუკმაპურისთვის.—  
ძვირფას მშობელთა სიცოცხლე რომ გადამერჩინა.  
— ისევ დავგატყდა თავს ახალი უბედურება!

თბილისის მეფე. ჩვენი მტერი დაუნდობელი,  
არ დაერწმუნა თურმე ჩვენი სიკვდილის ამბავს  
და ბრძანა: ყველგან მოვეძებნეთ, აღმოვეჩინეთ.  
ის ავალებდა თავის ვასალთ, პატარა მეფეთ,  
ედევნებინათ ჩვენთვის ყველგან ფხიზელი თვალი.  
მართლაც გვისწრებდა ეს ბრძანება ყველა მხარეში,  
მხოლოდ გაქცევით ვალწევდით თავს ჩვენ მის ჯაშუშებს...  
ეჰ, სადა ჰპოვებს თავს ესეფარს დევნილი მეფე!

### ბ ა რ ა კ ი

კმარა, მეფის ძევ! გულს ნიგმირავს სიტყვები თქვენი!  
ღლიერი მეფე ჩავარდნილა გაქირვებაში!..  
მაგრამ მითხარით, ცოცხალია თუ არა იგი?  
ხომ ცოცხალია დედოფალიც?

### კ ა ლ ა ფ ი

ღიახ, ორივე.

იცოდე, ბარაკ, უდიდესი ვაჭირვების ქამს  
თავის ღირსებას ინარჩუნებს ღიადი სული...  
— ჰოდა, ჩვენ ასე მოვაუწიეთ ხორასანამდე  
და იქ, ბალებში თვითონ მეფე ქეიქობადის,  
ვით გლეხმა, მიწის სამუშაოს მოვკიდე ხელი,  
რომ თავი გვეხსნა, შიმშილით არ გავმწყუდარიყავით.  
იქ მნახა ერთხელ მე ადელბამ, მეფის ასულმა.  
მის გულში უცებ ნაზმა გრძნობამ იჩინა თავი  
უცხო, უცნობი, შორით მოსულ მებადის მიმართ.  
არა, ეს გრძნობა არა ჰგავდა სიბრალულს მარტო,  
მიმზერდა იგი სიყვარულით და არ სჯეროდა,  
ამგვარ ხვედრისთვის რომ ვიყავი დაბადებული.  
მაგრამ არ ვიცი, რა ბოროტი განგების ძალამ  
შეიპყრო უცებ, დააბრმავა ქეიქობადი,  
რომ ის ალტოუმს, ძლევა მოსილ ჩინეთის ყაენს,  
თავისი ლაშქრით შეესია, დაუწყო ომი.  
უცნაური ხმა ვრცელდებოდა ამაზე ხალხში,

მე კი გავიგე, მხოლოდ ის, რომ ქეიქობადი  
ომში დამარცხდა, მთლად ამოწყდა იმისი მოდგმა.  
თვითონ ადელმა, მასთან შვიდი ასული მეფის,  
წყალში დაიხრჩვენენ, დაასრულეს სიცოცხლე ასე.  
— ჩვენ კი მაშინვე გავიქევიით სხვა ქვეყანაში  
და ბოლოს, შემდგომ დიდი ხანი ხეტიალისა,  
ბერლს მოვადწიეთ... ჰო, ეე კიდევ რა უნდა მეთქვა?  
ოთხ წელს კურტანი ზურგს მეკიდა, რომ ლუკმაპურის  
ფული მეშოვნა და მერჩინა მშობლები ჩემი.

### ბ ა რ ა კ ი

ნულარ განაგრძობთ! დავივიწყოთ უბედურება!  
აწ ისევ გხედავთ გამარჯვებულს, მდიდრულად ჩაცმულს.  
ბედმა ბოლოს ხომ გაგიღიმათ?

### კ ა ლ ა ფ ი

ღიახ! მისმინე!

ერთხელ ბერლის ხანს გაუფრინდა ქორ-შევიარდენი,  
რომელიც მას სულ ხელზე ეჭდა, უყვარდა ძლიერ;  
მე შევიპყარ და მივუყვანე თვითონ ხელმწიფეს...  
მას გაუხარდა და მაშინვე სახელი მკითხა,  
მე კი მიუუგე: გახლავართქო ლატაკი ვინმე,  
მეკურტნეობით ფულს ვშოულობ და მშობლებს ვარჩენ.  
ეს რომ შეიტყო, თვის ხელქვეითთ უბრძანა წამსვე—  
თავშესათარში გაეგზავნათ დედ-მამა ჩემი...  
(შეჩერდება, შემდეგ განაგრძობს.)

და ახლა, ბარაკ, იქ, ლატაკთა თავშესაფარში,  
იმყოფებიან შენი მეფე და დედოფალი.  
მაგრამ ყოველ წუთს საფრთხე ელით საბრალთ იქაც!  
თუ იცნეს, წამსვე დახოცავენ.

### ბ ა რ ა კ ი

ოჰ, ღმერთო ჩემო!

ხანმა მიბოძა მე ეს ქისა, ოქროთი სავსე,  
 ლამაზი რაში. ეს რაინდის ტანისამოსიც,  
 და ჩემს კაღარა, მოხუც მშობლებს დავემშვიდობე;  
 — მივალ,—შევსძახე,—უნდა ქვეყნად ვეძიო ბედი,  
 და თუ ვერ ვპოვე, აქ ცოცხალი ვერ დავბრუნდები.  
 რა არ იღონეს საცოდავმა მშობლებმა ჩემმა.

რომ დავერჩინე, არ გავეშვი, მაგრამ, როდესაც  
 მე ჩემს სიტყვაზე მტკიცედ დავდექ, უარი ვუთხარ,  
 რაღა არ სცადეს, ისინიც თან გამომყოლოდნენ.  
 ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისინი, მოცულნი შიშით,  
 ჩემს კვალს წამოჰყვენენ, მართლა უკან გამომეკიდონ.  
 ახლა აქა ვარ, თქვენს ქალაქში, უცხოთა შორის,  
 დაშორებული სამშობლოდან ათასი მილით.  
 მე გადავწყვიტე, რომ ვეახლო ჩინეთის ყაენს  
 და მის ლაშქარში ვიმსახურო, ვით ჯარისკაცმა.  
 იქნებ წყალობით გამიღიმოს ბედის ვარსკვლავმა  
 და უკეთესი ხვედრისაქენ გზა გავიკაფო.  
 — არ ვიცი, რასა ზეიმობენ, მთელი ქალაქი  
 უცხოელებით არის სავსე და ვერ შევიძელ  
 აქ რომელიმე ქარვასლასი მოვხვედრილიყავ.  
 პოდა, ამ ქოხში მომცა ბინა ერთმა კეთილმა  
 ქალმა.

ბ ა რ ა კ ი

ის ჩემი ცოლი გახლავთ.

კ ა ლ ა ფ ი

შენი ცოლია?

ბედს დაუმაღლე, რომ ასეთი ცოლი გყოლია.  
 (ხელს გაუწვდის.)

ახლა მშვიდობით, ქალაქისკენ მივეშურები.  
 საკუთარ თვალთ მინდა ვნახო, რას ზეიმობენ,



თავი ერთად რომ მოუყრია უამრავ ხალხსა.  
შემდეგ კი ყაენს წარუდგები და ვთხოვ, წყალობა  
მოიღოს ჩემზე, მიმსახუროს თავის ლაშქარში.  
(წასვლას დააპირებს, მაგრამ ბარაკი შეაჩერებს.)

### ბ ა რ ა კ ი

დარჩით, მეფის ძევ! სად მიდიხართ?—ნუთუ თქვენ ძალგიძთ.  
თვალნი დაიტკბოთ საშინელი სანახაობით?  
ო, მაშ იცოდეთ, რომ პეკინი ასპარეზია  
გაუგონარი, სისხლიანი საქმეებისა.

### კ ა ლ ა ფ ი

მართლა? ეს როგორ?

### ბ ა რ ა კ ი

როგორ? განა თქვენ ჯერ არ იცით,  
რომ ტურანდოტმა, ერთადერთმა ასულმა მეფის,  
თაღხით შემოსა, აატირა ქვეყანა მთელი?

### კ ა ლ ა ფ ი

დიახ, მაგვარი ამბავი მე დიდი ხნის წინათ  
ხორასანშიაც გავიგონე... ხმა დადიოდა,  
რომ უფლისწული, შვილი მეფე ქეიქობადის,  
თურმე გამხდარა საოცარი სიკვდილის მსხვერპლი  
აქ, ამ ქალაქში, და ამანვე გამოიწვია  
ის საშინელი სისხლის ღვრა და ომის ხანძარი,  
ქეიქობადის სამეფოს რომ მოუღო ბოლო.  
მაგრამ ბევრს ლაყბობს სულელი ბრბო, ბევრი რამ სჯერა,  
ჭკვიანი კაცი მის ნათქვამზე იცინის მხოლოდ.  
ამიტომ მითხარ შენ თვითონვე, რაშია საქმე?

## ბ ა რ ა კ ი

დიდი ყაენის ერთადერთი ასული, ვისაც  
სახელად ჰქვია ტურანლოტი, შორად განითქვა  
თავისი ქკუით და წარმტაცი მშვენიერებით,  
რის გადმოცემაც ჯერ ვერ შესძლო ვერც ერთი მხატვრის  
ფუნჯმა, თუმც მისი სურათებით მოფენილია  
მთელი ქვეყანა; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ,  
შეზიზღებია გათხოვება ისე საშინლად,  
რომ თვით მეფენიც, დიდებულნი, ამაოდ დაშვრნენ—  
მისგან თანხმობა ვერ მიიღეს.

## კ ა ლ ა ფ ი

მე მაგ ძველ ზღაპარს  
ქეიქობადის სასახლეში მოვკარი ყური  
და სიცილადაც არ ვიკმარე... მაგრამ განაგრძე!..

## ბ ა რ ა კ ი

არა, ზღაპარი როდი გახლავთ, ბევრჯერ ინება  
ყაენმა თვისი ერთადერთი მემკვიდრე ქალის  
დაქორწინება დიდგვარიან უფლისწულებზე,  
მაგრამ ჯიუტად უარყოფდა ქალწული ყველას;  
მამას კი ისე ბრმად უყუარდა თვისი ასული,  
რომ მასზე ძალის დატანებას ვერა ბედავდა.  
მრავალი მძიმე ომი შეხვდა მას ამის გამო,  
და თუ აქამდე იმარჯვებდა ყველა ბრძოლაში,  
უკვე მოხუცდა, ცალი ფეხი საფლავში უდგას  
და არც მემკვიდრე დარჩენია სამეფო ტახტის.  
ერთხელ მიიხმო მან ასული და უთხრა მკაცრად:  
„ჯიუტო შვილო, ან გაბედე, შეირთე ქმარი,  
ან გამონახე ისეთი რამ საშუალება,  
რომ ამ მუდმივი სისხლის ღვრისგან ქვეყანა იხსნა.  
უკვე მოვხუცდი, ამეკიდა მტრად ბევრი მეფე

შენი წყალობით, რადგან ასე უარპყავ ყველა.  
 რა გზას დავადგე, ერთი მითხარ, მირჩიე რაგმე,  
 შეკავშირებულ მტრებისგან რომ დავიცვა თავი,  
 და შენ კი მერე, როგორც გნებავს, იცხოვრე ისე“.  
 ურჩი ასული ამ სიტყვებზე შეძრწუნდა ძლიერ,  
 ამოდ დაშვრა, დაეძვრინა თავი როგორმე,  
 ველარ უშველა ველარც ცრემლმა, ველარც მუდარამ,  
 ვერ აათრთოლა, ვერ მოალბო გული მშობლისა,  
 თავის სიტყვაზე იდგა მეფე ჭიუტად, მტკიცედ...  
 მაშინ ასულმა ბედშავ მამას მოსთხოვა თურმე...  
 აბა თუ მიხვდით, რას ნოსთხოვდა ალქაჯი მამას?

### კ ა ლ ა ფ ი

ეგ მეც მსმენია. ამ სულელურ ზღაპარზე ხშირად  
 მეცინებოდა; ტურანდოტმა სთხოვაო მამას,  
 დაუყოვნებლივ გამოეცა მკაცრი ბრძანება,  
 რომლითაც ნება დაერთვოდა ყოველ უფლისწულს  
 ქალწულის შერთვის, ერთ პირობას თუ დაიცავდა:  
 ყაენისა და ვეზირების თანადასწრებით,  
 ღია სხდომაზე დივანისა სამ გამოცანას  
 მისცემდა საქმროს ტურანდოტი ამოსახსნელად  
 და თუ სამივეს საქმრო იგი გამოიცინობდა,  
 მაშინ შეეძლო მას მიეღო ქალწულის ხელი,  
 ნეფის გვირგვინიც და სამეფოც ამ ხელთან ერთად.  
 მაგრამ საქმრო თუ ვერ შესძლებდა მათ გამოცნობას,  
 სიკვდილით უნდა დაესაჯათ იგი მაშინვე.  
 ქალწულმა მეფეს სთხოვა თურმე, დაედო აღთქმა  
 ზეცის წინაშე—დაეცვა ეს კანონი მტკიცედ.  
 — სთქვი, ხომ ასეა? დაასრულე ზღაპარი შენი!

### ბ ა რ ა კ ი

ჩემი ზღაპარი? ნეტავ მართლა გისმინოს ღმერთმა  
 და ეს ამბავი მარტოოდენ ზღაპარი იყოს!

ინპერატორი თუმც პირველად უარზე დადგა,  
მაგრამ ის გველმა ხან ალერსით, ხან ცბიერებით  
თანდათანობით დაითანხმა, დაიყოლია  
და გამოსტყუა საშინელი კანონი მოხუცს.  
„განა ისეთი რა მოხდენა?—უთხრა მან მეფეს,—  
არც ერთი პრინცი არ იქნება ისე სულელი,  
თავი გასწიროს სისხლიანი თამაშის მსხვერპლად!  
გაიფანტება საქმროთა ბრბო, შეშინებული,  
შინ წავა ყველა, მე კი ჩემთვის ვიცხოვრებ მშვიდად.  
თუკი აღმოჩნდა ვინმე გიჟი და ეს გაბედა,  
თავს დააბრალოს, შენ საყვედურს ვერავინ გეტყვის,  
რადგან იქნები ამ კანონის აღმსრულებელი.  
მართლაც, გამოსცეს საშინელი. არგაგონილი  
კანონი მყისვე და აცნობეს ყველა ქვეყანას.

(ყალფი თავს აქნევს.)

ნეტავი შენთვის მემამბნა მე მართლა ზღაპარი  
და შემეძლოს ვთქვა: ყველაფერი სიზმრად ვნახეო.

### კ ა ლ ა ფ ი

რაკი შენ მითხარ, მეცა მჯერა, რომ ეგ კანონი  
მართლა გამოსცეს, მაგრამ ნუთუ აღმოჩნდა ვინმე  
ისეთი გიჟი, გაეწირა ამისთვის თავი?

ბ ა რ ა კ ი (მიუთითებს კიშკარზე)

აგერ, შეხედეთ იმ მესრებზე ჩამოცმულ თავებს,  
ეგენი ყველა ეკუთვნოდა იმ უფლისწულებს,  
რომელთ გადადგეს ეს გიჟური ნაბიჯი უკვე  
და თავიანთი აღსასრულიც ამაში ჰპოვეს,  
რადგან ვერ შესძლეს ამოეხსნათ წყეული სფინქსის  
გამოცანები.

## კ ა ლ ა ფ ი

საშინელი სანახავია!

მაგრამ თუ დარჩა კიდევ ვინმე ისეთი გიჟი,—  
ამ საშინელი ურჩხულისთვის გასწიროს თავი?

## ბ ა რ ა კ ი

მაგას ნუ იტყვით! კმარა, ერთხელ იხილოთ თვალით  
მისი სურათი, ახლა ყველგან რომ უჩვენებენ,  
რომ მოხიბლულმა სილამაზის ჯადოსნურ ძალით,  
არას მიხედოთ, სიკვდილს წამსვე ეკვეთოთ მედჯრად,  
ოლონდაც გახდეთ ღვთაებრივი სახის მფლობელი.

## კ ა ლ ა ფ ი

მაგას სულელი თუ ჩაიდენს.

## ბ ა რ ა კ ი

არა. ჭკვიანიც.

აი, დღეს აქეთ მორბის ხალხი თავპირისმტვრევით,  
რადგან უფლისწულს ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ი ს, მსგავსი რომლისაც,  
მისებრ ჭკვიანი ჯერ ამქვეყნად არვის უნახავს,  
ვით დამნაშავეს, ცულით უნდა მოჰკვეთონ თავი.  
ყაენს აძრწუნებს საშინელი მოვალეობა,  
ურჩი ასული კი ამაზე არა სწუხს სულაც.

(შორიდან მოისმის დაფდაფის ხმები.)

გესმით, ბატონო, ეს დაფდაფთა ხმა იუწყება,  
რომ სამარყანდის უფლისწული დასაჯეს უკვე.  
მე ქალაქიდან წამოვედი, რომ არ მენახა  
ეგ საშინელი, შემზარავი სანახაობა.

## კ ა ლ ა ფ ი

გაუგონარი ამბავია ეგ, ჩემო ბარაკ!

წუთუ ნამდვილად შვა ბუნებამ ამგვარი ქალი,  
რომ მის გულს წრფელი სიყვარული არ ეკარება,  
არც გააჩნია სიბრალული არავითარი?

### ბ ა რ ა კ ი

ჩემს დედაკაცს ჰყავს. უფლისწულო, ერთი ასული,  
მხევლად მსახურობს ტურანდოტის ჰარამხანაში.  
ის თავის ლამაზ დედოფალზე დაუჭერებელ  
ამბებს გვიყვება. ტურანდოტი, როგორც ის ამბობს,  
ვეფხვივით მკაცრი არის მხოლოდ. საქმროთა მიმართ,  
დანარჩენებს კი გულკეთილად ექცევა თურმე.  
ეგაა მხოლოდ, რომ ძალიან ამაყი გახლავთ.

### ქ ა ლ ა ფ ი

ჯოჯოხეთის ღრმა უფსკრულშიაც დანთქმულა დღესვე  
ბუნების ცივი, საშინელი უგულო შვილი,  
რომელსაც მხოლოდ თავის თავი შეჰყვარებია.  
მამამისი რომ ვიყო, ახლავ ცეცხლში დაწვევდი  
მაგ ჯადოქარსა.

### ბ ა რ ა კ ი

იზმაილი მოდის აქეთეენ—  
პრინცის ერთგული მეგობარი, — ცრემლმორეული,  
გულდათუთქული თავის ძმობილს დასტირის მწარედ.

### ზ ა მ რ ა ხ ვ ლ ა მ მ რ ა კ ა

იზმაილი და იგივენი.

იზმაილი

(ხელს ართმევს ბარაკს ქვითინით)

გათავდა უკვე, აღარ არის იგი ცოცხალი.

აჰ, რატომ ამ თავს არ დაეცა ჯალათის ცული!

### ბ ა რ ა კ ი

ოჰ, ღმერთო ჩემო! მაგრამ რატომ მიეცით ნება,  
რომ ღივანის წინ ამ საფრთხეში ჩაეგდო თავი?

### ი ზ მ ა ი ლ ი

მაგ საყვედურსაც ვიმსახურებ მე უბედური!  
სულ ვაფრთხილებდი, ვაფიცებდი, ვევედრებოდი,  
ვით ჩემი ვალი, გული ჩემი მიკარნახებდა.  
მაგრამ ამაოდ. — არ უსმინა მეგობრის რჩევას  
და ბედისწერამ თავის გზაზე გაიყოლია.

### ბ ა რ ა კ ი

გეყოთ, დამშვიდდით!

### ი ზ მ ა ი ლ ი

არა, არა, რა დამამშვიდებს!

საკუთარ თვალთ ვნახე, როგორ დასაჯეს იგი,  
მისი სიკვდილის მოწმე გავხდი მე უბედური!  
ბასრ ხანჯლებივით გულს დანესვენ განშორების ჟამს  
მისი სიტყვები სამუდამო ვამოთხოვების:  
„ნუ სტირი!“—მითხრა: „სიკვდილს ვხვდები დამშვიდებული,  
რაკი ძვირფას გულს, მეგობარო, ვერ დავეუფლე.  
ნუ განრისხდება მამაჩემი, ვთხოვ, მომიტევოს,  
რომ წამოსვლის წინ ვერ ვნახე, ვერ გამოვეთხოვე,  
არ გამიშვებდა, ვიცოდი, ამ სიკვდილის გზაზე!  
უჩვენე მამას ეს სურათი!

(უბიდან ამოიღებს პატარა პორტრეტს.)

როს ამ მშვენიერებას

თვალთ იხილავს, უბედურ შვილს შეუნდობს წამსვე“.  
და მან ბაგენი დააკონა ამ წყეულ სურათს,  
დაჰფარა იგი ცრემლებით და ვნებიან კოცნით.  
ზოლოს კი მუხლი მოიყარა და... ე რ თ ი დარტყმით, —  
ახლაც კი მზარავს და ტვინს მირყევს ეს მოგონება, —  
ვნახე, იფეთქა სისხლმა უცებ, დაეცა ტანი  
და პირქუშ ჯალათს ხელში შერჩა ძვირფასი თავი.  
სასომიხდილი გავეცალე იქაურობას.

(განრისხებული ძირს დაანარცხებს სურათს.)

ასგზის წყეულო, საზიზღარო სურათო, ახლა  
ეგდე ამ მტვერში გათელილი, შეჩვენებული! (ფეხით შესდგება.)  
ნეტავი ასე ის ძუ ვეფხვიც გამაქეღვინა!  
ვითომ მეფესთან მიგიტანო შენ განსასჯელად?  
არა, სამარყანდს ვერასოდეს ვიხილავ თვალთ.  
უნდა გავიქრე უდაბნოში სულ მარტოდმარტო  
და იქ, სად ვერვინ ვერ მოისმენს ჩემს მწარე მოთქმას,  
ჩემი ძვირფასი უფლისწული ვიგლოვო მარად.

(გადის.)

### გამოსვლა მესამე

კ ა ლ ა ფ ი      და      ბ ა რ ა კ ი.

ბ ა რ ა კ ი (პაუზის შემდეგ)

ხომ მოისმინეთ, უფლისწულო?

კ ა ლ ა ფ ი

მთლად დაბნეული  
ვდგევარ, აღსავსე შიშითა და განცვიფრებითა.  
მაგრამ ვით ძალუძს ამ უსულო ქმნილებას მხატვრის  
მოაჯადოვოს, დააბრმავოს ამდენი ხალხი?

(დააპირებს სურათის აღებას.)



## ბ ა რ ა კ ი

(სასწრაფოდ მივარდება და შეაჩერებს)

დიდო ღმერთებო!.. რასა შვრებით!

კ ა ლ ა ფ ი (ღიმილით)

მინდა სურათი

ხელში ავიღო, მსურს შევხედო მომაკვდინებელ  
მშვენიერებას.

(ხელს დასტაცებს სურათს და აიღებს.)

ბ ა რ ა კ ი

(არ აძლევს საშუალებას, რომ სურათს შეხედოს)

უფლისწულო, ბევრად გიჯობდათ,  
უვალით გეხილათ საშინელი მეღუზას თავი,  
ვიდრე ეს სახე დაგენახათ, თვითონ სიკვდილის  
მაუწყებელი. შორს ისროლეთ! არ გაძლევთ ნებას!

კ ა ლ ა ფ ი

ჩანს, სრულ კვებაზე ალარა ხარ, რა დაგემართა?  
შენ თუ იმედი ალარა გაქვს შენივე თავის  
და სისუსტეს გრძნობ, ამისი მე არ მეშინია.  
ველარ მოხიბლავს თვალებს ჩემსას ქალის მშვენიება,  
ვერ დამიმონებს, მით უმეტეს ამ ერთი წამით.  
ჩემთან ცოცხალი სილამაზე ვერაფერს გახდა  
და ნუთუ უფრო მეტი ძალუძთ უსულო ნაკვებებს?  
ამაოდ შიშობ, ჩემო ბარაკ, — სასიყვარულო  
ამბებვისათვის ჩემს გულს უკვე არა სცალია.  
(სურს შეხედოს პორტრეტს.)

ბ ა რ ა კ ი

მაინც გაფრთხილებთ, უფლისწულო, ნუ იზამთ მაგას!

კ ა ლ ა თ ი (მოთმინებიდან გამოსული)

კმარა, გეყოფა! შენ მაგითი მე შეურაცხმყოფ.

(ხელსა ჰკრავს ბარაკს, სურათს უტყერის განცვიფრებით, გონს ვერ მოსუ-

ლა. რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ)

რას ეხედავ ამას!

ბ ა რ ა კ ი (სასწრაფოთილი ხელებს იფშენეტს)

ვანი ჩემს თავს! უბედურება!

კ ა ლ ა თ ი (ფიცხლად სტაეებს ხელს ხელზე)

ბარაკ!

(სურს განაგრძოს საუბარი, მაგრამ შეხედავს სურათს და კვლავ  
გაშტერებით ათვლიერებს.)

ბ ა რ ა კ ი (თაქსთის)

დმერთებო, თქვენ ხომ ხედავთ, რა უბრალო ვარ,  
რა ვქნა, ვერაფრით დავუშალე, ვერ შევეძელ...

კ ა ლ ა თ ი

ბარაკ!

ვისაც ეკუთვნის ეს თვალეზი, ასე ლამაზი,  
ღვთიური სახე და ნაკვთები. ესოდენ ნაზი,  
ვით ძალუძს ჰქონდეს, როგორც ამბობ, სასტიკი გული!

ბ ა რ ა კ ი

ო, ეს რა მესმის, უბედურო! თვით ტურანდოტი  
არის ათასგზის მშვენიერი, ლამაზი უფრო,  
ვიდრე სურათი, რომელიც თქვენ გიპყრიათ ხელში!

უძლური არის მის წინაშე ხელოვნის ფუნჯი;  
მაგრამ სიმკაცრეს, სიჯიუტეს მისი გულისას  
ვერ აღწერს ენა, ვერ გადმოსცემს ვერც ერთი სიტყვა.  
შორს გადისროლე ეგ წყეული სურათი ახლავ,  
რომ მისგან გესლი საშინელი, მომაკვდინები,  
არ შეიწოვონ, უფლისწულო, თქვენმა თვალებმა.

## ქ ა ლ ა ფ ი

თავიდან მომწყდი! ჩემთან სიტყვებს ამაოდ ხარჯავ!  
ციური სახე! ანთებული ბაგენი ვნებით!  
თვალები, მსგავსი სიყვარულის ქალღმერთის თვალთა!  
ო, რა ზეციურ ნეტარებას იგემებ მართლაც,  
რომ დაეუფლო ამ მომხიბლავ მშვენიერებას!  
(ისევ თავდავიწყებით უცქერის სურათს, შემდეგ უეცრად მიუბრუნდება  
ბარაკს და ხელზე სწევდება.)

მისმინე, ბარაკ! — ან ახლა და ან არასოდეს!  
დრო დადგა უკვე, უნდა ვცადო აწ ჩემი ბედი.  
რისთვის ვათრიო საძულველი სიცოცხლე ჩემი?  
უნდა ახლავე ე რ თ ი დაკვრით ჩავიგდო ხელთა  
ულამაზესი ქალიშვილი მთელს ქვეყანაზე  
და მასთან ტახტიც, ან ე რ თ ბ ა შ ა დ მოვუღო ბოლო  
ესდენ საძულველ, გაძალღებულ ცხოვრებას ჩემსას.  
ო, საწინდარო ჩემი დიდი ბედნიერების,  
ტკბილო ნუგეშო, აჰა, შენი ახალი მსხვერპლი  
მზად არის უკვე საშინელი გამოცდისათვის.  
შენ დამიფარე! — ოლონდ ესაც მითხარი, ბარაკ,  
როს წარვუდგები დივანხანას, ვიდრე მომკლავენ,  
ამ სილამაზის პირველსახეს ხომ ენახავ თვალით?  
(ამ დროს ჰიშკრის თავზე გამოჩნდება საშინელი ნიღაბი ჯალათისა, რომე-  
ლიც რკინის მესერზე აცვამს ახალ თავს. გასმის დაფდაფთა ხმები.)

## ბ ა რ ა კ ი

აგერ, შეხედეთ, უფლისწულო, და ძრწოდეთ შიშით.  
ეგ არის თავი უბედური ახალგაზრდისა,  
გაშტერებით რომ შემოგცქერით!.. და ის ხელები,  
ახლა რომ თავი ჩამოაცვეს, გელიან თქვენცა.  
უკან დაბრუნდით, გვედრებით! ჯერ ვერვინ შესძლო,  
ვერც თქვენ ამოხსნით გამოცანებს იმ ძუ ლომისას.  
მე უკვე ვხედავ თქვენს ძვირფას თავს, ხელმწიფის შვილო,  
ვით ნიშანს, ყველა ახალგაზრდის გამაფრთხილებელს,  
ჩამოცმულს აქ, ამ კიშკრის თავზე, საშინელ რიგში.

## კ ა ლ ა ფ ი

(დაფიქრებითა და სიბრალულით უტყერის ჩამოცმულ თავს)  
საბრალო ყრმაო, დაღუპულო! რა ბნელი ძალა  
მიწვევს მე ასე საიდუმლოდ, განურინებლად,  
რომ შენს მაგალითს მივბაძო და გამოგყვე კვალზე.  
(ჩაფიქრდება, შემდეგ მიუბრუნდება ბარაკს.)

ცრემლს რატომ აფრქვევ, ჩემო ბარაკ? შენ ერთხელ უკვე  
ხომ დამიტირე, როგორც მკვდარი? მაშ მოდი, მოდი,  
არავის უთხრა, თუ ვინცა ვარ, არც ერთ სულიერს,  
ვინ იცის, იქნებ გამიღიმოს აწ ჩემმა ბედმა,  
იქნებ განგებამ გამარჯვება მარგუნოს წილად  
და ნუგეში სცეს ჩემს საცოდავ, საბრალო მშობლებს.  
თუნდაც დავმარცხდე, — რას დავკარგავ ბოგანო ამით?  
და თუ მივხვდი მის გამოცანებს, არ დავივიწყებ  
სიყვარულს შენსას, გადავიხდი... მშვიდობით, ბარაკ!  
(წასვლას დაპირებს, მაგრამ ბარაკი არ უშვებს, ამ დროს სახლიდან გამო-  
დის სკირინა, ბარაკის ცოლი.)

## ბ ა რ ა კ ი

არასდიდებით არ გაგიშვებთ! მიშველე, ქალო!  
ძვირფას უცხოელს წასვლა ნებავეს, ჩვენი აღქაჯის

გამოცანების გამოცნობას აპირებს იგი.  
დაიღუპება, არ გაუშვა, გზა გადუღობე!

### გამოსვლა მერთხე

ს კ ი რ ი ნ ა    და    ი გ ი ვ ე ნ ი.

ს კ ი რ ი ნ ა (გზას გადაუღობავს)

ო, ეს რა მესმის? სად მიდიხართ, ჩემო სტუმარო?  
ასეთი ნორჩი, ახალგაზრდა რამ გაიძულათ,  
თქვენივე ნებით სასიკვდილოდ რომ მიისწრაფით?

კ ა ლ ა ფ ი

აი სურათი ქალღმერთისა, ბედისკენ მიხმობს,  
ჩემო. კეთილო დედობილო!  
(უჩვენებს სურათს.)

ს კ ი რ ი ნ ა

ვ ა გ ლ ა ხ, რ ა ს ვ ხ ე დ ა ვ !  
· ვით ჩაუვარდა ეგ წყეული სურათი ხელში?

ბ ა რ ა კ ი

შემთხვევით ნახა.

კ ა ლ ა ფ ი (ჩადგება მათ შორის)

ჩემო ჰასან! ჩემო სკირინა!  
ასე გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის  
გიტოვებთ ჩემს რაშს და ამ ქისას, ოქროთი საესეს.  
ამ ქისაშია მთელი ჩემი ავლადიდება;  
მაგრამ მე იგი არ მკირდება ამიერიდან:

ან დავბრუნდები ყაენივით გამდიდრებული,  
ანაც ვერასდროს ვერ მიხილავთ, ძვირფასნო, ცოცხალს!  
გნებავთ, ნაწილი ამ ქონების შესწირეთ ღმერთებს,  
ხოლო ნაწილი ღარიბ-ღატაკთ დაუფრიგეთ, რომ  
ზეცას შესთხოვონ, — გამარჯვება მარგუნოს წილად.  
ახლა მშვიდობით!.. უნდა მივყვე მე ბედის ძახილს.  
(ისწრაფვის ქალაქისკენ.)

### .გამოსვლა მესამე

ბ ა რ ა კ ი   და   ს კ ი რ ი ნ ა .

ბ ა რ ა კ ი (სურს უკან გაედევნოს )

ჩემო ბატონო!.. აღარ მისმენს, წავიდა იგი!

ს კ ი რ ი ნ ა (ცნობისმოყვარეობით)

შენი ბატონი? მაშ იცნობ მაგ დიდებულ ჰაბუკს,  
სიკვდილს მსხვერპლად რომ ეწირება? ვინ არის, მითხარ!

ბ ა რ ა კ ი

ნუ ხარ, სკირინა, ასე ძლიერ ცნობისმოყვარე!  
ერთს გეტყვი მხოლოდ: მას ბედისგან გამოჰყოლია  
ზეგარდმო ნიჭი, დიდებული, ნათელი ჭკუა  
და ამის გამო არ ვეძლევი სასოწარკვეთას.  
მოდი, ეს ოქრო, რომელიც მან ჩვენ დაგვიტოვა,  
და ყოველივე, მეგობარო, რაც გაგვაჩნია,  
ღმერთებს შევწიროთ, ვუწყალობოთ ღარიბ-ღატაკებს,  
რომ ტანჯულებმა მისი თავი ცას შეავედრონ,  
საკურთხევლის წინ მუხლმოყრილნი იდგნენ მანამდე,  
ვიდრე ღმერთები მათს ვედრებას არ შეისმენენ.  
(შედიან თავიანთ სახლში.)

## მოქმედება მეორე

დივანხანის დიდი დარბაზი

ორი კართ, რომელთაგან ერთი იმპერატორის  
ოთახში გადის, მეორე კი პრინცესა  
ტურანდოტის სავანეში

გამოსვლა პირველი

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი, საქურისთა უფროსი, სცენის შუაგულში დგას და  
ბრძანებას აძლევს თავის შავკანიან მონებს, რომლებიც დარბაზს ალაგებენ.  
ოტა ხნის შემდეგ ბ რ ი გ ე ლ ა.

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

ჰე, გაინძერით, საქმეს ცოცხლად მოჰკიდეთ ხელი!  
თავს მოიყრიან აქ ახლავე დივანის წვერნი.  
ჩქარა დააგეთ ხალიჩები, ტახტები დადგით!  
მარჯვენა მხარეს დაბრძანდება იმპერატორი,  
მარცხნივ—პრინცესა ტურანდოტი.

ბ რ ი გ ე ლ ა

(შემოდის და გაოცებული იცქირება აქეთ-იქით)

რა ამბავია,

ტრუფალდინ, ჩემო მეგობარო, ერთი მითხარით,  
რომ ამნაირი ფაციფუცით რთავთ დივანხანას?

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

(ბრიგელას ნათქვამს არც უსმენს, ზანგებს)

რვა სავარძელი იქით დადგით მეცნიერთათვის,

თუმც არაფერზე დასკირდებათ მათ დიდი დავა,  
მაგრამ ისინი, წესისამებრ, აქ უნდა ისხდნენ,  
ვით სწავლულები, თავიანთი გრძელი წვერებით.

ბ რ ი გ ე ლ ა

ნუთუ არ მეტყვიოთ, რისთვის გინდათ ეს ყველაფერი?

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

რისთვის? იმისთვის, რომ ხელმწიფემ და ტურანდოტმა,  
ჩემმა ლამაზმა დედოფალმა, იმათთან ერთად  
რვა მეცნიერმა და სასახლის დიდებულებმა  
უნდა ახლავე მოიყარონ აქ თავი ერთად,  
რადგან გამოჩნდა კვლავ ახალი გულადი საქმრო,  
რომელსაც, თავი რომ აბია, აწუხებს თურმე.

ბ რ ი გ ე ლ ა

რას ამბობთ! ჯერ ხომ არ გასულა სამი საათიც  
იმის შემდეგ, რაც უკანასკნელს მოჰკვეთეს თავი!

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

მადლობა უფალს! ჩვენი საქმე კვლავ კარგად მიდის!

ბ რ ი გ ე ლ ა

ნუთუ ამაზე ხუმრობთ კიდევ, უგულო კაცო!  
ნუთუ გახარებთ ეს სისხლის ღვრა ბარბაროსული?

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

რატომ არ უნდა მახარებდეს? ყოველთვის, როცა



გაამგზავრებენ ახალ საქმროს საიქიოსკენ,  
ჩემი ზეიმი დგება ხოლმე... როს ტურანდოტი  
გასცურავს მშვიდად საქორწინო კლდეებთან, მყისვე  
გვიმართავს იგი ქორწინების აღმნიშვნელ ნადიმს.  
ეს არის ჩვენი ჩვეულება, მას აღარ შეეცვლით.  
ყოველი თავი ამ გადახდილ ნადიმსა ნიშნავს.

### ბ რ ი გ ე ლ ა

რა სულმდაბალი, რარიგ უღვთო ანგარიშია,  
ჩანს, სულიც შავი, მაგ სამოსის ფერი გქონიათ.  
საქურისს მართლაც არც არავინ სთელის ნამდვილ კაცად,  
რადგანაც ნამდვილ ადამიანს კაცური გული  
უფეთქავს მკერდში და ამიტომ გრძნობს სიბრალულსაც.

### ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

რა? სიბრალული? უფლისწულებს ვინ ეხვეწება,  
რომ თავებს ხელში გვაჩეჩებენ? თვითონ არიან  
ასე ბრიყვები, სულელები, ჭკვადამთხვეულნი,  
თორემ პეკინის ჭიშკრის თავზე მოჭრილ თავებით  
გარკვევით არის დაწერილი და ყველას ძალუძს  
ამოიკითხოს, აქ მომსვლელებს რა ბედიც ელით.  
თავს არვის ვართმევთ, ვისაც მართლა აბია იგი,  
აქ მარტოოდენ უთავონი მოისწრაფიან.

### ბ რ ი გ ე ლ ა

მშვენიერი რამ მოიგონეთ! უფლისწულები  
პატივსა გდებენ, ტურანდოტის ცოლად შერთვა სურთ,  
თქვენ კი მათ აძლევთ ასახსნელად სამ გამოცანას  
და თუ მაშინვე ვერ ახსნიან, თავს მოჰკვეთთ ხოლმე!

აგრე არ გახლავს, მეგობარო! ამაზე კარგს რას  
 მოვიფიქრებდით?! — ქალის თხოვნა ყოველ კაცს ძალუძს,  
 მასზე ადვილი ქვეყანაზე არაფერია.  
 მოხვალ, ვით საქმრო, და სხვის ხარჯზე ნებივრად ცხოვრობ,  
 მოიკალათებ სასიამამროს ოჯახში თბილად...  
 ბევრი ქაბუკი, აზნაური მოხეტიალე,  
 თვისი ქონება ქვეყანაზე ქისით რომ დააქვს,  
 მოდის ჩვენთან და წლიდან წლამდე უარით ცხოვრობს.  
 ჰოდა, პრინცესა ტურანდოტის ხელის მთხოვნელთა  
 თავშესაფარად გადაიქცა სასახლე ჩვენი,  
 რადგან თავის თავს ღირსად თვლიდა ყოვლად უღირსიც.  
 რომ მშვენიერი ასულისთვის ეთხოვა ხელი.  
 თითქოს უფასო კომედიას ვმართავდით, სადაც  
 ყველას შეეძლო უკითხვად შემომძვრალიყო,  
 ვიდრე თავში არ მოუვიდა პრინცესას აზრი,  
 განუწყვეტელი სტუმრობისგან სასახლე ეხსნა.  
 ...სხვა მის ადგილას გაგზავნიდა თაყვანისმცემლებს  
 მძიმე, სისხლიან საქმეების აღსასრულებლად,  
 რომ უზარმაზარ გოლიათებს შებრძოლებოდა  
 ან ბაბილონის შაჰისათვის, როცა ის სუფრას  
 მიუჯდებოდა, ამოეძრო სამი საძირე  
 კბილი ისეთი სიფრთხილით, რომ მას ვერც გაეგო.  
 ზოგიერთებს კი იგი ალბათ დაავალებდა,  
 შორი ქვეყნიდან მოეტანათ მომღერალი ხე  
 და მოცეკვავე წყალი—წყალი უკვდავებისა,  
 ან მოეყვანათ მოსაუბრე ფრინველი მისთვის.  
 არავითარი ამის მსგავსი! გამოცანები  
 ისურვა მხოლოდ, თავიდანვე მოსწონდა ძლიერ...  
 მხოლოდ სამ კითხვას, შესანიშნავ სამ გამოცანას  
 მისცემს პრინცესა ტურანდოტი ხელის მთხოვნელსა.  
 ქაბუკს კი ძალუძს მშვიდად იჯდეს თბილსა ოთახში,  
 არა სჭირდება ფეხის გადგმა შინიდან გარეთ,  
 არც ქარქაშიდან ამოდება ფხიანი დაშნის,

მხოლოდ მახვილი ჭკუა არის საჭირო მისთვის.  
ღიახ, ბრიგელა! მეფის ასულს ეს კარგად ესმის  
და ხერხიც ჰპოვა სულელ ყრმათა გასაცურებლად.

### ბ რ ი გ ე ლ ა

ხომ შეიძლება, რომ მამაცი რაინდი იყო,  
ამასთან ქმარიც—ღირსეული, პატიოსანი,  
გამოცანების ამოხსნა კი ვერ შესძლო მაინც?

### ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

ხომ ხედავ. ჩემო მეგობარო, მეფის ასული  
რა პატიოსნად, რა კეთილად ეპყრობა საქმროთ,  
რომ გამოცანებს ეუბნება ქორწინებამდე,  
თორემ მის შემდეგ უფრო ცუდი გამოვიდოდა.  
ახლა კი საქმრო, თუ საჩივეს ვერ გამოიცნობს,  
თავისუფლდება ყოველგვარი საზრუნავისგან.

### ბ რ ი გ ე ლ ა

რა სულელი ხართ, ლაპარაკიც არა ღირს თქვენთან.  
მას შეუძლია მოიგონოს გამოცანები,  
ჭკვამახვილობა თუკი ასე ღიდად იტაცებს,  
მაგრამ თავებს რომ აგდებინებს იმ უფლისწულებს,  
რომელთა არ ჰყოფნით ჭკუა, აზრი მათს მისახვედრად,  
ეს ხომ სიგიჟე, სისულელე, მხეცობა გახლავთ.  
სად გაგონილა კაცს იმიტომ მოაქრა თავი,  
რომ ის მძიმეა, მოუქნელი, მიუხვედრელი?

### ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

შე ბატის ტვინა! ვით შეეძლო ხელმწიფის ასულს  
გადარჩენოდა იმ სულელებს, რომელთაც თავი  
ძალზე ჭკვიანად მოჰქონდათ და საქმე კი იმით

თავდებოდა, რომ სირცხვილს სკამდნენ დივანის წინა?  
მათ რომ სცოდნოდათ, უვნებელნი გადავრჩებითო,  
აბა მითხარი, მაშინ ვინლა შეშინდებოდა,  
ვის შეაკრთობდა მარტოოდენ გამოცანები?  
მაშინ პირდაპირ მომხიბვლელი შეიქნებოდა  
მათი მოსმენა, განა ასეთ საფრთხობელ რამედ!  
თუნდაც ტურანდოტს და მის მზითევს ვერ მოეხიბლა,  
ისინი მაინც მოვიდოდნენ სასახლის კარზე  
გამოცანების ასახსნელად, რადგანაც ყველას  
ჰკვამახვილობა და საამო ენამჰკვერობა  
უფრო იტაცებს, ვიდრე ქალი ულამაზესი.

### ბ რ ი გ ე ლ ა

მაგრამ რა ყრია მაგ თამაშში ბოლოს და ბოლოს?  
ასე ხომ იგი შინ იჯდება გაუთხოვარი?  
არც ერთი კაცი — გონიერი, ჰკვამახვილოფელი  
ამ საშინელი ეკლისაკენ ხელს არ გაიწვდის.

### ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

უქმროდ დარჩენა არის დიდი უბედურება!  
(შორიდან მოისმის მარშის ხმა.)

### ბ რ ი გ ე ლ ა

ინჰერატორი მობრძანდება.

### ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

ნე კი მივდივარ ტურანდოტის წამოსაყვანად.  
(გადიან სხვადასხვა მხარეს.)  
ახლავე გასწით!

## გამოსვლა მეორე

ჭარისკაცთა და მემუსიკეთა პროცესია. მათ მოსდევს რვა სწავლული, რომელთაც პედანტური შესახედაობა აქვთ; ამათ კი პანტალონი და ტარტალია, მათთვის დამახასიათებელ ნიღბებში, ბოლოს შემოდის დიდი ყაენი ალტო უმი ჩინური ტანსაცმლით. პანტლონი და ტარტალია დადგებიან იმპერატორის ტახტის პირდაპირ, რვა სწავლული სცენის სიღრმეში მოთავსდება, დანარჩენი ამაღლა კი იმ მხარეს განლაგდება, სადაც იმპერატორის ტახტი დგას. იმპერატორის შემოსვლისას ისინი პირქვე დაემხობიან და ამ მდგომარეობაში დარჩებიან მანამდე, ვიდრე იგი ტახტზე არ ავა. სწავლულნი მათთვის განუეთენილ სავარძლებს დაიკავებენ. პანტალონის ნიშნებისთანავე მუსიკა დადუმდება.

### ალტო უმი

როდის იქნება, სთქვით, ერთგულნო მსახურნო ჩემნო,  
ბოლო მოელოს ტანჯვას ჩემსას, ჩემს მწუხარებას?  
ჯერ სამარყანდის უფლისწული არ დაგვიმარხავს,  
არ შეგვეშრობია ცხელი ცრემლი დალუპულ ყრმაზე,  
რომ კვლავ ახალი მსხვერპლი მოდის ჩვენსკენ უშიშრად,  
რაც ჩემს დაქრილ გულს ახალ-ახალ ჭრილობებს უჩენს.  
გულქვა ასული ქვეყნად იშვა ჩემს სატანჯველად!  
რადას მიშველის, აწ რომ ვწყევლი იმ დღეს და საათს,  
როდესაც ხელი მოვაწერე ამ მხეცურ კანონს  
და აღთქმა დავდე მისი მტკიცე აღსრულებისა.  
მე ვერ დავარღვევ აღთქმას ჩემსას, უღმობელია  
ჩვენი პრინცესა, სასიძონი კი უშიშარნი!  
არავის ძალუძს, ამ საქმეში მირჩიოს რამე!

### პანტალონი

აბა რას გირჩევთ, ხელმწიფეო, მე რას გიშველით?  
ჩვენს ქრისტიანულ ქვეყანაში როდია ასე.  
ძვირფას, მშობლიურ, ჩემს საყვარელ ვენეციაში  
არ გამოსცემენ ასეთ სასტიკ, სისხლისმღვრელ კანონს

და არც ყოფილა იქ შემთხვევა ამისი მსგავსი,  
არ მოუხიბლავს ქალის სურათს ვაჟკაცი ისე,  
რომ მისთვის მსხვერპლად შეეწირა თავისი თავი.  
ჩვენში ისეთი ქალწულები ჯერ არ შობილან,  
ვით ეს კაჟგულა ქალიშვილი, რომ ყველა ყრმისთვის  
უარაი ეთქვათ... დაგვიფაროს მალაღმა ღმერთმა!  
ასეთი რამე ძილშიაც არ დაგვისიზმრებია.  
როცა ჯერ კიდევ სამშობლოში ვიმყოფებოდი,  
ქაბუკობისას, ესე იგი, მანამდე, ვიდრე  
არ დავტოვებდი ჩემს ქვეყანას ღუელის გამო, —  
და მართლაც უნდა ვუმაღლოდ ბედნიერ ვარსკვლავს,  
რომ აქ მშვიდობით მოვალწიე, სამეფო კარზე,  
სადაც ხელმწიფევ, აწ კანცლერად გემსახურებით, —  
მე თქვენს ჩინეთზე არაფერი ვიცოდი მაშინ.  
ახლა კი, მეფევ, მეტისმეტად მაკვირვებს თქვენი  
ზნე-ჩვეულება საოცარი, აღთქმები მტკიცე,  
ეს სისხლისმღვრელი კანონები, ასეთი მკაცრი,  
და ჟინიანი ქალები და ვაჟბატონები.  
ეს ამბები რომ ევროპაში მოვუყვებ ვინმეს,  
არ დამიჯერებს, ჩემს ნათქვამზე დაიწყებს ხარხარს.

## ა ლ ტ ო უ მ ი

ნახეთ ის გიჟი, ტარტალია?

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა

დიახ, ხელმწიფევ.  
მას უჭერია სწორედ ის ფრთა თქვენი სასახლის,  
საცხოვრებლად რომ სთავაზობენ უცხოელ პრინცებს.  
მთლად მოვიხიბლე უფლისწულის სილამაზითა,  
მისი მეფური მიხვრა-მოხვრით, სიტყვა-პასუხით;  
ცოდვია, ცოდვა, ახალგაზრდა სიცოცხლე მისი  
რომ შეეწიროს უღმობელი ჯალათის ნაჯახს.  
გული მისკდება, როცა კი ეს გამახსენდება.

ღმერთს გეფიცებით, არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში  
ჭაბუკი მისებრ ლამაზი და კეთილშობილი.

### ა ლ ტ ო უ მ ი

წყეულო აღთქმავ! საშინელო, გულქვა კანონო!  
— შესწირეთ უკვე ღმერთებს მსხვერპლი შესაფერისი,  
რომ მათ ბედშავი ყრმის გონებას მოჰყვინონ შუქი  
და გამოცანის გამოცნობა გაუადვილონ?  
ეჰ, თუმც ამ იმედს არასოდეს აღარ ვენდობი!

### პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

არ დაგვიზოგავს, მბრძანებელო, გაღება მსხვერპლის!  
სამასი ხარი შეგწირეთ ჩვენ ციურ ღვთაებას,  
სამასი ცხენი — დიდებულ მზეს, ბრწყინვალე მნათობს,  
ხოლო მთვარეს კი, ლამის გუშავს — სამასი ღორი.

### ა ლ ტ ო უ მ ი

უხმეთ სასიძოს, გამოცხადდეს ახლავე ჩვენთან.

(ამალის ნაწილი გაღის.)

უნდა ვეცადოთ, რომ გადათქვას განზრახვა თვისი.  
და თქვენ, მნათობნო დივანისა, შემეწინით  
თქვენი ღრმა სიბრძნით, ჩემს მაგიერ ილაპარაკეთ,  
რომ, თუ ტკივილი, მწუხარება ენას წამართმევს,  
დასკვნებში ვიქნეთ შეუმცდარნი.

### პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

უდიდესობავ!

როდი დავზოგავთ ცოდნასა და ენამკვევრობას,  
რაც ჩვენ შეგვიძინა ამდენი წლის გამოცდილებამ.  
მაგრამ რას გვარგებს? ლაპარაკით დავიღლით ენას,  
ის კი გაიწვდის, ვით მამალი, თავს მოსაქრელად.

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა (პანტალონს)

ნება მიბოძეთ, გაგიბედოთ წინააღმდეგი.  
პრინცს მე შევნიშნე დიდი მახვილგონიერება  
და ღმერთმა უწყის!.. იმედი მთლად არ დამიკარგავს.

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ის ტურანდოტის გამოცანებს მიხვდება ვითომ?  
არა, არასდროს!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

ა გ ი ვ ე ნ ი . . კ ა ლ ა ფ ი , საპატიო ყარაულის თანხლებით. იგი მუხლს მოო-  
ყრის იმპერატორის წინაშე და შუბლზე მიიღებს ხელს.

## ა ლ ტ ო უ მ ი

(ყალფის დიდხანს თვალთვლების შემდეგ)

წამოდექით, ბედშავო ყრმაო!

(ყალფი ადგება და დიდი კეთილშობილური ღირსებით იკავებს იდგილს  
დივანის შუაგულში.)

სახით ლამაზი! ტანადობით წარმოსადეგი!  
გული უეცრად შემივარდა მე ამ კაბუჯზე.  
ვინ ხარ, ბედშავო, სადაური, რომელი მხრიდან?

## კ ა ლ ა ფ ი

(ერთ ხანს გაჩუმებული დგას, შემდეგ კი მეფეს თავნ დაუკრავს და დიდ-  
ღირსებით ლაპარაკობს)

ნება მიბოძე, მბრძანებელო, ჩემი სახელი  
არ გავამხილო.



## ა ლ ტ ო უ მ ი

რაო? მერე როგორა ბედავ  
უცხოელი ყრმა, მოკლებული გვარსა და სახელს,  
ჩვენი ასულის ხელს რომ ითხოვ თავგამოდებით?

## კ ა ლ ა ფ ი

უფლისწული ვარ, ჩემს ძარღვებში ჩქეტს მეფის სისხლი.  
და თუ გამწირა სასიკვდილოდ მაღალმა ზეცამ,  
გეტყვი ჩემ სახელს, მოდგმასა და სამშობლოს ჩემსას,  
ვიდრე ჯალათი მომკვეთს თავსა, დე მთელმა ხალხმა  
წეიტყოს, რომ მე ღირსი ვიყავ შენი ასულის...  
ახლა კი, მეფევ, ნება მომეც, უცნობი დავრჩე.

## ა ლ ტ ო უ მ ი

მას ლაპარაკზეც კი ეტყობა, რომ დიდებული,  
კეთილშობილი გუარისაა! რა მეცოდება!  
— მაშინ რაღა ვქნათ, თუ ამოხსენ გამოცანები  
და არ აღმოჩნდი ღირსეული?

## კ ა ლ ა ფ ი

კანონი, მეფევ,  
დაწერილია მარტოოდენ უფლისწულთათვის.  
წთქვათ, შემიბრაღა განგებამ მე და გავიმარჯვე, —  
თუ არ აღმოვჩნდე ხელმწიფეთა შთამომავალი,  
მყისვე მომკვეთონ თავი, მეფევ, და ჩემი გვაში  
მხეცთა და ფრინველთ გასაჯიჯგნად დააგდონ ველად.  
პეკინში ცხოვრობს ერთი კაცი, რომელმაც იცის  
ვინცა ვარ მე, ის დაამტკიცებს ჩემს გვარს და სახელს.  
ჯერჯერობით კი მოწყალებას ვთხოულობ შენგან, —  
უცნობი დავრჩე.

თანახმა ვარ! დე ასე იყოსი  
 კეთილშობილურ ქცევას შენსას, შენს ლამაზ სიტყვებს  
 არ შემოძლია არ ვერწმუნო, ძვირფასო ყრმაო!  
 ნაგრამ შენც ძალგიძს დაუჯერო ხელმწიფეს მსცოვანს,  
 რომელიცა გთხოვს განერიდო სიკვდილის საფრთხეს,  
 შენის ნებითვე. რომლისკენაც მიექანები!  
 უარყავ, პრინცო. სასიკვდილო განზრახვა შენი  
 და მოითხოვე ნახევარი სამეფო ჩემგან.  
 შენ ჩემი გული ისე ძლიერ მოინადირე,  
 ამ დაპირების აღსრულება ახლავე ძალმიძს,  
 ოღონდ არ მთხოვო, უცნობო ყრმავ, ასულის ხელი!  
 ნუ მაიძულე ულმობელი მტარვალი ვიქნე!  
 ისედაც მძიმე ცოდვად მაწევს წყევლა ხალხისა  
 და პრინცთა სისხლი, დაქცეული ჩემი ბრძანებით.  
 რაკი არ გაკრთობს საკუთარი უბედურება,  
 მაშინ მე მაინც შემობრალე და დამიხსენი,  
 რომ ცხარე ცრემლი არ ვაფრქვიო შენს ცხედარზედა,  
 არ შევაჩვენო თავი ჩემი და ჩემი შვილი,  
 რომელიც ხალხის გასაჟლეტად, ჩემთვის კი მწარე  
 ცრემლთა საღვრელად, სატანჯველად დაბადებულა.

ქ ა ლ ა ფ ი

დამშვიდდი მეფევ. ღმერთმა იცის, ვით მებრალეხი.  
 მოსიყვარულე მამისაგან მემკვიდრეობით  
 არ მიუღია შენს ქალიშვილს სასტიკი გული.  
 შენ უბრალო ხარ, მბრძანებელო, დანაშაულად  
 როგორ ჩაგითვლით, რომ ასული გიყვარდეს ძლიერ,  
 ქვეყანას უძღვნა ღვთაებრივი სახის ქმნილება,  
 ყველას რომ ასე გვაჯადოვებს, ასე რომ გვხიბლავს.  
 სხვას მიანიჭე ესდენ უხვი შენი წყალობა,  
 ღირსი არა ვარ სამეფოში ჩაგეზიარო.  
 ან ინებებენ ღმერთები და მომანიჭებენ

ბედნიერებას შენს ზეციურ ასულთან ერთად,  
ან ჩემს სიცოცხლეს, გაჭირვებულს, მოვუღებ ბოლოს.  
ან ტურანდოტი, ან სიკვდილი! — სხვა არაფერი!

### პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ნახეთ თავები ჩვენს ჭიშკარზე, ძვირფასო პრინცო,  
მეტს არას გეტყვი, ერთი კი თქვენ მიბრძანეთ თვითონ,  
რა სიხარულს გრძნობთ, პეკინში რომ მოეშურებით  
შორ ქვეყნიებიდან, თავს იტკივებთ აუტკივარსა?  
ტურანდოტი აქ თქვენ გადმოგცემთ სამ გამოცანას,  
რომელთ ახსნაზე შვიდი ბრძენი საბერძნეთისა  
და შეიდჯერ ათი მათი ამხსნელ-განმმარტებელი  
ამაოდ დაშვრნენ თორმეტი თვის განმავლობაში  
და ჩვენც, პირადად, თუმც წიგნებში გავჰალარავდით,  
მეფის ასულის გამოცანებს მაინც ვერ მივხვდით,  
რადგან ისინი არა ჰგვანან იმ მარტივ ამბებს,  
ბავშვთა წიგნებში ასე ხშირად რომ წაგვიკითხავს,  
მაგალითისთვის თუნდაც ესა, ერთი მათგანი:  
„ვინც ხედავს, იგი განკუთვნილი  
არ არის მისთვის,  
და ვინც იყენებს, ამისათვის  
იხდის განა ფულს?  
ვინც მას აშენებს, მას აშენებს  
ყოველთვის სხვისთვის,  
ვინც მასში ცხოვრობს, შიგ ცხოვრება  
სულაც არა სურს“.  
არა, ეს არის სულ სხვა ჯურის გამოცანები,  
უბრალო ყნოსვით მათ ადვილად ვერ გამოიცნობთ;  
თვით პრინცესას რომ პასუხები არ გადაეცა  
სწავლულებისთვის, პაკეტებში მოთავსებული,  
მიუხედავად თავიანთი დიდი სიბრძნისა,  
მათ თავის დღეში ვერასოდეს ვერ მიხვდებოდნენ.  
ამიტომ, ყრმაო, გირჩევთ სახლში მშვიდობიანად  
გაუყვეთ: გზასა, მეცოდება სინორჩე თქვენი,

თქვენი ლამაზი კულულები და თუ ურჩობას  
დაიწყებთ მაინც, იცოდეთ, რომ თვის ბოლოკივით  
სუსტად ქანქარებს, უფლისწულო, თქვენს მხრებზე თავი-

### კ ა ლ ა ფ ი

ამოდ ხარჯავთ სიტყვებს თქვენსას, კეთილო კაცო!  
ან ტურანდოტი, ან სიკვდილი!

ტ ა რ ტ ა ლ ი ა (ენის ბორძიკით)

ტუ... ტურანდოტი!

ეს რა წყეული ურჩობაა, რა სიბრმავეა!

აქ კაკლებით არ თამაშობენ, ბატონო ჩემო,

არცთუ წაბლითა... არა, საქმე აქ თავს ეხება...

საქმე სიცოცხლეს შეეხება... დაფიქრდით კარგად!

სხვა საბუთები არ მჭირდება აქ, ერთის გარდა,

და ეს საბუთი თავი გახლავთ, თვით თქვენი თავი.

თვითონ ხელმწიფემ მამობრივად იზრუნა თქვენზე:

სამასი ცხენი მზეს შესწირა, სამასი ხარი —

ციურ ღვთაებას, ლამაზ ვარსკვლავთ—სამასი ძროხა,

ხოლო მთოვარეს, ღამის გუშაგს—სამასი ღორი.

ო, ნუთუ ისე უმადური ხართ, უფლისწულო,

დარდით გასტანჯოთ, დაამწუხროთ ხელმწიფის გული?

ქვეყანაზე რომ საჩინეთის პრინცესას გარდა

არავინ იყოს სხვა ასული, კაბუკო პრინცო,

თქვენს მოქმედებას სიგიჟედ არ ჩავთვლიდი მაშინ,

ღმერთმა ხომ იცის, ასეთ რამეს თქვენს მიმართ მხოლოდ-

სიყვარული და სიბრალული მალაპარაკებს.

იცით, რას ნიშნავს, უფლისწულო, თავის დაკარგვა?

შეუძლებელი არის...

## კ ა ლ ა ფ ი

სიტყვა ქარს მიაქვს მხოლოდ!  
ამაოდ ჰფანტავთ ქარში სიტყვებს, ოსტატო ძველო!  
ან ტურანდოტი, ან სიკვდილი!

## ა ლ ტ ო უ მ ი

მაშ იყოს ეგრე!  
შენს თავსაც ლუპავ და მეც მტოვებ სასოწარკვეთილს!

(ამალას)

უხმეთ ჩემს ასულს!

(ამალას ერთ-ერთი წევრი გადის.)

დატკბეს თავის ახალი მსხვერპლით.

## კ ა ლ ა ფ ი

(კარებისკენ მიბრუნდება ძლიერ აღელვებულ)

ის აქ შემოვა! თვალთ უნდა ვიხილო იგი!  
რა დიდებული წამი არის! ო, ზეცის ძალნო!  
გამაგრდი გულო, მისმა ნახვამ არ დამაბნიოს,  
არ დამიბნელოს მრუმე ლამით ნათელი კკუა!  
მე მხოლოდ მისი სილამაზე მაშინებს ძლიერ.  
შემწე მექმენით, ზეცის ძალნო, თქვენ კარგად ხედავთ,  
ვით მითრთის გული, ჩემი სული რარიგ კანკალებს.  
ბრძენო მსაჯულნო დივანისა! მსაჯულნო ჩემნო!  
არ ჩამითვალთ შეუნდობელ კადნიერებად,  
რომ მინდა ვცადო ჩემი ბედი უკანასკნელად.  
ო, შემობრალეთ, დამიტირეთ მე, უბედური!  
არ გამაჩნია სხვა სურვილი, სხვა არჩევანი!

უცნობმა ძალამ გამიტაცა, მომაჯადოვა,  
ის ძლიერია, უძლური ვარ მე მის წინაშე.

## გამოსვლა მეოთხე

### მოისმის მარშის ხმა

შემოდას ტრუფალდინი, მხარზე ხმალგადაკიდებული, უკან მოჰყვებ-  
იან ზანგები, მათ მოსდევენ მხევალნი, რომლებიც დაფდაფებს  
სცემენ. ამათ მოჰყვებიან ადელმა და ზელიმა, ორივენი პირბადეი-  
მოფარებულნი; ადელმა თათრულ ტანსაცმელშია გამოწყობილი. ზელიმას  
ხელში ლანგარი უპყრია, რომელზეც დაბეჭდილი პაკეტები აწყვია. ტრუ-  
ფალდინი და მისი ზანგები შემოსვლისთანავე პირქვე დაემხობიან იმპერატო-  
რის წინაშე, რის შემდეგ მაშინვე ფეხზე წამოდგებიან. მხევალნი კი მუხლს მოი-  
ყრიან და შუბლზე მიიღებენ ხელს. ბოლოს გამოჩნდება ტურანდოტი  
პირბადეამოფარებული, ბრწყინვალე ჩინურ სამოსელში გამოწყობილი,  
ზვიადი, დიდებული წარმოსადგობისა. სწავლულნი და დივანის წევრნი  
მის წინ თავაა ხრიან. ალტოუმი ფეხზე წამოდგება, ტურანდოტი მას  
შუბლზე ხელის მიდებით მისცემს სალამს და თავის ტახტზე დაჯდება. ზე-  
ლიმა და ადელმა მის აქეთ-იქით დგებიან. ეს უკანასკნელი მყუდრობელთან  
უფრო ახლოსაა. ტრუფალდინი ზელიმას ლანგარს გამოართმევს და სწავ-  
ლულებს პაკეტებს დაურიგებს რამდენადმე სასაცილო ცერემონიით. ამის  
შემდეგ იგა ისევ პირქვე დაემხობა იმპერატორის წინაშე, წამოდგება და გავ-

მარშის ხმა წყდება.

ტურანდოტი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ)

ვინ არის იგი, ცრუ იმედით გადაცდენილი,  
რომ არ იხსენებს გულშემზარავ, სისხლიან ამბებს  
და ნებავს, ახსნას ჩვენი ბრძნული გამოცანები?  
ის ხომ მტერია თავის თავის, თავის სიცოცხლის  
და აქ მოსულა მკვდართა რიცხვის გასამრავლებლად.

ალტოუმი

(მიუთითებს კალაფზე, რომელიც განცვიფრებული დგას დივანის შუაგულში)  
აი ეს არის, ჩემო შვილო, ღირსია იგი,

შენი ნებითვე გაჰყვე ცოლად და ააცდინო  
მას საშინელი გამოცდა და სიკვდილი მწარე.  
ნულარ შემოსავ ამ ქვეყანას მწუხარე ძაძით  
და გულს მამისას ახალ ეკლებს ნუ განუწონავ.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(რამდენიმე ხანს უცქერის კალაუს, რის შემდეგ ზელიმას ჩემად)  
რა მემართება ეს, ზელიმა! ო, ზეცის ძაღლო!

### ზ ე ლ ი მ ა

რა მოგივიდათ, დედოფალო?

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

აქ მოსულთაგან  
მარტო მან შესძლო აძგერება ჩემი გულისა.

### ზ ე ლ ი მ ა

მაშ სიამაყე იქით იყოს და პრინცს მიეცი  
სამი იოლი გამოცანა.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

რაო? რას ამბობ?  
როგორ იქნება, უტიფარო! ჩემი ღირსება?

### ა დ ე ლ მ ა

(მთელი ამ ხნის მანძილზე გოცუბით აკვირდება კალაუს)  
ამას სიზმრად ხომ არა ვხედავ, დიდო ღმერთებო!  
ის არის, ისა, მშვენიერი ქაბუკი, ვინც მე

ქეიქობადის, მამაჩემის, სასახლის კარზე  
მინახავს, როგორც მიწის მუშა! პრინცი ყოფილა!  
ხელმწიფის შვილი! აკი გული მიგრძნობდა ამას.  
არ მომატყუა წინაგრძნობამ!

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჯერ კიდევ დროა,  
ხელმწიფის შვილო! უარპყავით განზრახვა თქვენი  
და გაიქეციით, განერიდეთ ჩვენს დივანხანას!  
ღმერთმა ხომ იცის, რომ ტყუილად ხმას მივრცელებენ,  
თითქოს გულქვა ვარ და სასტიკი, ო, სრულებითაც  
არა ვარ გულქვა, მე მსურს მხოლოდ თავისუფლება;  
არა, არ მინდა სხვისი მონა-მორჩილი ვიქნე;  
არ მსურს დავუთმო ვინმეს იგი წმინდა უფლება,  
რაც თვით გლახაკთაც დაპყობილთ დედის მუცლიდან;  
ნუთუ არ ძალმიძს მისი დაცვა ხელმწიფის ასულს?  
მთელს აზიაში დამდაბლებულს, დაბეჩავებულს  
ვხედავ ყველა ქალს, შური უნდა ვიძიო მათთვის  
ამ მეტისმეტად ამაყ, ზვიად მამაკაცებზე,  
ნაზ არსებებთან მხოლოდ ძალით რომ მოაქვთ თავი.  
დედაბუნებამ მე მიბოძა მახვილი ჭკუა,  
რათა დავიცვა მათგან ჩემი თავისუფლება.  
— სულაც არა მსურს, რომ ვიცნობდე ვინმე მამაკაცს,  
მძულს ის სასტიკად, მეზიზღება მისი ამაყი,  
ზვიადი ქცევა, ქვეყანაზე ყველა ძვირფასი  
ქმნილებისაყენ გაწვდილი აქვს მას ხარბი ხელი.  
ყველაფერი სურს, რაც კი ოდნავ მოუება თვალში.  
ჭკუასთან ერთად ბუნებამ მე სილამაზითაც  
დამაჭილდოვა. ყველაფერი საუკეთესო  
რად უნდა გახდეს მამაკაცთა სურვილის მსხვერპლი,  
მაშინ როდესაც უმნიშვნელოს მშვიდად სტოვებენ?  
რად უნდა გახდეს სილამაზე ნადავლი ე რ თ ი ს?  
თავისუფალი არის იგი, ვით ბრწყინვალე მზე,  
ციდან რომ დაგვეკქერს დიდებულად და ერთნაირად  
გვაფრქვევს თავის სხივთ როგორც მონას, ისე მბრძანებელს.



დიადი სული და გონება, ეგრეთ მაღალი,  
 მოთავსებულან მაგ ღვთაებრივ, ლამაზ სხეულში!  
 აბა ვინ განსჯის, ვინ გაჰკიცხავს იმ ახალგაზრდას,  
 ვინც თავს გადასდებს, რათა ჰპოვოს ამგვარი ჯილდო?  
 ნუთუ ვაჰარი, მოგებაზე დახარბებული,  
 თავის გემს და ხალხს არ მიანდობს მძვინვარე ტალღებს?  
 ან თუნდაც გმირი, მოხიბლული დიდების ლანდით,  
 განა დაზოგავს თვის სიცოცხლეს მის შესაპყრობად?  
 სილამაზე კი — ქვეყანაზე უზენაესი,  
 უპირველესი სიკეთე — ჩვენ უნდა მოგვეცეს  
 უფრო ადვილად, ყოველგვარი საფრთხის გარეშე?  
 მე სრულებით არ გასაყვედურობთ სისასტიკისთვის.  
 მაგრამ თქვენ თავხედს ნუ მიწოდებთ, ნუ შემიძულებთ,  
 ძვირფასი განძის დაუფლებას რომ ვცდილობ ასე.  
 თქვენ ხომ თვითონვე დააწესეთ ამ განძის ფასი,  
 გზა გაუკაფეთ ღირსეულებს მის შესაძენად.  
 უფლისწული ვარ, ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ,  
 არცთუ ბედნიერს, სანუკველსა და სანეტაროს.  
 მაგრამ შეადგენს იგი ჩემს მთელ ავლადიდებას,  
 და თუნდ მომეცეს ის ათასჯერ, მას ათასჯერვე  
 სიამოვნებით შეგწირავდით. ქალწულო, მსხვერპლად.

ზ ე ლ ი მ ა (ტურანდოტს ჩუქად)

გესმით, პრინცესა? გვედრებით. ღვთის გულისათვის!  
 სამი ადვილი გამოცანის ღირსია იგი.

ა დ ე ლ მ ა

იგი ღირსია ქეშმარიტი სიყვარულისა!  
 ეს პრინცი ჩემი უნდა გახდეს აუცილებლად.  
 ნეტავ გამეგო მე მაშინვე, როცა ჯერ კიდევ  
 გულს მიხარებდა სანუკველი თავისუფლება,

რომ ის ნამდვილად პრინცი იყო, ძე ხელმწიფისა.

— რარიგ მგზნებარე სიყვარულით აღმენტო გული,  
როცა შევიტყვე, რომ ის დასტურ ღირსია ჩემი.

— მხნედ, ჩემო გულო, მე მას უნდა კვლავ დავეუფლო!  
(ტურანდოტს)

ხმას აღარ იღებთ, თქვენ ყოყმანობთ, მეფის ასულო!  
თქვენი სახელი გაიხსენეთ, ღირსება თქვენი!

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მე ამ ყრმამ უნდა სიბრალულით მომიღბოს გული?  
არა, ტურანდოტ, უნდა სძლიო სისუსტე შენი!  
აბა თავხედო, მოემზადე!

### ა ლ ტ ო უ მ ი

კვლავ მტკიცედ დგეხართ,  
ხელმწიფის შვილო, თქვენს სიტყვაზე?

### კ ა ლ ა ფ ი

მე ისევ ვამბობ:

ან ტურანდოტი, ან სიკვდილი!

(პანტალონი და ტარტალია უკმაყოფილოდ აქნევენ თავს.)

### ა ლ ტ ო უ მ ი

მაშ წაუკითხეთ

ჩვენი კანონი! მოისმინოს და აცახცახდეს!

(ტარტალა უბიდან ამოიღებს კანონთა წიგნს, ემთხვევა, მიიღებს გულზე  
მერე — შუბლზე და გადასცემს პანტალონს.)

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

(გამოართმევს კანონთა წიგნს, პირქვე დაემხოზა იპერატორის წინაშე,  
ადგება და კითხულობს მაღალი ხმით)

„ყოველ უფლისწულს ძალუმს სთხოვოს ტურანდოტს ხელი.  
მაგრამ ასული გამოცანას წარუდგენს სამსა,  
თუ ვერ ამოხსნა, პრინცს ჯალათის ნაჯახი ელის,  
ხოლო პეკინის კიშკარი მის მოკვეთილ თავსა.  
თუ გამოიცილო, მეფის ასულს შეირთავს ცოლად.  
კანონს დავიცავთ, ვფიცავთ ზეცის მნათობთა სრბოლას“.  
კითხვის დამთავრების შემდეგ წიგნს ემთხვევა, მიიღებს გულზე, მერე  
წებლზე და გადასცემს ტარტალიას, რომელიც, წიგნს გამოართმევს თუ  
არა, მაშინვე პირქვე დაემხოზა და მას გადასცემს ალტოუმს.)

## ა ლ ტ ო უ მ ი

(მარჯვენა ხელს დაადებს წიგნს)

სისხლის კანონო! ჩემო ტანჯეავ, ჩემო წამებავ!  
მტკიცედ დაგიცავ, ვფიცავ ფუ-სის, მაღალ ღვთაებას!

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(ადგება და იწყებს საზეიმო, დეკლამაციური კილოთი)

ერთი ხეა, ხალხის რტოებს,  
როგორც ფოთლებს, ისხამს ისე,  
მას არასდროს არა სტოვებს  
სიმწვანე და სიმაისე.

იგი ფოთლის ცალი გვერდით  
მუდამ უცქერს ნათელ მზესა,  
მაგრამ გვერდით მეორეთი  
ვერ ხედავს მზის სინათლესა.

ხეზე ახალ წყება-წყებად  
თაობები იზრდებიან  
და ყველაფრის ხნოვანებას  
კაცნი ამ ხით მიხვდებიან.

მის მწვანე ქერქს სულ ადვილად  
ამოჰკვეთავ სახელს შენსას,  
და თუ გახმა ხე ერთ დილას,  
ველარ ჰპოვებ შენს სახელსაც.  
თუ გაქვს ჰკუა სხარტი, მჭრელი,  
მითხარ შენ ამ ხის სახელი.  
(ისევ ჯდება.)

## ქ ა ლ ა ფ ი

(რამდენიმე ხანს დაღუბებული და მალა იმზირება, შემდეგ თავს დაუ-  
კრავს პრინცესას და ლაპარაკობს)

ბედნიერია თქვენი მონა, მეფის ასულს,  
თუ მას არ ელის გამოცანა ამაზე ძნელი.  
ეს ბებერი ხე, შემოსილი ყოველთვის მწვანით,  
ადამიანთა თაობებს რომ რტოებდად ისხამს,  
რომლის ფოთლებიც ცალი გვერდით მზეს უცქერიან,  
მეორეთი კი ვერასოდეს მას ვერ ხედავენ  
და რომლის ქერქზეც დაწერილი ბევრი სახელი  
მანამდე რჩება წაუშლელი, ვიდრე ხე ხარობს:  
— წ ე ლ ი ა თავის დღეებითა და ღამეებით.

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (გახარებულად)

მარჯვედ მოარტყა, ტარტალია!

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

მართალსა ბრძანებთ!

ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი (პაკეტებს ხსნიან)

Optime! Optime! Optime\* მართლა წელია,

\* ლათ. ნიშნავს: „ჩინებულს!“

წელია, წელი, წელიწადი!

(გაისმის მუსიკის ხმა.)

ა ლ ტ ო უ მ ი (სიხარულით)

არ მოგკლებოდეს, ჩემო შვილო, ღმერთთა წყალობა  
და შეგეწიოს დანარჩენთა ამოხსნაშიაც.

ზ ე ლ ი მ ა (თავისთვის)

ო ზეცავ, ზეცავ, შეეწიე!

ა დ ე ლ მ ა (მაყურებლებისაკენ)

ო არა, ზეცავ!

ღმერთებმა ნუ ქნან, ყრმა ამ გულქვეს ნადავლი გახდეს,  
ხოლო სატრფომ კი სამუდამოდ დაქარგოს იგი!

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (შეძრწუნებული, თავისთვის)

მან გაიმარჯვოს? შეარცხვინოს ჩემი სახელი?

ეს არ მოხდება, ღმერთებს ვფიცავ!

(ყალბს)

თავხედო! გიჟო!

ჯერ ნუ ზეიმობ! მომისმინე და ამოხსენი!

(ცვლავ წამოდგება და განაგრძობს საზეიმო კილოთი.)

ნაზ ბუდეში ზის სურათი ერთი,

თვით არის შუქი და ბრწყინვალეობა,

თუმცა იცვლება იგი ყოველთვის,

არ ჰკარგავს ეშხს და ფეროვანებას.

თუმც ვიწრო ჩარჩო შემოვლებია,

არ ისაზღვრება არასდროს ვიწროდ

და მთელ სამყაროს მთა-ველებიანს

ჩვენ ამ პატარა სურათით ვიცნობთ.

ბუდეში ერთი კრისტალი ბრწყინავს,  
ნატურისთვალევით ფერების მღვრელი,  
უცეცხლოდ იწვის, ციმციმებს, ბზინავს  
და შიგ ჰხატია ქვეყანა მთელი.  
თვითონ ზეცაც კი შიგ იხატება,  
სხვაც — ყოველივე. რაც მის წინ დგება,  
და სილამაზით აღემატება  
სურათი იგი თვის ნამდვილ დედანს.

### კ ა ლ ა ფ ი

(მცირე ხნის ჩაფიქრების შემდეგ, თავის დაკვირვით, პრინცესას)  
ნუ განრისხდებით, დიდებულო მშვენიერებაე,  
თუ ამ მეორე გამოცანის პასუხსაც გეტყვით.  
— ნაზი სურათი ჩაჰედილი ვიწრო ჩარჩოში,  
მთელი ქვეყანა შიგ რომ არის მოთავსებული,  
კრისტალი, რაშიც ჩასმულია თვით ეგ სურათი,  
რომელიც მუდამ თავის დედანს აღემატება,  
ეს არის თ ვ ა ლ ი, რომელშიაც მთელი ქვეყანა  
მოთავსებულია; პრინცესა ეს შენი თვალია,  
თუკი მე იგი გამილიმებს სიყვარულითა.

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (აიხარულით წამოხტება)

ჩემს სულსა ვფიცავ, ტარტალია, პრინცესა პირღაპირ  
შავში მოარტყა.

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

ღიას, სწორედ შავ 'მუაგულში.

ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი (აკეტებს ხსნიან)

Optime! Optime! Optime! თვალია, თვალი!  
(ჯაისმის მუსიკის ხმა.)

## ა ლ ტ ო უ მ ი

არ ნოველოდი ეგზომ დიად ბედნიერებას!  
ძალნო ციურნო, შეეწიეთ მას მესამედაც.

ზ ე ლ ი მ ა (თავისთვის)

ო, მესამედაც შეეწიეთ, ციურნო ძალნო!

ა დ ე ლ მ ა (ჩაყურებულებისაკენ)

რა ნეშველება მე უბედურს? ვაგლახ მე, ბედკრულს?  
ის გაიმარჯვებს! სამუდამოდ დავკარგავ მე მას!  
(ტურანდოტს)

თქვენი სახელი საფრთხეშია, მეფის ასულო!  
როგორ აიტანთ ამ შერცხვენას? ეს ერთი წამი  
მთლიანად შთანთქავს თქვენს დიდებას, თქვენს გამარჯვებებს.

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(აღება ძალზე განრისხებული)

უწინამც ნაცარ-მტვრად ქცეულა მთელი გვეყანა!  
ო, მაშ იცოდე, თავხედო ყრმავე, რომ, რამდენადაც  
გულში იმედი გესახება გამარჯვებისა,  
იმდენად მწვავე სიძულვილი შენს მიმართ მიპყრობს.  
ნულარ დაუცდი უკანასკნელს! გაიქეც! გასწი!  
განშორდი ღივანს და იხსენი სიცოცხლე შენი!

## კ ა ლ ა ფ ი

მე თქვენს სიძულვილს ვუფრთხი მხოლოდ, ტურფა პრინცესა,  
ან უბედურ თავს მე თქვენს ფერხთით დავამხო მტვერში,  
რაკი ვერ შევძელ აძგერება თქვენი გულისა.  
(დაემხო პრინცესას ფერხთით.)

ადექი, შეილო, მესამედ ნუ გამოსცდი ღმერთებს,  
რომელთაც ორჯერ მოწყალება მოიღეს შენზე.  
აწ შეგიძლია, შემოსილმა დიდების შუქით,  
დაიხსნა თავი, განერიდო უეკველ სიკვდილს.  
ყრმაო, ეს ორი გამარჯვება არაფერს ნიშნავს,  
თუკი მესამედ გიღალატებს მუხთალი ბედი.  
ხშირად, რაც უფრო მაღალ მწვერვალს ვუახლოვდებით,  
მით უფრო დიდი სიმაღლიდან ვვარდებით ხოლმე.  
— შენ კი, ასულო, შეკითხვები აკმარე სტუმარს,  
ეყო, რაც ახსნა, ნულარ მისცემ სხვა გამოცანას.  
ვერც ერთმა პრინცმა ამდენი ვერ შეიძლო ღღემდე.  
მიეცი ხელი, ცოლად წაჰყევ, ღირსია იგი.  
ბოლო მოუღე ამ გამოცდას.

ზელიმა მუდარით შესცქერის ტურანდოტს, ადელმა კი მუქარითჱ

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მას მივცე ხელი?

ბოლო მოვუღო მის გამოცდას? არა და არა!  
კანონით სამი გამოცანა უნდა ამოხსნას.

### კ ა ლ ა ფ ი

დიახ, მე მმართვეს აღვასრულო კანონი თქვენისი  
აწ ჩემი ბედი იმყოფება ღმერთების ხელში.  
ან ტურანდოტი, ან სიკვდილი!

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

დიახ, სიკვდილი!

ვესმის, სიკვდილი! ჰო, სიკვდილი აუცილებლად!

(ადგება და განაგრძობს უწინდელი საზეიმო კოლოთი.)

ერთ ნივთს დიდ პატივს არა სცემს ყველა,  
მაგრამ ხელმწიფე აფასებს დიდად,



სკრის მახვილივით და მისებრ ელავს,  
თუმც მახვილს არ ჰგავს სხვით არაფრითა!  
უსისხლო გახლავთ კრილობა მისი,  
სიცოცხლე მოაქვს სიკვდილის ნაცვლად;  
მასზე მშვიდობის სიმღერა ისმის,  
მას ხალხი შეჰყავს სიუხვის ტაძრად.  
მან დაასახლა ქვეყნები ვრცელი,  
მან ქალაქები აღაგო ძველად,  
არის ყოველთვის მშვიდობის მცველი  
და კმაყოფილი ჰყავს ხალხი ყველა.  
თუ შენ ვერ მეტყვი ამ ნივთის სახელს,  
ჩვენს ტურფა მხარეს მოსცილდი წამსვე!

(ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას პირბადეს აიწევს.)

მაშ შემომხედე და დაფიქრდი. ნუ გამახელებ!  
ან მოკვდი ახლავ, ან ის ნივთი დამისახელებ!

### კ ა ლ ა ფ ი

(თავზარდაცემული თვლებზე ხელებს აიფარებს)

ო, ზეციურო ბრწყინვალებაე! თვალი დამიბნელდა!

### ა ლ ტ ო უ მ ი

იგი დაიბნა, ღმერთო ჩემო, დაკარგა თავგზა.  
დინჯად, გონს მოდი, ჩემო შვილო, მხნეობა გმართებს.

### ზ ე ლ ი მ ა (თავისთვის)

შიშისგან გული მიკანკალებს.

### ა დ ე ლ მ ა (მაყურებლებსაკენ)

ჩემი ხარ, პრინციო!

შენს გადარჩენას სიყვარული შეიძლებს ჩემი.

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (კალაფს)

ღვთის გულისათვის, გევედრებით, დაფიქრდით კარგად.  
გონს მოდით, გული გაიმაგრეთ, ხელმწიფის შვილო!  
ოჰ, ვაგლახ, ვაგლახ! დაილუპა! დაკარგა თავი!

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა .(თავისთვის)

რომ არ გვრცხვენოდეს, ჩვენ თვითონვე საკუჭნაოში  
გავიქცეოდით ძმრისთვის ახლავ.

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(კალაფს, რომელიც ტურანდოტის სილამაზით მოჯადოებულ  
თვალს ვერ აცილებს)

ბედშავო პრინცო,  
თვითონ ისურვე სიკვდილი და მიიღე კიდევ!

## კ ა ლ ა ფ ი

(გონს მოვა და ღიმილით თავს დაუკრავს ტურანდოტს)  
მე მხოლოდ თქვენმა ღვთაებრივმა მშვენიერებამ  
დამცა თავზარი; დედოფალო, მოულოდნელად  
და ერთი წამით დაიბინდა გონება ჩემი;  
ეს სრულებითაც არა ნიშნავს ჩემს დამარცხებას.  
ნივთი, რომელსაც არ აფასებს ჯეროვნად ყველა,  
მაგრამ რომელსაც თვით ჩინეთის იმპერატორი  
საკუთარ ხელით წლის პირველ დღეს მიაგებს პატივს,  
რომელსაც მიწის წმინდა შრომა ემორჩილება  
და მისი ფასი მარტოოდენ არ უწყის იმან,  
ვინც სათათრეთის ველებიდან გამოსულია,  
სადაც მისდევენ მომთაბარე ცხოვრებას მხოლოდ,  
მწყემსობასა და ნადირობას გადაყოლილნი,

ეს იარაღი, მახვილივით სისხლს რომ არ აქცევს  
და ქვეყნად მხოლოდ დოვლათი და მშვიდობა მოაქვს,  
გ უ თ ა ნ ი გახლავთ.

### პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

სიხარულით გავგიჟდე ლამის.  
ნება მომეცი, ჩემო შვილო, გადაგეხვიო!

### ტ ა რ ტ ა ლ ი ა

დიდება უფალს, ხელმწიფეო! ამიერიდან  
თქვენს მწუხარებას სამუდამოდ მოელო ბოლო.

### ს წ ა ვ ლ უ ლ ნ ი (პაკეტებს ხსნიან)

გუთანი არის, გუთანია! გუთანი გახლავთ!  
(გაისმის მუსიკის ძლიერი, გამაყრუებელი ხმა. ტურანდოტი ლონემიხდელი  
დაეშვება ტახტზე.)

### ზ ე ლ ი მ ა (თავს დასტრიალებს დედოფალს)

რა დაგემართათ, დედოფალო, ერთი შეხედეთ,  
რა ლამაზია, რა ლამაზი! მან გაიმარჯვა!

### ა დ ე ლ მ ა (მაყურებლებსაკენ)

მან გაიმარჯვა. სამუდამოდ დავკარგე იგი.

— არა, ჭერ არა! გულო ჩემო, ნუ ჰკარგავ იმედს!

(ალტოუმი ძალზე განარებულია; პანტალონისა და ტარტალიას დანმარებით  
ტახტიდან გადმოვა. სწავლულები სავარძლებიდან წამოდგებიან და შეჭვ-  
ფლებიან სცენის სიღრმეში. ყველა კარი იღება. გარეთ მოჩანს ხალხი,  
მთელი ამ ხნის მანძილზე ისმის მუსიკის გრიალი.)

## ა ლ ტ ო უ მ ი (ტურანდოტს)

გულქვა ასულო, მოვლენილო ჩემი სიბერის  
დასამწუხრებლად, აღსასრული დაუდგა უკვე  
საშინელ კანონს და ყოველგვარ უბედურებას.

— აქ მოდი, გულში ჩამეკონე, ძვირფასო პრინციო!  
ნივესალმები სიხარულით შენს სიძეობას!

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(ისევ გონს მოვა, გიჟივით წამოხტება ტახტიდან და ჩავარდება მათ შორის)

შეჩერდი! ჩემი ცოლობისა ნუ აქვს იმედი.

გამოცანები მეტისმეტად მარტივი იყო.

კვლავ უნდა წარსდგეს დივანის წინ, რომ კვლავ ამოხსნას  
სამი ახალი გამოცანა... და მაშინ ვნახოთ...

ასე უეცრად დამატყდით თავს, ვერ მოვასწარი.

შესაფერისი მომზადება.

## ა ლ ტ ო უ მ ი

ჩემო ასულო,

შენს სიჭიუტეს აღსასრული დაუდგა უკვე!

ნულარ გგონია, სიცბიერით გააწყო რამე.

მან ყველაფერი შეასრულა, რასაცა ვთხოვდით,

მთელი დივანი ამ სიტყვაზე დამემოწმება.

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ნება მიბოძეთ, დედოფალო, ჩემი მხრით გკადროთ —  
რა საჭიროა ეგ ახალი გამოცანები?

აქ ღდას ჭაბუკი, ვინც ამოხსნა ისინი უკვე.

მოკლედ რომ გითხრათ — აღასრულა კანონი ზუსტად,

დრო არის უკვე საქორწინო სუფრას მოვუსხდეთ.

ჩემი კოლეგა რაღას იტყვის?

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა

მან, მართლაც, ზუსტად,  
მართლაც, მთლიანად აღასრულა კანონი ჩვენი.  
ბოლო მოედო თავების კრას ამიერიდან,  
ურვის წილ ახლა ლხენას უნდა მიეცეს ყველა.

## ა ლ ტ ო უ მ ი

მაშ ტაძრისაკენ გავეშუროთ ყველანი ახლა,  
იქ უცნობი ყრმა ვინაობას თავისას გვეტყვის  
და მაშინვე წესს აღვასრულებთ.

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (წინ გადაუღება)

მადროვეთ, მამა!

ცოტა ხნით ვადა გამიგრძელეთ.

## ა ლ ტ ო უ მ ი

არ შეიძლება!

მე გადავწყვიტე. უმადურო, სასტიკო შვილო!  
ისეც კარგა ხანს ვასრულებდი სურვილებს შენსას,  
ჩემს სატანჯველად, საწამებლად და შესარცხვენად.  
გამოგიტანეს განაჩენი; ის დაწერილი  
არის იმ მრავალ მსხვერპლის სისხლით, რომელნიც შენი  
გულისთვის ჯალათს გადავეცი მოსაკვდინებლად,  
შენც აღასრულე შენი სიტყვა: თორემ მრისხანე  
ფუ-სისა ვფიცავ...

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ჩაუვარდება ფეხებში)

შემიბრალე, ჩემო მშობელო!

ოღონდაც ერთი დღით მადროვე...

## ა ლ ტ ო უ მ ი

არა, არც ერთით!  
მაგის მოსმენაც კი არა მსურს. წავიდეთ ჩქარა!

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (მოთმინებიდან გამოსული)

დაე სამარედ გადამექცეს ტაძარი მაშინ!  
არა, არა მსურს, არ გავხდები მეუღლე მისი,  
არ შემიძლია. მირჩევნია ათასჯერ მოვკვდე,  
ვიდრე ამ ზვიად ადამიანს დავემორჩილო.  
მარტო ამისი გახსენებაც საშინლად მზარავს.

## კ ა ლ ა ფ ი

ფეხზე აბრძანდით, უღმობელო ქალწულო, ურჩო!  
ვის შეუძლია, გაუმაგრდეს თქვენს ცხარე ცრემლებს?  
(ალტოუმს)

გთხოვთ, შეიბრალოთ, დიღო მეფევე, ასული თქვენის  
როგორცა ბრძანა, უბოძეთ მას ერთი ღლის ვადა.  
რა ბედნიერი ვიქნები მე, თუ ასე ვძულვარ!  
მე იგი მიყვარს ისე ძლიერ, ეგოდენ ნაზად,  
რომ ვერ ავიტან მის წამებას, მის მწუხარებას.  
თუკი ამგვარი ერთგულებით აღსავსე გრძნობამ  
ვერ აგიღელვავ, ვერ მოგიღბო სასტიკი გული,  
მაშ იზეიმე, უღმობელო, და გიხაროდეს:  
ნაძალადევად შენი ქმრობა არც ძალმიძს, არც მსურს.  
ერთხელ მაინც რომ ჩაგეხედა ჩემს მტკივან გულში,  
მწამს, სიბრაალული შეგიპყრობდა, შემეცოდებდი.  
მაშ შენ გწყურია ჩემი სისხლი? კვლავ განაახლეთ  
ჩემი გამოცდა, მბრძანებელო, სიკვდილი უფრო  
სასურველია, აღარა მსურს სიცოცხლე უკვე!

## ა ლ ტ ო უ მ ი

არა! გადაწყდა! გავეშუროთ ტაძრისკენ ახლავ!  
არავითარი სხვა გამოცდა!.. ბედშავო ყრმაო!

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (გამძვინვარებული)

მაშ ტაძრისაკენ?.. დე აღსრულდეს სურვილი თქვენი,  
მაგრამ, იცოდეთ, თავის მოკვლას იქაც შევიძლებ.

(ხანჯალს იძრობს და წასვლას დააპირებს.)

## კ ა ლ ა ფ ი

თავის მოკვლასო? ეს რა მესმის, ციურნო ძალნო!

არა, სანამ ეს მოხდებოდეს, მისმინეთ, მეფევი!

გთხოვთ, კიდევ ერთი მოწყალება მოიღოთ ჩემზე.

მინდა მეორედ წარმოვუდგე თქვენს დივანხანას.

ახლა მე მივცემ ასულს თქვენსას ერთ გამოცანას:

ვისი შვილია და რა ჰქვია იმ ბატონიშვილს,

ლუკმაპურისთვის, ვით მეკურტნე, ტვირთს რომ ზიდავდა,

და ბოლოს, როცა მიაღწია სასურველ მიზანს,

კვლავ უბედურად დატრიალდა იმისი საქმე.

— გულქვა არსებავ! ხვალ თუ მეტყვით თქვენ მათ სახელებს,

ძალგიძთ მაშინვე თავი მომჭრათ ჯალათის ცულით!

და თუ ვერ მიხვდით, გევედრებით, ბოლო მოუღოთ

ჩემს მწუხარებას, მიბოძოთ ეგ ძვირფასი ხელი!

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მე თანახმა ვარ, უფლისწულო! თუ ვერ ამოვხსენ,

თქვენი ვიქნები.

ზ ე ლ ი მ ა (თავისთვის)

ნუთუ შიშით კვლავ უნდა ვთრთოდე?

ა დ ე ლ მ ა

მე კვლავ იმედი დამებადა.

## ა ლ ტ ო უ შ ი

არ გეთანხმებით.

უნდა ბოლომდე აღვასრულო ჩვენი კანონი.  
იგი შენია, შენ გეკუთვნის.

## ქ ა ლ ა ფ ი

დიდო ხელმწიფევე,  
თუ ჩემთვის მცირე სიკეთე გსურთ და პატივსა მცემთ,  
თქვენი ასულის სიცოცხლეს თუ აფასებთ დიდად,  
გთხოვთ, შეისმინოთ ჩემი თხოვნა, ვედრება ჩემი.  
ღმერთთა შეწევნით, მოვახერხებ მის ზვიად სულში  
მალე დაეაცხრო ჩემი სისხლის წყურვილი მძლავრი.  
თუ ჰკვიანია, იგი ახსნის ჩემს გამოცანას.

## ტ უ რ ა ნ ლ ო ტ ი (თავისთვის)

დამცინის კიდევ, ჯიუტობას ჩემთანა ბედავს.

## ა ლ ტ ო უ შ ი (ალაფს)

უჭკუო ყრმაო, არც კი იცით, რასა მთხოვთ მაგით,  
არ იცით, რარიგ ჰკვიანია პრინცესა ჩვენი.  
ნუ ფიქრობთ, იყოს საიდუმლო ისეთი ქვეყნად,  
რომ ვერ განსჭვრიტოს, ვერ გაიგოს მისმა გონებამ.  
მაგრამ ვასრულებ მე თქვენს თხოვნას. ხვალ დივანის წინ  
დაე გვითხრას მან სახელები, რაკი არა სურს  
თქვენი ცოლობა. მაგრამ ახალ მსხვერპლს არ გავიღებთ.  
მან თუ ამოხსნა გამოცანა, მაშინ დასტოვებ  
ამ ჩვენს ქვეყანას, კმარა, სისხლი რაც დაიღვარა.  
ახლა კი, პრინცო, გამომყევით!.. უჭკუო ყრმაო,  
რად აიტკივეთ ძალად თავი აუტკივარი?  
(ცვლავ გაისმის მარშის ხმა. ალტოუმი გადის პრინცის, პანტალონის, ტარ-  
ტალიას, სწავლულებისა და საპატიო ყარაულის თანხლებით იმავე კარით,  
საიდანაც შემოვიდა. ტურანდოტი, ადელმა, ზელიმა, მხევალნი და ტრუ-  
ფალდინი თავიანთი საქურისებით გადიან მეორე კარით.)



# მოქმედება მესამე

ოთახი სერალში

გამოსვლა პირველი

ა დ ე ლ მ ა (მარტო)

ახლა თუ არა, ამ ბორკილებს ვერ მოვიცილებ.  
ხუთი წელია მძლავრ სიძულვილს ვატარებ გულით  
და თვალთმაქცური ერთგულებით ვეპყრობი იმ ქალს,  
ვინაც მომიკლა ახალგაზრდა ძმა, სანუკვარი,  
ვინც ამოწყვიტა, ვინაც მოსპო მთლად ჩემი მოდგმა  
და თავის მონად, თავის მხეველად გადამაქცია.  
ვით მის ძარღვებში, ჩემსაშიც ჩქეფს მეფური სისხლი,  
მეც ტახტისათვის ვიყავ მისებრ დაბადებული.  
აწ კი მას უნდა ვემსახურო, მუხლთ მოვიყარო  
მის წინ, ვინაც მთლად ამოწყვიტა ოჯახი ჩემი  
და ვინც მიზეზი გახდა ჩემი უბედურების.  
ვეღარ მოვიტმენ ამ საზიზღარ ძალმომრეობას,  
გამომიღია ღონე უკვე ამ თვალთმაქცობამ,  
ამდენი ხანი რომ ვატარებ უმძიმეს ტვირთად.  
დრო დადგა ახლა, თავისუფლად ამოვისუნთქო  
და მე გზა ხსნისა სიყვარულმა უნდა მიჩვენოს.  
გამოვიყენებ ჩემს ყოველგვარ ხელოვნებასა.  
ან გამოვიცნობ, მივხვდები მის საიდუმლოსა,  
ან ცბიერი გზით ვაიძულებ, გაიქცეს იგი.  
არ უნდა გახდეს იგი შენი, შე საზიზღარო!  
მე აღმოგიჩენ, მე გაგიწევ ამ დახმარებას,

1

რადგან სამსახურს ჩემივე თავს გავუწევ ამით.  
მაშინ დაცხრება ჩემი სული შურისძიებით;  
გულს მთლად დაგიფლეთ, წავაქეზებ შენს სიამაყეს.  
მშვენივრად ვხედავ, კარგად ვამჩნევ, რომ იგი გიყვარს,  
მაგრამ ვერ ბედავ, გამოუტყდე შენივე თავსა.

უნდა უარპყო, უკუთავდო შენ იგი ზიზლით,  
რომ შეირჩინო სასაცილო დიდება ამით,  
მაგრამ დარჩება ეს ისარი შენს გულში მარად,  
ამგვარ პრილობებს განკურნება არ უწერია.

— შენ შეიყვარე და სიმშვიდე დაჰკარგე უკვე!  
(სცენის სიღრმეში გამოჩნდება ტურანდოტი, იგი დაჰყრდნობია ზელიმა).

რომელიც თავისი დედოფლის დამშვიდებას ცდილობს.)

ის აქეთ მოდის, სირცხვილითა და მრისხანებით  
ღონემიხდილი, მოქანცული სიამაყეს და  
სიყვარულს შორის გამართული სასტიკი ბრძოლით.  
რარეგად ვტყებები ტურანდოტის სულიერ ტანჯვით!  
— უკვე გამოჩნდა... მოეუხსმინოთ, რას იტყვის იგი!

## გამოსვლა მეოცე

შემოდინ. ტურანდოტი და ზელიმა საუბრით. აღელმა, დასაწყისში მათგან შეუძინეველი.

## ტურანდოტი

მიხსუნ, ზელიმა, დამეხმარე, მირჩიე რამე!  
მთელი დივანის წინ დავმარცხდი და ასე შევერცხვი!  
ვით ავიტანო, მე ამაზე ფიქრიც კი მზარავს.

## ზელიმა

თუ შეიძლება ქვეყნად მოხდეს ასეთი რამე?  
კეთილშობილი უფლისწული, რომელსაც ასე  
ძლიერ უყვარხართ და ვინც არის ნამდვილად ღირსი  
სიყვარულისა, იმსახურებს თქვენს მარტოოდენ  
ზიზლს და სიძულვილს, დედოფალო...

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ზიზღს და სიძულვილს?

(უცებ გაახსენდება)

— დიახ, მძულს მართლა, მეზიზღება ის მე საშინლად, მან დივანის წინ გამაწბილა და თავი მომპკრა.

ყველა მხარეში გაიგებენ შერცხვენას ჩემსას და სასაცილოდ ამიგდებენ ამ მარცხის გამო.

ხვალ, სისხამ დილით მამაჩემი მოიწვევს დივანს და თუ ვერ ავხსენ პრინცის მიერ დასმული კითხვა,

უნდა მაშინვე გამაყოლონ უფლისწულს ცოლად.

„ვისი შვილია და რა ჰქვია იმ ბატონიშვილს, ლუკმაპურისთვის, ვით მეკურტნე, ტვირთს რომ ზიდავდა და ბოლოს, როცა მიაღწია სასურველ მიზანს, კვლავ უბედურად დატრიალდა იმისი საქმე“.

ეს უფლისწული თვითონ არის, აშკარად ვხედავ,

მაგრამ მითხარი, ვით გავიგო სახელი მისი

და ან რა ჰქვია პრინცის მამას, როცა არავინ

არ იცნობს მას აქ და მეფემაც უფლება მისცა,

თავისი გვარი და სახელი არ ეთქვა ჩვენთვის?

ძალზე შემკრთალი, დაბნეული, შეშინებული

ვიყავი იმ წუთს, რომ დავთანხმდი ამ პირობაზე.

მინდოდა მხოლოდ დრო მომეგო, მაგრამ ვით ავხსნა

ახლა მე მისი გამოცანა, მასწავლე, მითხარ!

რაიმე კვალს რომ წავწყდომოდით!..

ზ ე ლ ი მ ა

მაშინ მკითხავენს

უნდა მივმართოთ, დედოფალო.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

დამცინი კიდეც?

აი, სადამდე არ მივიდა დღეს ჩემი საქმე!

## ზ ე ლ ი მ ა

ერთი მიბრძანეთ, რად გვეკირდება აქ სხვისი შველა?  
გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენ წინ მღვარი ლამაზი პრინცი!  
გრძნობის ამშლელი იყო მისი გულწრფელი თხოვნა!  
მთლად დაივიწყა საკუთარი დარდი და ტანჯვა,  
როდესაც ყაენს, დამზობილი მის ფერხთით, მტვერში,  
თქვენს გამო ასე დაქინებით ევედრებოდა,  
ღიახ, თქვენს გამო, თუმცა ასე შეუბრალებლად,  
ასე ულმობლად მოეპყარი დივანხანაში,  
და ხელმეორედ ჩააგდო მან სასტიკ საფრთხეში  
თვისი სიცოცხლე, ერთხელაც ძლივს გადარჩენილი,  
თქვენი სურვილის, თქვენი ჟინის ასასრულებლად.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ზურგს შეაქცევს)

ჩუმად, ამაზე არა სთქვა რა.

## ზ ე ლ ი მ ა

სახეს მარიდებთ!  
თქვენ უკვე გული აგიძგერდათ! ნუ მალავთ ამას.  
ღიახ, ნამდვილად! თქვენს თვალებში ცრემლი ციმციმებს...  
ნაზი გრძნობისა ნუ გრცხვენიათ! ჯერ არასოდეს  
არ მინახავხართ, დედოფალო, ასე ლამაზი.  
ღროა დანებდეთ! უფლისწული...  
(აღელმა მზადაა წინ გამოვიდეს.)

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

კრინტი არ დასძრა  
იმის შესახებ. მეფის ძეც ხომ მამაკაცია  
და მძულს, რადგანაც უნდა მძულდეს, ვით მამაკაცი.  
ყოველი კაცი ცბიერია და მოღალატე,

მას მარტოოდენ თავის თავი უყვარს ამქვეყნად  
 და მამაკაცთა დაუნდობელ, ვერაგ მოდგმაზე  
 ჩვენს ერთგულებას, თავგანწირვას ამაოდ ვხარჯავთ.  
 ვიდრე ცდილობენ ჩვენი გულის მონადირებას,  
 როგორც მონები, მორჩილებენ ჩვენს ნება-სურვილს  
 და თუ ხელთ გვიგდეს, მტარვალებად გვევლინებიან.  
 მხოლოდ ბრმა ვნებას, სიამაყეს სამარცხვინოსა  
 თვლიან ისინი სიყვარულად, უნაზეს გრძნობად,  
 რისთვისაც თვითონ სიკვდილსაც კი არად აგდებენ.  
 წრფელი, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ქალს ძალუძს.  
 — კმარა, გაჩუმდი! ხვალ მეფის ძემ თუ გაიმარჯვა,  
 მაშინ თვით იგი შემაშინებს სიკვდილზე მეტად.  
 მთელი ქვეყანა, ასე ძლიერ რომ მეზიზღება,  
 მნახავს, თუ როგორ დაემორჩილდი დედაკაცის ხვედრს  
 და მკლავებს ჩემი მეუღლისას, ჩემი მბრძანებლის!  
 არა, არასდროს ასე ძლიერ არ დავმდაბლდები!  
 — მისი საცოლე უნდა გავხდე? დე გამეთხაროს  
 სამარე უმალ, ვიდრე მე ქმრის მკლავებში მოვხვდე!  
 (აღელმა ისევ დაიმალება.)

## ზ ე ლ ი მ ა

თქვენ გეძნელებათ, დედოფალო, აშკარად ვხედავ,  
 დათრგუნოთ თქვენი სიამაყე და ხალხს ეჩვენოთ,  
 ვით დედაკაცი, როგორც ქალი ჩვეულებრივი.  
 მაგრამ, მითხარით სიყვარულის დიდებულ გრძნობას  
 ვით შეედრება წარმავალი, ფუჭი დიდება.  
 გამოტყდით, თქვენი დამარცხების საათმა დაჰკრა!  
 ძირს. სიამაყე! თქვენზე ძლიერს დაემორჩილეთ!  
 თქვენ არ გძულთ იგი, შეძლება მისი არ ძალგიძთ.  
 დაემორჩილეთ საყვარელ კაცს და მერე დაე  
 მთელი ქვეყანა იცინოდეს ბედნიერ წყვილზე!

(ყურს უგდებს, ნელ-ნელა გამოდის და მიდის მათთან)  
 ვინაც მდაბიო. ქალად არის დაბადებული,  
 როგორც ზელიმა, მას შეჰფერის ასე მსჯელობა.  
 მეფის ასული კი მეფურად იფიქრებს, განსჯის.  
 — გთხოვ, მომიტევე, ზელიმა! შენ არ ძალგიძს ჩასწვდე  
 მეფის ასულის გრძნობებს, ვინაც დგას ასე მაღლა,  
 როგორაც ჩვენი დედოფალი; ხალხის თვალში რომ  
 მარცხი აგემოს ვილაც უცხომ, გადამთიელმა,  
 იქნება მისი საშინელი განადგურება.  
 ახლაც კი ვხედავ იმ ზეიმს და ზვიად დაცივნვას,  
 რომელმაც ეგრე გააბრწყინა მამაკაცთ მზერა,  
 როდესაც პრინცმა გამოიციხო ასე ადვილად  
 გამოცანები, მიცემული დედოფლის მიერ.  
 ო, ნეტავ მიწა გამსკდომოდა და ჩავეტანე,  
 ისე ვიყავი შერცხვენილი, განრისხებული.  
 მე მიყვარს ჩემი მბრძანებელი, დიდება მისი.  
 იგი, ვინც ასე დასცინოდა ყველა მამაკაცს,  
 ერთი მათგანის ცოლი გახდეს?

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ნულარ მიწამლავ

გამწარებულ სულს.

ზ ე ლ ი მ ა (დაცინვით)

ო, რა დიდი უბედურება

არის ქმრის შერთვა!

კეთილშობილ გულს, შენ არ იცი, რა შეურაცხყოფს.  
პირფერობა და სიცრუის თქმა არ ძალმიძს. რადგან,  
აქ უთქმელობა სიმართლისა და შებრალება  
მიუტევებელ სისასტიკედ მიმაჩნია მე.

ძნელი როდია ქალისათვის, კაცს გაჰყვეს ცოლად  
და გაიხადოს ის მბრძანებლად, მაგრამ ჩვენ მაინც  
თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებთ, რომ ჩვენ თვითონვე  
ვახდენთ არჩევანს, რათა შემდგომ ქმრის სულგრძელობამ  
დათრგუნოს მისი სიამაყე მამაკაცური.

მაგრამ დედოფალს სულ სხვაგვარი ხვედრი მოელის,  
ის ხომ თვითონვე დაიმძიმა თავისი ქცევით!  
მეფის ძე არა მის სინაზეს და მოწყალებას,  
არამედ მხოლოდ საკუთარ თავს, თავის გონებას  
დაუმაღლის ამ გამარჯვებას; როდესაც იგი  
დაეუფლება ჩვენს დედოფალს, ვით თავის ნადავლს,  
პატივს სცემს კიდევ მეფის ასულს და სულგრძელობას  
გამოიჩენს კი იმის მიმართ, ვინც აიძულა  
ბატონიშვილი, სიცოცხლისთვის ებრძოლა ასე?  
ნუთუ პრინცი იმ უფლებას არ გამოიყენებს,  
რომელსაც იგი საკუთარ თავს უმაღლის მხოლოდ?

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ძლიერ აღელვებულად)

თუ ვერ შევიტყვე სახელები, მაშინვე ხანჯლით  
გულს გავიგმირავე წმინდა ტაძრის წიაღსა შინა.

ა დ ე ლ მ ა

ნუ მიეცემით, მბრძანებელო, სასოწარკვეთას!  
გამხნევდით, გული გაიმაგრეთ! მათს გასაგებად  
ყველაფერსა ვცდით, დედოფალო: ხერხსაც, ღონესაც.

ზ ე ლ ი მ ა

კეთილი. რაკი ჩემზე მეტი ადელმას ესმის!

და თქვენი ასე ერთგულია, როგორც თვით ამბობს,  
გვირჩიოს რამე, დაგვეხმაროს.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჩემო ადელმა!

ჩემო ძვირფასო მეგობარო, მირჩიე რამე!  
პრინცს მე არ ვიცნობ, არც ის ვიცი, სადაურია,  
როგორ გავიგო, რა ჰქვია მას, ან მის მამასა?

### ა დ ე ლ მ ა (ჩაფიქრდება)

მოიცა... მგონი, მეფის ძემ სთქვა, რომ ამ ქალაქში  
ცხოვრობსო ერთი მოქალაქე, ჩემი ნაცნობი.  
უნდა ვიპოვოთ ჩვენ ის კაცი აუცილებლად,  
თუნდაც პეკინის მთლად შემოვლა მოგვიხდეს დღესვე.  
ამ საქმისათვის ნუ დავზოგავთ განძსა და ოქროს.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

წაიღეთ ჩემგან ოქროცა და ძვირფასი ქვებიც,  
არ დავინანებ, დიდ რაიმედ არ მიღირს განძი,  
ოღონდ ხვალამდე უფლისწულის სახელი მამცნეთ.

### ზ ე ლ ი მ ა

მაშ რა ვიღონოთ? რით დავიწყოთ? თუ ამნაირი  
საშუალებით გამოვიცნობთ იმათს სახელებს,  
ვით გავამხილოთ, რომ შევძელით ეს მოსყიდვის გზით  
და არა ჩვენი გონებისა და ნიჭის ძალით?

### ა დ ე ლ მ ა

იქნებ ზელიმამ გვიღალატოს და დაგვასმინოს?



## ზ ე ლ ი მ ა

ეგ მეტისმეტი არის უკვე... ჩემო პრინცესა,  
დაზოგეთ თქვენი ოქროცა და ძვირფასი ქვებიც!  
მე არ გითხარით, რადგან კიდევ იმედი მქონდა,  
რომ თქვენი გული სიყვარულით აძგერდებოდა  
და ინებებდით, აგერჩიათ მეუღლედ ეს ყრმა,  
ყველაზე კარგი, ღირსეული უფლისწულთ შორის,  
რომელიც თვითონ თქვენაც არ გძულთ, მაგრამ რაკი ეს  
აღარ ინებეთ და ისევ თქვენს სიტყვაზე დგებართ,  
ვემორჩილები მონა ქალის მოვალეობას.

— დღეს დედაჩემმა მინახულა. სკირინა ძალზე  
აღტაცებული იყო, რადგან შეეტყო თურმე,  
ხელმწიფის შეილმა ამოხსნაო გამოცანები,  
მაგრამ მან ის კი არ იცოდა, რაც შემდეგ მოხდა.  
მან მითხრა, რომ პრინცს ღამე ჩვენთან გაუთევია.  
რომ მის ქმარს, ჰასანს, იგი კარგად სცნობია თურმე  
და პატივსა სცემს, ვით მეგობარს და თავის ბატონს.  
პრინცის სახელი კი ვერ მითხრა, როდესაც ვკითხე,  
არც თვითონ იცის, არ უთქვია მეუღლეს მისთვის,  
არ ამხელს ცოლთან უფლისწულის გვარსა და სახელს;  
დედას კი მაინც იმედი აქვს, გაიგოს ბოლოს.

— ახლა მიბრძანეთ, ვიმსახურებ თუ არა მართლა  
ჩემი დედოფლის სიყვარულსა და ერთგულებას,  
ან თუ შემფერის შეურაცხმყონ ამგვარი ეჭვით?  
(შეურაცხყოფილი გაღის.)

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ცდალობს დაეწიოს)

დარჩი, ზელიმა! შეურაცხგყვეს? ნუ წახვალ, დარჩი!  
გთხოვ, მიუტევო შენს მეგობარს!

ა დ ე ლ მ ა (დედოფალს უკან აბრუნებს)

დაე წავიდეს!

ზელიმამ უკვე დაგვაყენა საქირო კვალზე;  
ახლა ჩვენ სწრაფი, გონივრული მოქცევა გვმართებს.  
იმის ფიქრი კი სისულელე იქნება მხოლოდ,  
რომ ჩვენ ჰასანი საიდუმლოს გაგვიმხელს. ნებით,  
როცა მას ამის მნიშვნელობა მშვენიერად ესმის.  
უნდა მივმართოთ სიციბიერეს და თუკი ესეც  
ვერას გვიშველის, მაშინ ძალას გამოვიყენებთ,  
რომ საიდუმლო გაგვიმჟღავნოს. უნდა ავჩქარდეთ,  
ტყუილუბრალოდ ერთი წუთიც არ დაგვეკარგოს,  
ვიდრე ჰასანს არ გაუგია, არ დაგვსხლტომია  
იგი ხელიდან, გთხოვთ, სერალში მოაყვანინოთ.  
თქვენი მონები სად არიან?

ტ უ რ ა ნ ლ ო ტ ი (ყელზე ჩამოეკიდება;  
ღ)

მე თანახმა ვარ.

როგორც შენ გნებავს, მეგობარო, დე მოხდეს ისე.  
ოლონდ მან ჩემზე გამარჯვება ვერ იზეიმოს.

(გაღის.)

ა დ ე ლ მ ა

ო, გამამხნევე, სიყვარულო! შენ გიხმობ ახლა,  
უძლიერესო, ამქვეყნად რომ ყველაფერს ამსხვრევ!  
მაშ მეც მონობის ბორკილები დამამსხვრევიან!  
დე გზა გამიხსნას ჩემივე მტრის ამპარტაენობამ!  
შენ კი მიშველე, მოვატყუო სასტიკი მტერი,  
და დავიბრუნო მეგობარი, დავიცხოვრო გული.

(გაღის.)

## მოედანი სასახლის კარიბჭესთან

კ ა ლ ა ფ ი და ბ ა რ ა კ ი შემოდინ საუბრით.

### გამოსვლა მისაგე

კ ა ლ ა ფ ი

რაკი შენს გარდა ამ ქალაქში არაეინ მიცნობს,  
ჩემო ერთგულო მეგობარო, რადგან აქედან  
დაშორებული არის მრავალ ასეულ მილით  
ჩემი სამეფო და რვა წელიც გავიდა უკვე  
მასუკან, რაც ის წაგვართვეს და ჩვენაც ცოცხლებად  
აღარ ვითვლებით. ძალგვიძს თავი უშიშრად ვიგრძნოთ.  
ასეა, ბარაკ, უბედური ადამიანი  
კაცთა ხსოვნიდან წაიშლება, გაჰქრება მალე.

ბ ა რ ა კ ი

არა, უკუყოფ მოიქეცით. ბატონიშვილო.  
გთხოვთ, მომიტევეთ, უბედური ადამიანი  
უნდა უფრთხოდეს შეუძლებელს სწორედ ამიტომ.  
მუნჯი ქვებიც კი ზოგჯერ ენას ამოიღგამენ  
და ეს კედლებიც ყურს დასცქვეტენ, რომ შემდეგ გაგვცენ.  
არ შემიძლია, დამშვიდებას ვერ მივეცემი!  
ბედმა წყალობით გაგიღიმათ, ლამაზი ქალი  
ხელთ ჩაგივარდათ ასე უცებ, მოულოდნელად,  
და მასთან ერთად იმპერია უზარმაზარი,  
მაგრამ დაჰკარგეთ ყველაფერი, დედაკაცური  
სისუსტისა და გულჩვილობის წყალობით მხოლოდ.

კ ა ლ ა ფ ი

შენ რომ გენახა მისი ტანჯვა, წუხილი, ცრემლი!

ბ ა რ ა კ ი

ბერლში დარჩენილ უნუგეშო მშობლების ცრემლზე  
და მათს ტანჯვაზე უფრო მეტი უნდა გეზრუნათ,  
ვიდრე ვილაცა დედაკაცის ცრემლთა ფრქვევაზე.

## კ ა ლ ა ფ ი

აგრე ნუ ჰკილავ სატრფოს ჩემსას, მზადა ვარ მისთვის  
სუყველაფერი გავაკეთო, იქნება ჩემმა  
დიდსულოვნებამ იმოქმედოს და მის გულშიაც  
ფესვი გაიდგას, გაიღვიძოს მადლიერებამ.

## ბ ა რ ა კ ი

ამ გველის გულში გაიღვიძებს მადლიერება?  
მაგის იმედი ნუ გექნებათ.

## კ ა ლ ა ფ ი

ვერ დამისწალტება  
იგი ხელიდან, როგორ ახსნის ჩემს გამოცანას?  
მართალს არ ვამბობ? ბარაკ, შენ ხომ არ მილაღატებ?  
იქნება ჩუმად გაუმხილე ჩემი სახელი  
ღედაკაცს შენსას?

## ბ ა რ ა კ ი

ერთი სიტყვაც არ მითქვამს მისთვის.  
ვიცი, თუ როგორ აღეასრულო ნათქვამი თქვენი,  
მაგრამ გულს ცუდი წინაგრძნობა აწუხებს მაინც!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ე

ი გ ი ვ ე ნ ი, პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი, ტ ა რ ტ ა ლ ი ა და ბ რ ი გ ე ლ ა  
გ უ შ ა გ ე ბ ი თ.

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ერთი უყურე, სად ყოფილა! დალაზვროს ღმერთმა!  
სად წამოსულხართ, უფლისწულო? აქ რას აკეთებთ?  
(ბარაკს თვალს ააფლ-ჩააფლებს.)

ეს ვილა არის? თქვენ საიდან გადაგეკიდათ?

## ბ ა რ ა კ ი (თავისთვის)

ვაი ჩვენ! რაღა გვეშველება?

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

სთქვით, ეს ვინ არის?

1

ქ ა ლ ა ფ ი

ამ კაცს არ ვიცნობ. აქ მას მხოლოდ შემთხვევით შევხვდი და რადგან მარტო მომეწყინა, გავესაუბრე ამ თქვენს ქალაქზე და აქაურ ადამ-წესებზე.

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

ვერ მოქცეულხართ, პრინცი, კარგად. ძალზე მიმნდობი და მიამიტი ბრძანებულხართ ამ ცბიერ ხალხში. ჭკუას კი არა, გულის ნათქვამს მიჰყვებით უფრო, როგორც ამ დილით ეს დივანში მოიმოქმედეთ. რა სისულელე დაგემართათ—ხელში ნაჭერი ჩიტი როგორღა გაგიფრინდათ?

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

რაც იყო, იყო.

წარსულს ვერაფრით დავიბრუნებთ, ვანებოთ თავი. თქვენ კარგად ამჩნევთ, უფლისწულო, რარიგ ღრმა წყალში შეგიტოპიათ და გამცემნი გარტყიათ ირგვლივ. თუ თვალი ოდნავ მოგაცილეთ და ჩამოგშორდით, შოშისასავით გაგაბამენ მახეში წამსვე.

(ბარაკს)

შენ კი, დიდგულავ, სხვაგან სადმე წაიღე ცხვირი. ბატონიშვილო, გთხოვთ, ინებოთ შინ დაბრუნება.

ჯარისკაცებო, აბა აქეთ, პრინცს შემოერთყით!..  
თქვენ კი, ბრიგელა, თქვენი ვალი გახსოვდეთ კარგად:  
კართან გუშაგი დააყენეთ და უღარაჯეთ,  
ვიდრე ხვალ დილით იგი დივანს წარუდგებოდეს,  
რომ ახლოს არვინ გაეკაროს. ასე სურს მეფეს.  
(კალაფს)

გესმით? მას ძლიერ შეუყვარდით და ეშინია,  
უბედურება რაიმე არ გადაგეყაროთ.  
ხვალ თუ ვერ გახდით მისი სიძე, ძალიან ვშიშობ,  
სამარისკენ არ წავასვენოთ მოხუცი მეფე...  
ნუ განრისხდებით, ხელმწიფის ძვე, მაგრამ დღეს დილით  
თქვენ სისულელე ჩაიდინეთ... ღვთის გულისათვის,  
აწ მაინც ჭკუით მოიქეციეთ. არავის უთხრათ  
თქვენი სახელი.

(ყურში უჩურჩულებს.)

მაგრამ თუკი მოხუც პანტალონს  
თქვენს სახელს ყურში ჩასჩურჩულებთ, თუ ეტყვიან ჩუმად,  
ო, ამას დიდად დაგიმადლებთ, ბატონიშვილო.  
მაშ გახდით ღირსსა ამგვარ ნდობის?

კ ა ლ ა ფ ი

რაო, მოხუცო?  
ასე ასრულებთ თქვენი დიდი მბრძანებლის ნათქვამს?

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ყოჩაღ, მეფის ძვე! მაშ წავიდეთ! გასწით, ბრიგელა!  
ვერ გაიგონეთ? რას უდგეხართ გაშტერებული?

ბ რ ი გ ე ლ ა

რა მოგივიდათ, დაამთავრეთ, ლაპარაკს მორჩით,  
რომ მეც ახლავე შევეუდგე ჩემს მოვალეობას.

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა

გახსოვდეთ, პრინცზე პასუხს აგებთ საკუთარ თავით.

## ბ რ ი გ ე ლ ა

თქვენზე ნაკლებად, ბატონებო, არ მიყვარს თავი  
და, მე მგონია, ზედმეტია ეგ გაფრთხილება.

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა

აჰ, რარიგ მინდა, რომ შევიტყო მისი სახელი!  
დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონიშვილო,  
თუ ინებებთ და მეტყვით სახელს, გულს დავიმარხავ.

## კ ა ლ ა ფ ი

ტყუილად ცდილობთ, რომ რაიმე გაიგოთ ჩემგან.  
ხვალ სახელს ჩემსას მთელ ქვეყანას შევატყობინებ.

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა

ყოჩად, მეფის ძევ! რაღას ვცდილობ, დასწყევლოს ღმერთმა!

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

აწ მაშ მშვიდობით, უფლისწულო!  
(ბარაკს)

გასწი აქედან,  
შე ოინბაზო, სასახლეში ტანტალის ნაცვლად  
არ გირჩევნია რამე საქმეს მოჰკიდო ხელი?  
გესმის თუ არა?

(გაღას.)

ღიახ: ღიახ, მისი სიფათი

მაინც და მაინც არც მე მომწონს, ო სულაც არა.

გირჩევ, მშვიდობით გაგვეცალო.

(მისდევს პანტალონს.)

ნება მიბოძეთ,

დავემორჩილო მას, რომელსაც ბრძანება ძალუძს.

ხომ არ ინებებთ, ხელმწიფის ძევ, შინ დაბრუნებას?

### კ ა ლ ა ფ ი

სიამოვნებით წამოგყვებით.

(ბარაკს, ჩუმად)

აბა, ნახვამდის,

ჩემო ძვირფასო მეგობარო. ვისურვოთ უფრო

ბედნიერები შევხვევროდეთ ერთმანეთს სხვა დროს.

### ბ ა რ ა კ ი

მონა-მორ ჩილი ვარ მე თქვენნი.

### ბ რ ი გ ე ლ ა

აბა სასწრაფოდ,

ახლავე მორჩით მაგ ბოდიშს და ცერემონიას.

(კალაფი მისდევს ჭარისკაცებს, რომელნიც მას ირგვლივ შემოერთყვიან. გამოდის თემური მოპირდაპირე მხრიდან, დაინახავს თუ არა გუშაგებით შე-

მორტყმულ კალაფს. საშინლად გაოცდება და შეშინდება.)



გფარავდეს ზეცა, ყრმავ უმანკოვ. დიდსულოვანო!  
ბევრიც ეცადონ, ვერც ერთ სიტყვას ვერ დამტყუებენ.

### გამოსვლა მისუთი

თ ე მ უ რ ი, ღარიბულად ჩაცმული მოხუცი. ბ ა რ ა კ ი,

თ ე მ უ რ ი (შეწინებული თავისთვის)

ახა-ვაგლახ მე! ჩემი შვილი სალდათებს მიჰყავთ!  
ალბათ სიკვდილით დასასჯელად. თბილისის მეფემ,  
ჩანს, პეკინშიაც მიაგნო და იძია შური.  
კალაფ! კალაფ!

### ბ ა რ ა კ ი

(წინ შეხვდება და გულზე მახვილს დააბჯენს)

სსუ! ჩუმად. თორემ ახლავე მოგკლავ!  
(პაუზა, ორივენი ერთმანეთს განცვიფრებულები უცქერიან. ამასობაში  
გუშაგები თვალს მიეფარებან.)

ვინ ხარ, მოხუცო, ერთი მითხარ, საიდან იცი  
იმ ყრმის სახელი?

### თ ე მ უ რ ი

ღმერთო ჩემო. რას ვხედავ ამას?  
ბარაკ, შენა ხარ? აქ, პეკინში? მაშ შენ გააყიდე  
ჩემი კალაფი, ჩემი პირმშო? უსირცხვო მონავ!  
და ეგ მახვილი შენს მეფეზე აღმართე ახლა?

### ბ ა რ ა კ ი

(თავზარდაცემული ძირს დაუშვებს მახვილს)  
ო, ზეცის ძალნო! ჩემო მეფევ. ეს თქვენ ბრძანდებით?

## თ ე მ უ რ ი

ღიახ, ეს მე ვარ, უბედური შენი ხელმწიფე,  
ყველამ გამყიდა და თვითონ შენც მიმუხთლე ახლა!  
რალას აყოვნებ, შეიწირე ჩემი სიცოცხლე,  
სიცოცხლე ახლა რაღად მიღირს, როდესაც ჩემმა  
უერთგულესმა კარისკაცმაც კი არ დამინდო  
და ჩემი შვილი სასიკვდილოდ გამოიმეტა!

## ბ ა რ ა კ ი

ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩემი ხანი, ჩემი ხელმწიფე!  
ის არის, ისა! კიდევ კარგი, ვიცანი იგი!  
(დაემხოზა მის ფერხითთ.)

ამ მტვერში მწოლი, გატანჯული, დამდაბლებული!  
აი, რის ნახვას შევესწარი, მაღალო ზეცავ!  
შემინდეთ, მეფევ, ასე ძლიერ რომ გაგირისხდით!  
მაგრამ აქამდე მიმიყვანა მე თქვენი შვილის  
სიყვარულმა და შიშმა, ზრუნვამ მის სიცოცხლეზე.  
თუ თქვენი შვილი ასე გიყვართ, აღარ წამოსცდეს  
მისი სახელი, მბრძანებელო, ბაგეებს თქვენსას.  
მეც აქ ჰასანი მქვია ახლა, არა ბარაკი...  
ვაი ჩვენ, თუკი ამ ლაბარაკს ყურს უგდებს ვინმე!  
მითხარით, ჩემი დედოფალი როგორ ბრძანდება,  
ხომ ჩამოვიდა ამ ქალაქში ის თქვენთან ერთად?

## თ ე მ უ რ ი

ნურათერს მკითხავ მის შესახებ, ძვირფასო ბარაკ!  
ის ქალაქ ბერლში, ჩვენს საცოდავ თავშესაფარში,  
გადაიყოლა შვილზე ჯავრმა და მწუხარებამ —  
გარდაიცვალა ამ უღონო მკლავებზე მწოლი.

## ბ ა რ ა კ ი

ჩემო საბრალო მბრძანებელო!

## თ ე მ უ რ ი

გამოვიქეცი,

ვერ გავძელ ბერლში, მარტო ყოფნა ვერ ავიტანე.  
სულ კითხვა-კითხვით მოვდიე კვალს ჩემი შვილისას,  
ერთ ქალაქიდან მეორემდე, ქვეყნიდან ქვეყნად  
და ბოლოს, შემდგომ დიდი ხანი ხეტიალისა,  
ღმერთების ნებით, მოვალწიე მე ამ ქალაქში.  
სადაც მაშინვე თვალი მოვკარ შეპყრობილ შვილსა,  
ჯარისკაცებს რომ დასასჯელად მიჰყავდათ უკვე.

## ბ ა რ ა კ ი

ნუ გეშინიათ, მბრძანებლო, ნუ სწუხართ შვილზე.  
ვინ იცის, სანამ ხვალინდელი ღლე დაღამდება,  
იგი ყველაზე ბედნიერი შეიქმნეს ქვეყნად  
და მასთან თქვენაც. ოღონდ მისი სახელი, მეფევ,  
აგრეთვე თქვენი სახელიცა არ უნდა დასცდეს  
ბაგეებს თქვენსას, არვის უთხრათ... დაიმახსოვრეთ!  
ახლა მე ჰასანს მეძახიან და არა ბარაკს.

## თ ე მ უ რ ი

რა საიდუმლო არის ეგა, სთქვი, ამიხსენი!

## ბ ა რ ა კ ი

არ შეიძლება აქ მაგაზე ვილაპარაკოთ!  
ჩემსას წაგიყვანთ, გამომყევით. რას ვხედავ ამას?

(დაინახავს სასახლიდან გამოხულ სკირინას.)

ჩემი მეუღლე სერალიდან ბრუნდება! ვაგლახ!  
აღმოგვაჩინეს! დავიღუპეთ!

(სკირინა, გაცხარებით)

აქ რას დაეძებ?

საიდან მოხვალ, უბედურო? ხმა ამოიღე!

## გამოსვლა შექცევა

სკირინა და იგიენა.

სკირინა

საიდანა და სერალიდან, ქალთან ვიყავი!  
როცა გავიგე გამარჯვება ჩვენი სტუმრისა,  
აღარ ვიცოდი, რაღა მექნა, სიხარულისგან  
შინ ვერ გავჩერდი, სასახლისკენ გავსწიე წამსვე,  
კაცთამოძულე ჯადოქარი მსურდა მენახა,  
როგორც საცოლეს რანაირად ეჭირა თავი.  
ჩემი ზელიმაც ვინახულე და მასთან ერთად  
ანაზე დიდად გავიხარეთ.

ბარაკი

მეც ეგ მეგონა.

ეჰ, დედაკაცო! დედაკაცო! ვერ გავიგია  
სუყველაფერი, იმის მერე რა მოხდა კიდევ,  
თუმც სულ იქ ბრუნავ; ვით კაჭკაჭი, ენაქართალა;  
მსურდა მეპოვნე. გაფრთხილება მინდოდა შენი.  
მაგრამ ამაოდ!.. მამაკაცის ჭკვიანურ რჩევას  
მუდამ წინ უსწრებს სიტუტუცე დედაკაცისა...  
ვინ იცის, რა არ წამოროშე გახარებულმა  
და ისიც კი სთქვი: „ეგ უცნობი ხელმწიფის შვილი  
ჩვენთანა ცხოვრობს, ვით სტუმარი; ჩემი მეუღლე  
იცნობს მას და დიდ პატივს სცემსო“. — ასე არაა?  
ნართალი მითხარ, ხომ ასე სთქვი?

სკირინა

მერე რა უშავს?

ვთქვათ და ასე ვთქვი. რა იქნება ამითი ვითომ?

არა, გამოტყდი! ხომ ასე სთქვი?

ს კ ი რ ი ნ ა

რატომაც არა?

დიახ, ვუთხარი. დასამალი რა მქონდა ნეტავ?  
პრინციის სახელი ნებავდათ მათ შეეტყოთ ჩემგან  
და მეც შევპირდი, გაიგებთ-თქო, არ დაგიმალავ.

ბ ა რ ა კ ი

ვაიმე! მაშ ხომ დავლუპულვართ! — ჰკვადამთხვეულო!  
(თემურს)

ამ ადგილს უნდა გავეცალოთ! უნდა გავიქცეთ!

თ ე მ უ რ ი

აწ მაინც მითხარ, გამიმხილე მე საიღუმლო.

ბ ა რ ა კ ი

შორს პეკინიდან! არ დავეკარგოთ არც ერთი წუთი!

(სცენის სიღრმეში გამოჩნდება ტრუფალდინი თავისი ზანგებით.)

ვაგლახ! მოდიან! წასვლა უკვე დავაგვიანეთ!

მე დამეძებენ ზანგები და საჭურისები

ტურანდოტისა... შე ტუტუცო, თავქარიანო,

რა სატანჯველში არ ჩაგვყარა შენმა ენამა!

(ტრუფალდინი შეამჩნევს ბარაკს და საჭურისებს ანიშნებს, რომ

შეიპყრონ იგი.)

აწ მე გაქცევა აღარ ძალმიძს... შენ გაიქეცი,

იხსენი თავი, ეს მოხუციც თან წაიყვანე!

## თ ე მ უ რ ი

მიტხარი, ჰასან!

ბ ა რ ა კ ი.

გაიქეციტ! ნულარ კამათობთ!

აღმომჩინეს! თქვენი ენა დაჲ დადუმდეს  
როგორც სამარე! არ წამოსცდეს თქვენი სახელი  
და არც იმისა, ვით გითხარით, ბაგეებს თქვენსას.  
— შენ კი, ბედშავო. რაკი ასეთ უბედურებას  
გადავეყარეთ შენი ენის გამოისობით,  
კარგს იზამ, თუკი ახლავ წახვალ, დაიმალე  
არა შენს სახლში, არამედ სხვა ვინმეს ბინაში!  
ეს მოხუციც იქ გადამალე ხვალ შუადღემდე...  
ნულარ აყოვნებთ!.

## ს კ ი რ ი ნ ა

მაშ ამის მეტს არაფერს მეტყვი?

## თ ე მ უ რ ი

შენც ჩვენთან ერთად არ წამოხვალ?

ბ ა რ ა კ ი.

წადით! თქვენ მაინც  
იხსენით თავი! რაც მომივა, ღე მომივიდეს!

## ს კ ი რ ი ნ ა

მიტხარი, ჰასან, რაში შევცდი, რა ღავაშავე?

## თ ე მ უ რ ი

ანიხსენ მეც ეს გამოცანა.

## ბ ა რ ა კ ი (გაცხარებით)

რარიგ მაწამებთ!

ღმერთებს გაფიცებთ, ახლავ წადით, ნულარას მკითხავთ!  
აი, ისინიც შემოგვერტყნენ, დაგავიანდათ --  
ამაო არის ყოველგვარი გაქცევა ახლა.

მოხუცო კაცო, სახელები არ გასთქვა ოღონდ  
და შეიძლება ყველაფერი დასრულდეს კარგად!

## გამოსვლა მთავრიდან

ი გ ი ვ ე ნ ი, ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი, საპურისეზს თანხლებით.

## ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

(ყველა გასასვლელთან საპურისეზს დააყენებს. თვითონ კი მივარდება  
ბარაკს და მკერდზე ხანჯალს მიაბჯენს)

გაჩერდით, თორემ გაგათავებთ! არ დასძრათ კრინტი!  
ვინც გაინძრევა, უეჭველი სიკვდილი ელის.

## ს კ ი რ ი ნ ა

უი ჩვენს თავსა!

## ბ ა რ ა კ ი

კარგად ვიცი, რომ ჰასანს ეძებთ.  
აი, აქა ვარ, წამიყვანეთ.

## ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

ჩუმად! ნუ ჰყვირით!  
ღიჯი წყალობა და პატივი მოგელით, ჰასან!

## ბ ა რ ა კ ი

ღიახ, მომელის! სერალში გსურთ წაყვანა ჩემი.  
მაშ რაღას უცდით, წამიყვანეთ.

## ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

წყნარად, დამშვიდდით!  
ნუთუ ვერა გრძნობთ, რა წყალობა მოგელით ახლა!  
ბედნიერი ხართ, ბედნიერი! ჰარამხანაში,  
სერალში ჩვენი დედოფლისა, ღიახ სერალში,  
სადაც ბუზიც ვერ შეფრინდება, თუ არ დავრწმუნდით,  
რომ ის ნამდვილად მდებრობითი სქესისა არის.  
და თუ მამალი აღმოჩნდება, უწყალოდ დავსჯით.  
ეგ ბერიკაცი ვინლა არის?

## ბ ა რ ა კ ი

ვილაცა გლახა,  
მე მას არ ვიცნობ... მაშ წავიდეთ, ნუღარ ვაყოვნებთ.

## ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი

(დამცინავად ათვალიერებს თემურს)

ერთი მოიცა... შენ ამბობ, რომ გლახაკიაო...  
— ჩვენ შეგვიძლია სულგრძელობა მაგის მიმართაც  
გამოვიჩინოთ და სერალში თან წავიყვანოთ.  
(შეამჩნევს სკირინას.)

— ეს დედაკაცი ვინლა არის?

## ბ ა რ ა კ ი

რაღას აყოვნებ?

ხომ კარგად ვიცი, რარიგ გელის მეფის ასული.  
ზოეში საწყალ ბერიკაცსა. მაგ დედაკაცსაც  
პირველად ვხედავ, არასოდეს არ შემხვედრია,  
არც ვიცნობ.



არა? მაშ პირველად ხედავ ამ ქალსა?  
ო, უსიროცხვილო მატყუარავ!.. განა არ ვიცი,  
რომ შენი ცოლი და ზელიმას დედაა იგი?  
მე ხომ სერალში ასჯერ მაინც მინახავს, როცა  
მას თავის ქალთან თეთრეული მოჰქონდა ხოლმე.  
(დამცინავი მედიღურობით საპურისებს)

აბა, მონებო, უურად იღეთ ბრძანება ჩემი!  
დააპატიმრეთ სამივენი, წამოიყვანეთ;  
ფხიზლად ადევნეთ თვალი, გესმით, რომ მათ ვერავინ  
გაესაუბროს და, როდესაც ღამე მოაწევს,  
მყისვე სერალში მოიყვანეთ სამივე ერთად!

თ ე მ უ რ ი

ოჰ, ღმერთო ჩემო! რა მომელის!

ს კ ი რ ი ნ ა

არა მესმის რა.

ბ ა რ ა კ ი (თებურს)

რა მოგელის შენ, ბერიკაცო, ან მე რა მელის?  
ყოველგვარ ტანჯვას გადავიტან. შენც გაუძელი!  
არ დაგავიწყდეს, რაცა გთხოვე, რაც უნდ შეგემთხვეს:  
გტანჯონ, გაწამონ, — არა სთქვა რა. იყავი ჩემად!  
— აი, სულელო დედაკაცო, რაც შენ გინდოდა.

ს კ ი რ ი ხ ა

ღმერთო, გვიშველე!

ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ი (ზანგებს)

შეიპყარით! წამოიყვანეთ!  
(გაღიან.)

## მოქმედება მეოთხე

სვეტებიანი წინა ეზო  
შუა ადგალას მაგიდაზე დგას ოქროთი სავსე  
ლანგარი

### გამოსვლა პირველი

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი. ზ ე ლ ი მ ა. ს კ ი რ ი ნ ა. თ ე მ უ რ ი. ბ ა რ ა კ ი.  
(ბარაკი და თემური დგანან სხვადასხვა სვეტებთან ერთმანეთის პირდაპირ,  
ირგვლივ საკურისები შემორტყმიან, ხელში შიშველი ხმლებითა და ხანჯ-  
ლებით. ერთ მხარეს დგანან ზელიმა და სკირინა, ცრემლმორეულები, მეორე  
მხარეს კი დგას ტურანდოტი მრისხანე, მუქარის გამომხატველი სახით.)

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჯერ კიდევ დრო გაქვთ. თავს ვიმცირებ ამგვარი თხოვნით.  
აი, შეხედეთ, თქვენი არის ეს ოქროს გროვა,  
თუ უცნობი ყრმის წარმოშობას და სახელს მეტყვით.  
მაგრამ თუ ასე დადუმდებით, იცოდეთ, წამსვე  
გულს გაგიგმირავთ ეს ხანჯლები შეუბრალებლად.  
ჰეი, მონებო! მოემზადეთ!

(საკურისები ხანჯლებს მოუღერებენ ბარაკსა და თემურს.)

‡

ბ ა რ ა კ ი (სკირინას)

ხომ ხედავ ახლა,

შენმა ლაუბობამ; დედაკაცო, სად მიგვიყვანა.

— თავს დამატებთ თქვენი რისხვა, მეფის ასულო!  
რა ტანჯვაც უნდა მოიგონოთ, ვერ შემაშინებთ,  
სიკვდილისათვის მზად გახლავართ. — აბა, მონებო!  
ტირანი ქალის მძვინვარების ბრმა იარაღო,  
თქვენი მრისხანე მახვილები მომართეთ აქეთ,  
დამცხეთ, მომკალით, ასო-ასოდ ამკუწეთ ხანჯლით.  
— მან მართალი სთქვა, მე ვიცნობ პრინცს და მამამისსაც,  
ვიცი ორივეს სახელი მე, მაგრამ რაც უნდა  
მტანჯოთ, მაწამოთ, მათს სახელებს ვერ მათქმევინებთ.  
ვერც მაგ ოქროთი მომისყიდით, ეგ განძი ჩემთვის  
მხოლოდ მტვერია უმნიშვნელო! ჩემო მეუღლე,  
ნუ მიეცემი მწუხარებას ჩემი გულისთვის,  
ამ მოხუცისთვის შეინახე ცრემლები შენი.  
მისთვის მოალბე ეს ქვა გული, რომ ამით იხსნა  
ეს კაცი, რადგან მთელი მისი დანაშაული  
მხოლოდ ის არის, რომ ის ჩემი მეგობარია.

ს კ ი რ ი ნ ა (ტურანდოტს მუღარით)

ოჰ, შეგვიბრალეთ, დედოფალო!

თ ე მ უ რ ი

ნუ შესწუხდებო

ვილაც უძლური მოხუცისთვის, ვისაც ღმერთები  
რისხვით სდევნიან, რომლისთვისაც სიკვდილი ხსნაა,  
ხოლო სიცოცხლე ტანჯვა არის აუტანელი.  
მინდა დაგიხსნა, მეგობარო, და ისე მოგკვდე!  
მაშ იცოდე, შე უღმობელო!..

ბ ა რ ა კ ი (შეაწყვეტინებს)

ღმერთებს გაფიცებთ,  
მისი სახელი არ წამოსცდეს ბაგეებს თქვენსას!

იციან იმ ქაბუქს, ბერიკაცო?

თ ე მ უ რ ი

მე იმას ვიცნობ?

ეგ რა კითხვაა, ულმობელო?! ერთი მითხარი,  
ჩემო ძვირფასო მეგობარო, რატომ არ ძალმიძს  
მისი სახელი გავამხილო?

ბ ა რ ა კ ი

თუ მას წარმოსთქვამთ,  
დალუბავთ იმას და ამით ჩვენც დავილუბებით.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მოხუცო, მას სურს შეგაშინოს, ნუ გეშინია!  
აქეთ, მონებო, ეს თავხედი დასაჯეთ მკაცრად!  
(საკურსიები გარს შემოურტყმიან ბარაკს.)

ს კ ი რ ი ნ ა

ოი, ღმერთებო, დაგვეხმარეთ! ჩემო მეუღლე!

თ ე მ უ რ ი (ჩაღება მათ შორის)

შეჩერდით-მეთქი! რა უნდა ვქნა? ო ზეცის ძალნო,  
რა წამებაა! შემომფიცეთ, მეფის ასულო,  
თქვენივე თავი დაიფიცეთ, ღმერთები თქვენი,  
რომ მის სიცოცხლეს, აგრეთვე ამ უცხოელისას  
საფრთხე არ ელის... საკუთარს კი არაფრად ვაგდებ  
და სიხარულით შევწირავ მას თქვენს მძვინვარებას...  
შემომფიცეთ ეს და ყველაფერს გაგაგებინებთ.

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჩემს თავსა ვფიცავ, გეფიცებით მრისხანე ფუ-სის,  
საფრთხე არ ელის მათ სიცოცხლეს არავითარი.

### ბ ა რ ა კ ი (შეაწყვეტანებს)

კმარა, შეჩერდით, მატყუარავ, ნულარას იტყვით...  
არ დაერწმუნოთ, მაგ ფიცშიც კი ღალატი მოჩანს.  
მეფის ასულო, დაიფიცეთ, რომ უცნობ ჭაბუქს  
ცოლად წაპყვებით, რა წამს გეტყვით ორივეს სახელს, —  
თქვენც კარგად იცით, ეს იქნება სამართლიანი, —  
შემოგვფიცეთ, რომ იგი, თქვენგან უარყოფილი,  
სასოწარკვეთით შეპყრობილი საკუთარ ხელით  
თავს არ მოიკლავს; დედოფალო, მოგვეცით თქვენი  
ბეფური სიტყვა, რომ არ ელის სიკვდილის საფრთხე  
სიცოცხლეს ჩვენსას, არ ჩაგვამწყვდევთ საპყრობილეში  
და სამუდამოდ არ დაგვმარხავთ ციხეში ცოცხლად,  
და მე პირველი გაგიმჟღავნებთ ორივეს სახელს.

### თ ე მ უ რ ი

რა საიდუმლო უნდა იყოს! დიდო ღმერთებო,  
თქვენ ამაცილეთ ეს წამება და გულისხმეთქა!

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მე ლაპარაკით დავილაღე... ჰეი, მონებო!  
ახლავ განგმირეთ!

### ს კ ი რ ი ნ ა

დედოფალო. გთხოვთ. შეგვიბრალოთ!

(საჭურისები დააპირებენ ბრძანება აასრულონ. მაგრამ სკირინა და ზელიძა  
ჩაუარღებინ მათ შორის)

## ბ ა რ ა კ ი

ხედავ, მოხუცო, ძუ ვეფხვს რა ქვა გული ჰქონია!

თ ე მ უ რ ი (ძირს დაეცემა)

ოჰ, ჩემო შვილო, სიხარულით შეგწირავ მსხვერპლად  
სიცოცხლეს ჩემსას, მეც გავყვები დედაშენის კვალს.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(ელდანაკრავი შეაჩერებს მონებას)

ო, ეს რა მესმის! მისი შვილი! ხელი არ ახლოთ!  
მაშ შენ მეფე ხარ, მბრძანებელი, უცნობის მამა?

თ ე მ უ რ ი

დიახ, მეფე ვარ, უღმობელო, მამა ვარ, მამა —  
სვეუბედური, გაქელილი მწუხარებისგან.

ბ ა რ ა კ ი

ჩემო ხელმწიფევ, ეს რა ჰქენით!

ს კ ი რ ი ნ ა

მეფე და ასეთ  
გაჭირვებაში ჩავარდნილი?

ზ ე ლ ი მ ა

ჰოი, ღმერთებო!

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(დიდად განცვიფრებული, თან გულაჩვილებულიც)  
ხელმწიფე ასე სამარცხვინოდ დამდაბლებული?!

მამა იმ ყრმისა, ვინაც მინდა რომ შევიძლო,  
თავს ძალას ვატან, მაგრამ მაინც ვერ შევიძელი!  
ოი, საბრალო ბერიკაცო... ვერ გამიგია,  
რა მემართება!.. რარიგ ძლიერ მეტკინა გული!  
მამა პრინცისა!.. და მან თვითონ არა სთქვა ასე?  
იძულებული იყო, როგორც მდაბიო მონას,  
თავი ერჩინა ტვირთის ზიდვით, მეკურტნეობით.  
აი რარიგად ათამაშებს აღამიანებს  
სასტიკი ბედი! ღმერთო ჩემო!

### ბ ა რ ა კ ი

ტურანდოტ, თქვენს წინ  
თვით ხელმწიფე დგას, უნდა თრთოღეთ და გეშინოდეთ,  
ნუ შეურაცხყოფთ მის ხელმწიფურ უდიდესობას!  
თუ ასე დიდი მწუხარება გულს ვერ მოგიღობოთ  
და სიბრალოლის გრძნობა თქვენში დადუმებულა,  
დაე სირცხვილის გრძნობა მაინც ალაპარაკდეს.  
პატივი ეცით საკუთარი მამის ჭალარას  
ამ მოხუც კაცში!.. არ გრცხვენიათ ნუთუ იმ საქმის,  
რამაც წაბაღწა თქვენი სისხლი, სახელი თქვენი?  
გეყოთ, რაც უქვე ამოსწყვიტეთ ახალგაზრდობა,  
გთხოვთ, შეიბრალოთ ეს უძლური მოხუცი მაინც,  
ვინც ღმერთებმაც კი შეიბრალებს, გადაარჩინეს.

ზ ე ლ ი მ ა (დაემხოა დედოფლის ფერხთათ)

აღარც თქვენ ძალგიძთ, დედოფალო, დაჰფაროთ გრძნობა.  
მამ გზა მიეცით თანაგრძნობას და მოწყალებას,  
დაე.ამ დიდმა მწუხარებამ მოგიღბოთ გული.

### ო ს ვ ლ ა მ ი ო რ ი

ა დ ე ლ მ ა და ი გ ი ვ ე ნ ი .

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (მიეგება)

მოხველ, ადელმა? დამეხმარე! მირჩიე რამე!

უკვე იარაღაყრილი ვარ, შეძრწუნებული!  
აი, ეს თვითონ მისი მამა, მონარქი, მეფე!

### ა დ ე ლ მ ა

ვიცი, გავიგე. წაიყვანეთ ორივე ახლავ!  
წაიღეთ ოქრო, აქეთ მოდის იმპერატორი!

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

რაო, რას ამბობ? მამაჩემი?

### ა დ ე ლ მ ა

აქეთკენ მოდის! (მონებს)

აბა სასწრაფოდ! სანამ მეფეს არ მოუსწრია,  
ორივე ჩასვით ბნელ სარდაფში და იქა გყავდეთ.  
ვიდრე მიიღებთ ტურანდოტის ახალ ბრძანებას!

(ტურანდოტს)

ამაოდ დაეშვრით. არას გვარგებს ძალდატანება.  
აწ ეშმაკობა თუ დაგვიხსნის მხოლოდ და მხოლოდ.  
მე ახალი რამ განვიზრახე, დარჩით, სკირინა,  
და შენც, ზელიმა, ჯერ ნუ წახვალთ, თქვენთან მაქვს საქმე.

### ბ ა რ ა კ ი (თემურს)

ვაი ჩვენს თავსა, ხელმწიფეო! დიდმა ღმერთებმა  
იციან მხოლოდ, რა სასტიკი რამ განიზრახა.  
— ჩემო მეუღლე! შენც, ასულო! მტკიცედ დადექით,  
არ გვიღალატოთ, ამ ასპიტმა არ შეგაცდინოთ!



ზომ მოისმინეთ, რაც გიბრძანეს? ახლავე გასწოთ  
და ორივენი ჩაიყვანეთ ჩვენი სასახლის  
ყველაზე ვიწრო, ბნელ სარდაფში.

თ ე მ უ რ ი

თავს დამატებთ  
მე თქვენი რისხვა, დედოფალო, ოლონდაც ჩემს შვილს  
ნურათერს ავნებთ, შეიბრალეთ!

ბ ა რ ა კ ი

რა სიბრალული

მოეთხოვება ამ ფურიას? აშკარად ვხედავ,  
განწირულია თქვენი შვილი, ჩვენც დავიღუპეთ.  
ხალხის თვალთაგან დაგვიფარავს მუდმივი ღამე  
და უნდა ვისხდეთ ბნელ ჯურღმულში; სადაც ჩვენამდე  
ვერც კაცის თვალი, ვერც მზის სხივი ვერ ჩამოაღწევს  
და სად ვერავინ ვერ მოისმენს ჩვენს მწარე კვნესას.  
(პრინცესას)

შენ შეგიძლია აუხვიო თვალი ქვეყანას.  
მაგრამ სამსჯავრო ღმერთებისა რად არ გაშინებს?  
ძალგის ჩააგდო ღრმა უფსკრულში და ათასობით  
ნკვდართა გვამები მიაფარო შენს ბოროტ საქმეს,  
ღმერთები მაინც მას ნათელზე გამოიტანენ.  
(თემური და ბარაკი მიჰყვებიან საჭურისებს. როგორც საჩქაროდ გააქვთ  
მკვიდა და ოქროს ცუელი აავსე ლანგარი.)

## გამოსვლა შესამე

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი, ა დ ე ლ მ ა, ზ ე ლ ი მ ა და ს კ ი რ ი ნ ა.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ადელმას)

ჩემო ადელმა, მხოლოდ შენზე ვამყარებ იმედს, სთქვი, როგორ ფიქრობ, მეგობარო, ჩემს გადაარჩენას?

ა დ ე ლ მ ა

მოსყიდულია გუშაგები, მეფის ბრძანებით მეფის ძის ოთახს რომ იცავენ. აწ შეიძლება მასთან შესვლა და ლაპარაკი: რაღას არ შევძლებთ, თუ ამ შემთხვევას გონივრულად გამოვიყენებთ. მიმნდობი არის მისი გული და სულ ადვილად დანებდება ის მოლაღატის პირმოთნეობას. თუ ეს ქალებიც გამიწვევენ მე დახმარებას და თაეიანთ როლს ღირსეულად შეასრულებენ, უეჭველია, რომ მივალწევ ჩემს მიზანს მაშინ.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მაშ გაუფრთხილდი ქმრის სიცოცხლეს, ჩემო სკირინა! ის ჩემს ხელშია, შემიძლია მოვაკვლევი.

ს კ ი რ ი ნ ა

რასაც მიბრძანებთ, მზად გახლავართ ყველაფრისათვის, ოღონდ როგორმე ჩემი კაცის სიცოცხლე ვიხსნა.

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ზელიმას)

ჩემს მოწყალებას თუ შენც ასე დიდად აფასებ...

ზ ე ლ ი მ ა

თქვენი მონა ვარ, დედოფალო, ერთგული მონა!

## ადელმა

მამ გავეშუროთ, ერთი წამიც არ დავაყოვნოთ!  
(გაღიან.)

## ტურანდოტი

წადით, გაჰყევით! აასრულეთ, რასაც ის გეტყვით.

## გამოსვლა მერთხა

## ტურანდოტი (მარტო)

ნეტავ რას ფიქრობს? როგორ მიხსნის? რა განიზრახა!  
დიდო ღმერთებო, შეეწიეთ. თუ გავიმარჯვე,  
ვიღას ექნება ჩემზე დიდი სახელი მაშინ?  
ვილა გაბედავს, შეედაროს ტურანდოტს ჰკუით?  
რა შვებას ვიგრძნობ, როდესაც ჩვენს საკრებულოში  
პირში მივახლი მათ სახელებს მოულოდნელად  
და შერცხვენილ პრინცს მსწრაფლ გავაგდებ ჩემი ტახტიდან!  
... მაგრამ, მგონია, ეს ამბავი მეც დამალონებს!  
როს დავფიქრდები, ხელმწიფის ძე სასომიხდილი  
ვით დაეცემა ჩემს ფეხებთან და დალევს სულსა, —  
ოჰ, ეს სურათი ძალზე მძიმედ მაწვება გულზე.  
— როგორ, ტურანდოტ! აბა მითხარ, საღ არის შენი  
ღიალი სულის სიამაყე კეთილშობილი?  
მეფის ძეც ასე დალონდება შენი გულისთვის,  
როდესაც შენზე გაიმარჯვებს დივანხანაში?  
არა, ადელმა მართალია, ჩვენ ღრმად შევტოპეთ,  
ახლა ან უნდა გაიმარჯვო, ან ძირს დაეცე!  
თუ ერთმა გძლია, ხარ ყველასგან დამარცხებული.

## გამოსვლა გენუთა

ტურანდოტი, ალტოუმი, პანტალონი და ტარტალია  
მოქყვებიან ცოტა მოშორებით.

### ალტოუმი

(ხელში წერილი უკირავს და ფიქრებში ჩაძირული თავის თავს ესაუბრება).

უკვე დაუდგა აღსასრული თბილისის მეფეს.  
ხოლო კალაფი, თემურის ძე, თავის სამეფოდან  
გამოდევნილი, ქვეყნით ქვეყნად მოხეტიალე,  
ახლა პეკინში იმყოფება და უჩვეულო  
მოხერხების და ჭკვის წყალობით მალე გახდება  
მთელს საჩინეთში ბედნიერი ადამიანი.  
ასე მიჰყავს ბედს უხილავი, ძლიერი ხელით  
ადამიანი საიდუმლოთ მოცულ ბილიკზე.  
მაგრამ უფლისწულს, როგორცა ჩანს, ღმერთი მფარველობს  
და გზას უკაფავს უკეთესი მომავლისაკენ.

პანტალონი (დაბალი ხმით, ტარტალიას)

სრულ ჰკუაზება ნეტავ მისი უდიდესობა?  
რა დაემართა? — თავის თავთან ლექსით საუბრობს!

ტარტალია (დაბალი ხმითვე, პანტალონს)

შასთან შიკრიკი გამოცხადდა შორი ქვეყნიდან  
და რა ამბავი მოუტანა, ეშმაკმა იცის.

### ალტოუმი

(წერილს უბის ჯიბეში შეინახავს და მიუბრუნდება თავის ქალიშვილს)  
ჩემო ტურანდოტ! საათები სწრაფად გარბიან  
და ახლოვდება გადამწყვეტი წუთები. შენ კი  
ღ

ძილწართმეული აქეთ-იქით დაბორიადობ  
სასახლეში და გსურს შეიტყო შეუძლებელი.  
ტყუილუბრალოდ იწამებ თავს, ამაოდ შერები,  
მე კი გავიგე უწვალებლად ეს დაწვრილებით.  
— აი, წერილი, იუწყება ორივეს სახელს  
და ყოველივეს, რაც მათ ამბავს გაგვაცნობს ჩვენა.  
ეს ბარათი მე მომიტანა შორი ქვეყნიდან  
ერთმა შიკრიკმა, ის ოთახში ჩავკეტე მყისვე  
და გუშაგები მიუუჩინე, რომ ხვალ დილაძდე  
მასთან შესვლა და საუბარი ვერავინ შესძლოს.  
უცნობი პრინცი მართლაც მეფე, უფლისწულია,  
მაგრამ მაინც ვერ გამოიცნობ იმათ სახელებს.  
მათი სამეფო ჩინეთიდან შორსაა ძლიერ,  
პეკინში ვერც კი მოაღწევდა სახელი მათი,  
მაგრამ მისმინე. როგორც მამას, ძლიერ მიყვარხარ,  
სწორედ ამიტომ მოველ შენთან ამ გვიან ღამით.  
ნუთუ შენ გესიამოვნება, რომ მეორეჯერ  
დამარცხდე ჩვენი დივანის წინ, დაგცინოს ყველამ  
და ბრბომ გიხილოს ქედმოხრილი, დამცირებული,  
მოუთმენლად რომ ელის ამას ამდენი ხანი?  
დიდი ხანია, ხალხი ღელავს, შენც კარგად იცი,  
ვერ შევაკავებ მის სიშმაგეს, მის მძვინვარებას,  
თუ დივანის წინ დადუმდები, ვერაფერს გვეტყვი.  
აი მე შენთან, ჩემო შვილო, რამ მომიყვანა!

(პანტალონს და ტარტალას)

მარტოდ დაგვეტოვეთ!

(პანტალონი და ტარტალია უხალისოდ, ზღაპრით გადიან.)

## გამოსვლა მეთექვსე

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი    და    ა ლ ტ ო უ მ ი .

ა ლ ტ ო უ მ ი

(როდესაც ისინი გავლენ, მივა თავის ასულთან და ნაზად მოჰკიდებს ხელს)  
მე მოვედი შენი ღირსების

გადასარჩენად.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

რა ბრძანეთ, სირ, ჩემი ღირსების?  
ნუ შესწუხდებით! მე მისი ხსნა არა მკვირდება,  
ხვალ ღივანის წინ საკუთარ თავს დავიცავ თვითონ.

### ა ლ ტ ო უ მ ი

ეხ, ჩემო შვილო, თავს იმშვიდებ ფუჭი იმედით,  
შეუძლებელი არის, რისი გაგებაც გნებავს,  
მე შენს თვალებში, შენს დაბნეულ სახეზე ნათლად  
ვკითხულობ, ჩემო ერთადერთო, შიშსა და ტანჯვას.  
მამაშენი ვარ, კარგად ხედავ, როგორ მიყვარხარ.  
— აწ მარტონი ვართ, გულახდილად მელაპარაკე!  
მართალი მითხარ, სახელები იცი თუ არა?

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ვიცი თუ არა, ხვალ ღივანში გაიგებთ ამას.

### ა ლ ტ ო უ მ ი

არა, არ იცი და არც ძალგის გაგება მათი.  
თუ იცი მართლა, მაშ გამანდე, გამაგებინე,  
რათა იმ ბედშავ ახალგაზრდას შევატყობინო,  
რომ გასცეს უკვე, და გავუშვებ მშვიდობიანად  
ჩემი ქვეყნიდან. ამ ნაბიჯით შენ აიცილებ  
ხალხის სიძულვილს, ჩემო შვილო, და სულგრძელობით  
დაავგირგვინებ ქვეყნის თვალში შენს გამარჯვებას,  
რომ უფლისწული, შენგან ასე დამარცხებული,  
გადაარჩინე დამცირებას, საქვეყნო სირცხვილს.  
— აი, ამას გთხოვ, ჩემო შვილო, ამას გთხოვ მხოლოდ!  
ნუთუ მამაშენს უარს ეტყვი ამგვარ თხოვნაზე?

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ვიცი თუ არა სახელები უფლისწულისა  
და მისი მამის, სჯობს ამაზე გავჩუმდეთ ახლა.  
მან არ დამზოგა დივანის წინ და მეც მეფის ძეს  
არ ვაპატიებ, არ დავზოგავ, არ შევიბრალებ!  
უნდა გავქვითო ანგარიში! — მთელი დივანი  
მოისმენს ხვალე, სახელები ვიცი თუ არა.

## ა ლ ტ ო უ მ ი

(მოთმინებას ჰკარგავს, მაგრამ თავს იკავებს და ნახად განაგრძობს.)  
შენ დაეზოგე? სიცოცხლედ არ დაუჯდებოდა?  
და უფრო მეტიც, დაჰკარგავდა შენს ხელსაც ამით.  
შენი ხელი რომ მიელო და სიცოცხლედ ეხსნა,  
უნდა დივანში გამარჯვება წაერთვა შენთვის.  
— გთხოვ, ერთი წამით დაივიწყე: რაც გაწყენინა,  
ნუ გაბრაზდები, ჩემო შვილო, დაფიქრდი კარგად!  
ჩემს თავსა ვფიცავ, სახელები არ იცი მათი.  
მე კი შევიტყვე... აჰ

(უჩვენებს ბარათს.)

სწერია ისინი. თუ გასურს,  
გაგაგებინებ: ხვალ დილითვე მოვიწვევ დივანს,  
რომლის სხდომაზე უცნობი ყრმაც გამოცხადდება;  
პოდა, უფლისწულს ორთავ სახელს საჯაროდ ეტყვი,  
მეხდაკრულივით გახდი უცებ, სირცხვილით დასწვავ.  
სასოს წარუყვეთ, დაამწუხრებ, მთლიანად მოსპობ,  
შენ კი დასტკებები, იზეიმებ სრულ გამარჯვებას.  
მაგრამ როდესაც პრინცს ძირს დასცემ, როცა ზვიად ქედს  
მოახრევინებ, ისევ ფეხზე წამოაყენე,  
მიეცი ხელი და მის ტანჯვას მოუღე ბოლო.  
მოდის, ასულო, შემომფიცე, რომ ასე იზამ  
და მე, — ჩვენ ხომ აჰ მარტონი ვართ, — ახლავე გეტყვი,  
ახლავ გაგიმხელ მათ სახელებს. ეს საიდუმლო  
გეფიცები, რომ ჩვენ ორს შორის ნოკვდება მხოლოდ,

ამრიგად, კვანძი გაიხსნება სასიამოვნოდ:  
სახელს გაითქვამ შენ ახალი გამარჯვებითა,  
ამ სულგრძელობით შეირიგებ ჩემი ხალხის გულს,  
ხოლო შენთვის კი მოიპოვებ, ჩემო ასულო,  
ქვეყნად ყველაზე სახელოვან, ღირსეულ ქმარსა,  
გაახარებ და დაამშვიდებ ღრმად მოხუცებულ  
წამაშენს, შემდგომ ასე ხანგრძლივ მწუხარებისა.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(ამ საუბრის დროს თანდათან მღელვარება იპყრობს.)

ოოჰ, რაოდენ ეშმაკობას იყენებს მამა!  
არ ვიცი, რა ვქნა, დავემყარო ადელმას სიტყვას,  
ვენდო უცნობ ბედს, თუ შევიტყო მამის ბაგიდან  
მე სახელები მეფის ძის და მისი მამისა,  
თუ მოვიხარო საძულველი უღლის ქვეშ ქედი?  
ო, რა საფრთხილო, საშინელი არჩევანია!  
(დგას და ყოყმანობს, როგორცა ჩანს, მწვავე შინაგან ბრძოლას განიცდის.)  
დაემორჩილე მამის სურვილს, ამაყო გულო!  
(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ალტოუმისაკენ და უეცრად შეჩერდება.)  
მაგრამ ადელმამ თუ შეიტყო, იგი ხომ დიდი  
თავგამოდებით მპირდებოდა ამის გაგებას, —  
მე კი მამაჩემს ნაჩქარევად შევეყრა ფიცით!

### ა ლ ტ ო უ მ ი

რას ფიქრობ ამდენს, რას ყოყმანობ, ჩემო ასულო,  
რას დაძრწი ასე აქეთ-იქით, დაეჭვებული.  
აბა ვით უნდა დამარწმუნოს მე შენმა შიშმა  
შენს სიმტკიცეში, შენს უეჭველ გამარჯვებაში?  
ო, შვილო ჩემო, შეიწყნარე ვედრება მამის!

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

არა, გავბედავ და ადელმას დაველოდები...



რას ჩამაცივდა მამაჩემი. რატომ მთხოვს ასე?  
ეს უტყუარი ნიშანია, რომ შესაძლოა  
გაგება მათი, ეშინია, რომ მოვახერხებ  
მათ გამოცნობას... იგი პრინციის მხარეზე არის.  
მისგან შეიტყო სახელები, უეჭველია  
შეთანხმებულან: მილალატეს და დამცინიან.

### ა ლ ტ ო უ მ ი

რადას ყოყმანობ, შენს წამებას მოუღე ბოლო!  
ჩემო ასულო, გადაწყვიტე!

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მე გადავწყვიტე: —  
ხვალ დილით აღრე მოიწვიეთ დივანის კრება.

### ა ლ ტ ო უ მ ი

მამ გსურს, აშკარად დაიმცირო ხალხის წინ თავი  
და არ მიხედო არაფერსა?

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მინდა გაუქძლო  
მე მაგ გამოცდას, მამაჩემო.

### ა ლ ტ ო უ მ ი

შე უგუნურო,  
ჯიუტო, კერპო, ვედარაფრით ვერ მოგარჯულე,  
ბრმა ბრბოზე ბრმაო, უმეცარო, შეუგნებელო,  
ჩემს თავსა ვფიცავ, ნამდვილად ვარ დარწმუნებული,  
მათი გაგება შენთვის არის შეუძლებელი,  
ვერ გამოიცნობ და საჯაროდ გაილანძლები.

კარგი! კეთილი! ხვალ მოვიწვევ დივანის კრებას  
და იქვე ახლოს ჩვენ აღვმართავთ საკურთხეველსაც,  
მოდღვარიც იქვე მზად იქნება, რომ იმწუთსავე,  
როდესაც ხალხი გაჩუმებულს დაგაყრის სიცილს,  
საქირო წესი აღასრულოს ქორწინებისა.  
შენ მამაშენს არ გაუგონე, როცა ის გთხოვდა,  
და თუგინდ მოკვდე, მეც არაფერს მოგისმენ მაშინ.  
(გაღის.)

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

ჩემო ადელმა, ჩემო მხსნელო, სადა ხარ ახლა?  
მთელმა ქვეყანამ მიმატოვა. ხელი მკრა უკვე  
გაბრაზებულმა მამაჩემმა. შენ დამშთი მხოლოდ,  
მე მხოლოდ შენგან ველოდები ხსნას და სიცოცხლეს.  
(გაღია მეორე მხარეს.)

სენა იცვლება დიდებული საძინებელი ოთახით, რომელსაც რამდენივე  
გასასვლელი აქვს. ოთახის სიღრმეში მოჩანს აღმოსავლური საწოლი კალა-  
ფისათვის. ბნელი ღამეა.

## გამოსვლა მეუვიდე

კ ა ლ ა ფ ი. ბ რ ი გ ე ლ ა ხელში ჩირაღდნით.  
ფაქრებში ღრმად ჩაძირული კალაფი ბოლთასა სტემა; ბრიგელა უყურებს  
მას და თავს აქნევს.

## ბ რ ი გ ე ლ ა

უკვე შესრულდა, უფლისწულო, სამი საათი  
და თქვენ კი ზუსტად მოასწარით სამას სამოცჯერ  
გავლა-გამოვლა ამ ოთახში. გთხოვთ, მაპატიოთ!  
ძილმა წამართვა ხელ-ფეხი მთლად. თქვენც რომ ცოტა ხანს  
95

მოისვენებდეთ. ხელმწიფის ძევ, მე მგონი, ცული  
არ იქნებოდა.

კ ა ლ ა ფ ი

მართალი ხარ, ჩემო ბრიგელა,  
მაგრამ ფიქრები არ მაძლევენ მოსვენებასა.  
შენ კი ნება გაქვს, რომ წახვიდე და დაიძინო.

ბ რ ი გ ე ლ ა

(მიდის, მაგრამ იმწამშივე დაბრუნდება)

ეს ერთი სიტყვაც მინდა გითხრათ, ხელმწიფის შვილო,  
თუ აქ შემთხვევით, ვილაც, რაღაც მოგეჩვენებათ,  
თქვენს საქმეს კარგად მოუარეთ; ფრთხილად აყავით!

კ ა ლ ა ფ ი

მომეჩვენება? ამ ოთახში?

(შეშფოთებული ათვალეირებს ოთახს.)

ბ რ ი გ ე ლ ა

ო, ღმერთო ჩემო!

ღიას, მეფის ძევ! თუმც სასტიკად აკრძალულია  
აქ; თქვენთან, ვინმე შემოვუშვათ, მაგრამ ხომ იცით,  
ჩვენი ხელმოკლე მსახურების ამბავი კარგად  
და ისიც ალბათ, უფლისწულო, ძალიან კარგად  
მოგეხსენებათ, რომ ხელმწიფე ხელმწიფე გახლავთ,  
ხოლო პრინცესა — დედოფალი და რაც დედოფალს  
ნოუვა თავში, შეასრულებს აუცილებლად!  
ძნელია, მშრალად რომ გადარჩეს ადამიანი,  
როცა მოჰყვება ორ წყალშუა. — კარგად გამიგეთ?  
კაცს შეიძლება სურდეს, თვისი მოვალეობა  
სინდისიერად აასრულოს, მაგრამ, ხომ იცით,

სიბერისთვისაც ცოტა რამ რომ გადაინახოს,  
დიდი ცთუნება გახლავთ მისთვის, ხელმწიფის შვილო!

კ ა ლ ა ფ ი

რაო? ნუთუ აწ საფრთხეშია ჩემი სიცოცხლე?  
მიტხარ, ბრიგელა!

ბ რ ი გ ე ლ ა

დამიფარე, ყოვლად ძლიერო!  
ცნობისმოყვარეთ ვგულისხმობდი, ბატონიშვილო,  
რომელთაც ნებავეთ ვინაობა გაიგონ თქვენი.  
ვთქვათ, მოხდეს ისე, რომ შემოძვრეს კლიტის კრილიდან  
აქ, თქვენთან, სული, ან ურჩხული, ან ჯადოქარი,  
რომ გამოგტეხონ... მგონი, კმარა, გაფრთხილდით, პრინციო!  
ხელმოკლეთათვის არის მეტად დიდი ცთუნება!..

კ ა ლ ა ფ ი (ღამილით)

ფრთხილად ვიქნები, ნუ სწუხდები, გასაგებია!

ბ რ ი გ ე ლ ა

ღიახ, მეფის ძევ, ჰქმენით ასე! გფარავდეთ ზეცა.  
ღვთის გულისათვის, ნუ შემამთხვევით უბედურებას.  
(მაყურებლებისაკენ)

იქნებ, ოქროთი სავსე ქისაც ჩაიგდონ ხელში,  
მე კი ვქენ იგი, რაც შემეძლო.

(გაღის.)

კ ა ლ ა ფ ი

ამ კარისკაცმა

ეჭვი აღმიძრა... აქ ვის ძალუძს დამესხას თავსა?  
თუნდა ეშმაკიც გამოცხადდეს ჯოჯოხეთიდან,  
ეს გული მაინც არ შედრკება.

(მიღის ფანჯარასთან.)

გათენებამდე  
დიდი დრო აღარ დარჩა. მგონი, აღარ მომიწევს  
მე ამ წამების სარეცელზე კვლავ დიდხანს წოლა.  
მაინც ვეცდები, მოვიტყუო როგორმე ძილი  
დაღლილ თვალებზე, ცოტა ხანი რომ მოვისვენო.  
(როგორც კი დაწოლას დაპირებს, გაიღება ერთ-ერთი კარი.)

### გამოსვლა მერვე

ქ ა ლ ა ფ ი, ს კ ი რ ი ნ ა მამაკაცის ტანაკლით, სახეშენილბული.

ს კ ი რ ი ნ ა (შეშინებული უახლოვდება).

ჩემო ძვირფასო უფლისწულო!.. როგორ დამიწყო  
გულმა კანკალი.

ქ ა ლ ა ფ ი (წამობტება)

მითხარ, ვინ ხარ, აქ რას დაეძებ?

ს კ ი რ ი ნ ა (იხსნის ნიღაბს)

ველარ მიცანით? სკირინა ვარ, ჰასანის ცოლი,  
თქვენი ყოფილი მასპინძელი, შემოვეპარე  
გუშაგებს ასე გადაცმული. რამდენი რამ მაქვს  
სათქმელი თქვენთვის, მაგრამ შიშით მეგბეება ენა,  
ცრემლი არ მაძლევს ლაპარაკის საშუალებას.

ქ ა ლ ა ფ ი

ბრძანეთ, კეთილო ქალბატონო, რა გაქვთ სათქმელი?

## ს კ ი რ ი ნ ა

(კიდე უფრო შეშინებული მიიხედ-მოიხედავს)

ჩემი მეუღლე იმალება. ხელმწიფის ასულს თურმე ამბავი მიუტანეს, რომ ის თქვენ გიცნობთ, და ტურანდოტმაც ბრძანა, იგი მოსძებნონ ყველგან, რომ მიათრიონ სასახლეში და ათქმევინონ თქვენი სახელი. თუ იპოვეს, სიკვდილი ელის, რადგან ის არჩევს, უმალ ტანჯვით დალიოს სული, ვიდრე თქვენ გაგცეთ.

კ ა ლ ა ფ ი

ო, ერთგულო მსახურო ჩემო!

გულქვა პრინცესა!

ს კ ი რ ი ნ ა

თქვენ უფრო მეტს შეიტყობთ ჩემგან, — ჩემთან მოვიდა მამათქვენი.

კ ა ლ ა ფ ი

რას ამბობთ! ღმერთო!

ს კ ი რ ი ნ ა

აქეთ მომავალს გარდაცვლია მეუღლე გზაში.

კ ა ლ ა ფ ი

ო, საცოდავო დედაჩემო!

ს კ ი რ ი ნ ა

მისმინეთ კიდევ!

მან იცის, რომ აქ იმყოფებით, რომ გუშაგები

გყავთ მიჩენილი და საბრალო ცახცახებს შიშით, —  
თავის ჭკუაზე აღარ არის მწუხარებისგან, —  
რადგან ჰგონია, საფრთხე ელის სიცოცხლეს თქვენსას.  
„ჩემს შვილთან ერთად უნდა მოვკვდე!“ — გაპკივის იგი  
და სურს მეფესთან მიიჭრას, რომ შეატყობინოს  
თქვენი სახელი და თავისი ვინაობაცა.  
ამაოდ ვცდილობ შევაკავო, დახშული არის  
მისი ყურები, აპყლია თვის გულისტივილს.  
ძლივს დავითანხმე მოეცადა, ვიდრე მას ქალაღს  
არ მივუტანდი, თვით თქვენს მიერ ხელმოწერილსა,  
რათა დარწმუნდეს — ცოცხალი ხართ და უვნებელი,  
ჰოდა, წამოველ, დიდ საფრთხეში ჩავიგდე თავი,  
რომ ნუგეში ვცე მწუხარებით აღსავსე მოხუცს.

### ქ ა ლ ა ფ ი

მამაჩემი აქ, პეკინშია! დედა — საფლავში!  
— ჩემო სკირინა, შენ მე მართალს არ მეუბნები.

### ს კ ი რ ი ნ ა

მრისხავდეს ფუ-სი, მეფის ძეო, თუ გატყუებდე!

### ქ ა ლ ა ფ ი

ო, უბედურო მამაჩემო! საწყალო დედავ!

### ს კ ი რ ი ნ ა (ანჰ:რებით)

ყოველი წამი ძვირფასია. მოდით, დაწერეთ  
ორიოდ სიტყვა. ნულარ ფიქრობთ, რაც წერილისთვის  
საქირო არის, ყველაფერი წამოვიყოლე.

(გაუწვდის ფირფიტას.)

დამწუხრებული მოხუცისთვის საკმარისია  
ორიოდ პწკარი, ოღონდაც კი ის თქვენი ხელით

იყოს ნაწერი. მისწერეთ, რომ კვლავ ცოცხალი ხართ და რომ არ ელის თქვენს სიცოცხლეს სიკვდილის საფრთხე. თორემ იცოდეთ, მოიჭრება ის სასახლეში, თავის თავს გასცემს და ყველაფერს დაღუპავს ამით.

კ ა ლ ა ფ ი (ლიმილით)

კარგი, მომეცი ეგ ფირფიტა! (წერის დაწყებას დააპირებს, მაგრამ უცრად ჩაფიქრდება და სკირინას გამომდელად შეხედავს.)

ჩემო სკირინა!

სერალში არის შენი შვილი პრინცესას მხევლად?

დიახ, ნამდვილად მხევალია ტურანდოტისა.

არა, არ ვცდები, ეს მე შენმა მეუღლემ მითხრა.

ს კ ი რ ი ნ ა

მართალი გახლავთ. მერე მაგით რისი თქმა გნებავთ?

კ ა ლ ა ფ ი

წადი, სკირინა, და მამაჩემს გადაეც ასე:

ძალუძს უშიშრად გამოცხადდეს იმპერატორთან, რაც სურს, მოსთხოვოს, გაუმელავენოს სუყველაფერი, რასაც კი გული უკარნახებს.

ს კ ი რ ი ნ ა (თავზარდაცემული)

მაშ უარს ამბობთ?

თქვენი ნაწერი ერთი სიტყვაც კი იკმარებდა.

კ ა ლ ა ფ ი

არა, სკირინა, მე არ დავწერ. მხოლოდ ხვალ დილით გაიგებს ყველა, თუ ვინცა ვარ. მე ის მათებს, ჩემი ჰასანის მეუღლე რომ მიპირებს ლალატს.



## ს კ ი რ ი ნ ა

ღალატს გიპირებთ? რასა ბრძანებთ! კეთილო ღმერთო!  
(თავისთვის)

დაე ადელმამ დაასრულოს თვისი თამაში.  
(კალაფს)

თქვენი ნებაა, უფლისწულო! შინ დავებრუნდები  
და, რაც მითხარით, ყოველივეს გადავცემ მოხუცს;  
მაგრამ იმას კი ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი,  
რომ ასე დიდი საფრთხის შემდეგ, რაშიაც თავი  
ჩავიგდე თქვენი გულისათვის, მე დამწამებდით  
ღალატს, გაცემას, უფლისწულო.

• (თავისთვის)

ადელმა ფხიზლობს, მაგრამ არც ამ კაბუქსა სძინავს.  
(გადის.)

## კ ა ლ ა ფ ი

მოჩვენებანი!— მართალი სთქვი, ჩემო ბრიგელა!  
მაგრამ, მამა რომ პეკინშია და დედაჩემი  
გარდაცვლილია, დამარწმუნა ამ ქალმა ფიცით.  
უბედურება როდი დადის უამხანაგოდ  
და ბაგეს, ავის მაუწყებელს, უნდა ვერწმუნოძ.  
(მოპირდაპირე კარი იღება.)

კიდევ ახალი მოჩვენება! ვნახოთ, რას გვეტყვის!

## გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ც ხ რ ი

კ ა ლ ა ფ ი, ზ ე ლ ი მ ა.

## ზ ე ლ ი მ ა

მე ტურანდოტის მხევალი ვარ, ხელმწიფის შვილო!  
კარგი ამბავი მოგიტანეთ.

## კ ა ლ ა ფ ი

ღმერთმა ინებოს!

უკვე დრო არის, რომ გავიგოთ კარგი ამბავი.  
მე აღარაფრის იმედი მაქვს, არც თავს ვიმშვიდებ.  
უგრძობელია, ვიცი, გული ტურანდოტისა.

## ზ ე ლ ი მ ა

მართალსა ბრძანებთ, ვერ ვიცრუებ, ხელმწიფის შვილო,  
მაგრამ თქვენ მისი აძგერება შესძელით მაინც.  
ღიახ, პირველმა თქვენ შესძელით, თქვენ მარტოოდენ,  
თუმცა პრინცესა გვარწმუნებს, რომ მას სძულხართ ძლიერ,  
მაგრამ მე ვიცი, მტკიცედ ვიცი, რომ თქვენ უყვარხართ,  
თუ გატყუებდეთ, მიწა გასკდეს და ჩამიტანოს!

## კ ა ლ ა ფ ი

კარგი. გიჯერებ. ეგ ამბავი როდია ცუდი.  
მეტი რა გასურდა გეთქვა კიდევ?

## ზ ე ლ ი მ ა

ხელმწიფის შვილო!

უნდა გაუწყოთ საიდუმლოდ, რომ სიამაყემ  
გახადა სასოწარკვეთილი ჩვენი პრინცესა.  
ის უკვე მიხვდა, რომ იკისრა ამოხსნა ძნელი  
გამოცანისა და არ იცის, რაღა ქნას ახლა,  
რადგან ამდენი გამარჯვების, დიდების შემდეგ  
ხვალ მას დივანში უდიდესი შერცხვენა ელის.  
თუ გატყუებდეთ, მიწა გასკდეს და ჩამიტანოს!

## კ ა ლ ა ფ ი

თავს ნუ იწყევლი ეგრე ძლიერ, ჩემო ზელიმა!

მე გერწმუნები. წადი, უთხარ პრინცესას ასე,  
რომ ამ ბრძოლიდან შეუძლია გამარჯვებული  
ძალზე ადვილად გამოვიდეს. თავის ბრწყინვალე  
გონებაზე მეტს ღიღებას ის მოიპოვებს, თუ  
თვის გულს გახდის უფრო მეტად მგრძნობიარესა  
და მთელ ქვეყანას დაუმტკიცებს, რომ შეუძლია  
მას სიბრალული, თუ გადასწყვეტს, რომ ანუგეშოს  
შეყვარებული და თავისი მოხუცი მამა.  
აი, ეს იყო ის კეთილი ამბავი, რომლის  
საუწყებლადაც აქ მოხვედი?

ზ ე ლ ი მ ა

არა, მეფის ძევ,  
ეგ სულაც არა. ნუ გგონიათ, ასე ადვილად  
დაგვიმორჩილოთ, ჩვენთან ახლა მოთმენა გმართება.  
— მისმინეთ!

კ ა ლ ა ფ ი

გისმენთ!

ზ ე ლ ი მ ა

მე პრინცესამ გამომაგზავნა-  
ის გევედრებათ, სახელები შეატყობინოთ  
და დანარჩენში მიენდოთ მის ღიდსულოვნებას.  
თავისი თავმოყვარეობის ხსნა სურს პრინცესას,  
რომ პირნათელი წარსდგეს ხვალე ღივანის წინა.  
მაშინ აღსავსე სათნოებით თავის ტახტიდან  
გადმოვა იგი და ლამაზ ხელს გამოგიწოდებთ.  
— მაშ გადასწყვიტეთ, თქვენ არაფერს წააგებთ ამით.  
მაშინ ის არა იძულებით, არამედ ნებით  
გახდება თქვენი.

კ ა ლ ა ფ ი

(დაჟინებთ მისჩერებია სახეში, მწარე ღიმილით)

თქვენ გამოგრჩათ ჩვეულებრივი  
დასასრული ამ საუბრისა.

ზ ე ლ ი მ ა

რა დასასრული?

კ ა ლ ა ფ ი

„თუ გატყუებდეთ, მიწა გასკდეს და ჩამიტანოს!“

ზ ე ლ ი მ ა

მეუ თქვენ გგონიათ, რომ გატყუებთ?

კ ა ლ ა ფ ი

დიახ, ნამდვილად!

ისე მტკიცედ ვარ მე ამაში დარწმუნებული,  
რომ მაგ თხოვნაზე ვერასოდეს დაგეთანხმებით.  
ახლა წადი და მოახსენე ხელმწიფის ასულს —  
ჩენი სახელი, სიამაყე მისი გულია  
და ჩემს სიყვარულს მიუტევოს, რომ არ ვასრულებ  
პრინცესას თხოვნას.

ზ ე ლ ი მ ა

უფლისწულო, კარგად დაფიქრდით,  
ეგ ჭიუტობა არ ღაგიჯდეთ ძალიან ძვირად!

კ ა ლ ა ფ ი

მაინც არ გეტყვით, თუნდ სიცოცხლედ დამიჯდეს იგი.

ზ ე ლ ი მ ა

ღიახ, სიცოცხლედ დაგიჯდებათ, ხელმწიფის შვილო!  
—მაშ თქვენს სიტყვაზე მტკიცედ დგებართ, არაფერს მეტყვით?

კ ა ლ ა ფ ი

არა, არაფერს!

ზ ე ლ ი მ ა

მაშ მშვიდობით!  
(გასვლისას, თავისთვის)

ამაოდ დავშვრი!

კ ა ლ ა ფ ი (მარტო)

წადით, მომცილდით, უსხეულო მოჩვენებანო,  
ვერ მომატყუებთ, ვერ შესძლებთ ჩემს დამორჩილებას!..  
მაგრამ მე გულზე შემომაწვა ახლა სხვა დარდი:  
სკარინას ცნობა მაშინებს მე ყველაზე მეტად, —  
მამა აქ არის! დედაჩემი კი გარდაცვლილა!  
მტკიცედ, გამხნევდი, ჩემო გულო! მალე შევიტყობ  
ბედის განაჩენს. ამ მცირე ხნის განმავლობაში,  
გათენებამდე, წაძინება შევიძლო მაინც!  
გაწამებულ სულს მოსვენება სჭირდება ახლა  
და მე მგონია, თითქოს ვიგრძენ, რომ ძილის ღმერთი  
ქუთუთოებზე ნაწი ფრთებით შემეხო უკვე.  
(წეება საწოლზე და იძინებს.)

## გამოსვლა მეთიე

ადელმა შემოდის სახეზე პირბადეჩამოფარებული, ხელში ცვილის  
სანთლით. კალაფს სძინავს.

ადელმა

არ შეიძლება, ყველაფერი რომ ჩაიფუშოს. —  
არ გამივიდა ეშმაკობის არც ერთი ხერხი,  
რომ სახელები ეთქვა ჩვენთვის. მაგრამ, მე მგონი,  
ასე ამოდ არ ჩამივლის ეს ახალი ცდა—  
ჯელმწიფის შვილი პეკინიდან უნდა გაიქცეს  
და მშვენიერი ნადავლიც მან თან გაიტაცოს.  
— ო, სასურველო, მშვენიერო, ძვირფასო წამო!  
ახლა კი, ჩემო სიყვარულო, რომელიც დღემდე  
შმატებდი სიმხნეს, მამაცობას, და კიდევ შევძელ  
შენი შეწევნით გადალახვა დაბრკოლებათა,  
შგზნებარე ცეცხლი წაუკიდე ბაგეებს ჩემსას,  
მძიმე ბრძოლაში გამარჯვება რომ მოვიპოვო.  
(ათვალიერებს მძინარე კალაფს.)

სატრფოსა სძინავს. ნუ კანკალებ, დამშვიდდი, გულო!  
ოჰ, რა ძლიერ მწყინს, რომ უნდა ამ მშვენიერ თვალებს  
ოქროს სიზმრები გავუფანტო, დავუფრთხო ძილი,  
მაგრამ არ ძალმიძს დაყოვნება, თენდება უკვე.  
(მიუახლოვდება კალაფს და ხელით ნაზად შეეხება.)

გამოიღვიძეთ, უფლისწულო!

კალაფი (იღვიძებს)

ვინ მირღვევს ძილსა?

ისევ ახალი მოჩვენება? გაჰქრი, აჩრდილო!

ნუთუ მცირე ხნის მოსვენების უფლება არ მაქვს?

ა დ ე ლ მ ა

ასე რად ცხარობთ. უფლისწულო, რის გეშინიათ?  
მტერი როდი დგას თქვენს წინაშე, სულაც არა მსურს,  
რომ სახელები გამოგტყუოთ.

კ ა ლ ა ფ ი

მაშინ ამაოდ დამაშვრალხარ, ვერ მომატყუებ.  
თუ ეგ გაქვს მიზნად,

ა დ ე ლ მ ა

მომატყუებო? ეგ ექვი რით დავიმსახურე?  
იყო თუ არა აქ სკირინა და ხომ არ სცადა  
თქვენთვის წერილი დაეტყუა?

კ ა ლ ა ფ ი

დიახ, აქ იყო.

ა დ ე ლ მ ა

მაინც ვერაფერს მიაღწია?

კ ა ლ ა ფ ი

მგონი, ვერაფერს.

მე არც ეგეთი სულელი ვარ.

ა დ ე ლ მ ა

მადლობა ზეცას.

ხომ არ მოსულა აქ მხევალი ტურანდოტისა  
და არ უცდია ცბიერი გზით შეცდენა თქვენი?

## კ ა ლ ა ფ ი

დიახ, მხევალიც ბრძანდებოდა... ხელცარიელი  
წავიდა ისიც და ეს ბედი მოგელის შენაც.

## ა დ ე ლ მ ა

დიდად მწყინს, მაგრამ მოგიტევებთ ექვიანობას.  
ჯერ გამიცანით, გთხოვთ, დაბრძანდეთ და მომისმინოთ,  
შემდეგ განსაჯოთ, მატყუარა ვარ მე თუ არა.  
(ჯდება, კალაფიც დაჭდება.)

## კ ა ლ ა ფ ი

აბა მითხარით, ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ ჩემგან?

## ა დ ე ლ მ ა

თქვენ ჯერ ახლოდან დამაკვირდით, შემხედეთ კარგად!  
ვინ უნდა ვიყო, თქვენის აზრით?

## კ ა ლ ა ფ ი

### ე გ დ ი დ ე ბ უ ლ ი

აღნაგობა და თქვენი ქცევა ჩემში იწვევენ  
პატივისცემას, ტანსაცმელი კი ადასტურებს,  
რომ მხევალი ხართ, რომელიც დღეს, თუ არა ვცდები,  
დივანში ვნახე და კიდევაც შემბრაღდა ძლიერ.

## ა დ ე ლ მ ა

მეც, მეც შემბრაღდით, უფლისწულო, ხომ იცის ღმერთმა!  
ხუთი წელია იმის შემდეგ, რაც თქვენ პირველად  
გნახეთ, მეფის ძევ, როგორც გლეხი, ვით მიწის მუშა,



როცა ჯერ კიდევ ვიყავი მე ბედის რჩეული,  
მაგრამ მაშინვე მიგრძნო გულმა, რომ თქვენ იყავით  
სულ სხვა, უკეთეს ხვედრისათვის დაბადებული.  
მე ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო, —  
უღირსი ბედი თქვენთვის შემემსუბუქებინა.  
ჩემმა თვალებმა გაგიმქლავნეს გრძნობები ჩემი,  
რამდენადაც ეს შეპფეროდა ხელმწიფის ასულს.  
(აიწევს პირბადეს.)

გთხოვთ, შემომხედოთ, ხელმწიფის ძევ, ნუთუ ეს სახე  
თქვენს სიცოცხლეში არასოდეს ჯერ არ გინახავთ?

### კ ა ლ ა ფ ი

ადელმა! ღმერთო! მხედველობა ხომ არ მღალატობს?

### ა დ ე ლ მ ა

ღიახ, თქვენს წინ დგას ხორასანის მეფის ასული,  
ქეიქობადის ქალიშვილი, ვისაც ოდესღაც  
სამეფო ტახტი მოელოდა, მაგრამ ახლა კი,  
ვით მონა ქალი, სამარცხვინოდ დამდაბლებულა.

### კ ა ლ ა ფ ი

ქვეყანამ უკვე დაგიტირათ, ვით დაღუპული.  
ვაგლახ მე, ბედკრულს! რა ყოფაში გიხილეთ ახლა!  
მეფის ასული, დედოფალი — სერალის მხევლად!

### ა დ ე ლ მ ა

და ვით მხევალი სისხლისმსმელი ტურანდოტისა,  
ვინც მიზეზია ჩემი ასე განადგურების.  
მაშ მოისმინეთ მთელი ჩემი უბედურება.

ერთი ძმა მყავდა, ახალგაზრდა, მშვენივლით სავსე,  
რომელიც, ვით თქვენ, ტურანდოტმა მოაჯადოვა  
და წარსდგა იგი დივანის წინ, ბატონიშვილო...  
(ტრემლი უელზე ადგება და რამდენიმე ხანს ლაპარაკს ვეღარ აგრძელებს.)  
იწ თავებს შორის, რომლებსაც თქვენ ნახავდით ალბათ  
პეკინის კიშკრის მესერებზე, — ოჰ, ღმერთო ჩემო!  
რა საშინელი, შემზარავი სანახავია, —  
არის აგრეთვე საყვარელი ჩემი ძმის თავიც,  
რომელსაც ახლაც, უფლისწულო, დავტირი მწარედ.

### ქ ა ლ ა ფ ი

მაშ ეგ ამბავი, სამწუხარო, მართალი არის, <sup>1</sup>  
მართალი არის ის ხმა, ხალხში რომ ვრცელდებოდა?  
მე კი იგავად მივიჩნიე!—ბედშავო ქალო!

### ა დ ე ლ მ ა

ქეიქობადი, მამაჩემი, მამაცი კაცი,  
აჰყვა საკუთარ გულისტკივილს და ალტოუმის  
ვრცელ სახელმწიფოს შეესია თავისი ლაშქრით,  
რათა ეძია შური შვილის სიკვდილის გამო...  
მაგრამ ბედმა არ გაუღიმა და ვაჟკაცურად  
დაეცა იგი ბრძოლის ველზე შვილებთან ერთად.  
თვით მე, დედა და ჩემი დები დიდი ვეზირის  
განკარგულებით, დასახრჩობად მდინარეს მიგვცეს.  
ისინი მალე დაიღუპნენ, მე კი დამიხსნა  
დიდსულოვნებამ ხელმწიფისა, რომელიც იმ წამს  
ნაპირს მოადგა და ვეზირის მოქმედებაზე  
დიდად განრისხდა, ბრძანა, მყისვე გამოვეყვანე.  
გამომათრიეს მდინარიდან ნახევრად მკვდარი,  
გადამარჩინეს, დამიბრუნეს სიცოცხლე ისევ  
და ამის შემდეგ მეფის ასულს გადამცეს მხევლად.

ბედნიერებად ახლა უნდა ჩავთვალო ისიც,  
მტრისგან სიცოცხლე რომ მივიღე, ვით საჩუქარი.  
ადამიანურ გრძნობით თუკი გიფეთქავთ გული,  
მაშინ უთუოდ შეგაძრწუნებთ თქვენ ჩემი ბედი.  
დაფიქრდით, რა არ ავიტანე: როგორ მისერავს  
გულს ის ამბავი, რომ მას, ვინაც მთლად ამოჟლიტა  
ჩემი ოჯახი, ვით მხევალი ვემსახურები.

### კ ა ლ ა ფ ი

დიდად მაწუხებს ეგ ამბავი, მეფის ასულო,  
მზად ვარ ავტირდე თქვენი ტანჯვა-წამების გამო.  
მაგრამ ტურანდოტს ნუ აბრალებთ, რაც შეგმთხვევიათ, —  
თავისი ნებით დაიღუპა თქვენმა ძმამ თავი,  
მამათქვენმა კი აჩქარებით დაგლუპათ ყველა.  
აბა მითხარით მე, უბედურს, როგორ გიმველოთ,  
როს ბედმა თავის სათამაშო ბურთად მაქცია.  
თუ გავიმარჯვე, მივალწიე სასურველ მიზანს,  
მაშინ თქვენც გაგხდით თავისუფალს და ბედნიერსა.  
ახლა კი მხოლოდ აორკეცებს ჩემს მწუხარებას,  
თავს რომ დაგატყდათ თქვენ ასეთი უბედურება.

### ა დ ე ლ მ ა

თქვენ არ შეგეძლოთ მინდობოდით უცნობ ქალიშვილს,  
ახლა კი ძალგიძთ, მეფის ძეო, ერწმუნოთ ნაცნობ  
ხელმწიფის ასულს, რასაც გეტყვით ის თანაგრძნობით,  
ან, უკეთ რომ ვთქვათ, გამსქვალული სიყვარულითაც.  
ოი. ნეტავი დამერწმუნოს პრინცესას ტრფობით  
დატყვევებული გული ესე, როცა მის მიჯნურს  
თავს დავესხმები!

### კ ა ლ ა ფ ი

სთქვით ადელმა, რა უნდა მითხრათ?

## ა დ ე ლ მ ა

მამ თქვენ იცოდეთ... მაგრამ არა, თქვენ გეგონებათ, თითქოს მოვედი იმისათვის, რომ მოგატყუოთ და იმ სულმდაბალ, იმ მოსყიდულ არსებად ჩამთვლით, ვინაც მონური უღლისათვის დაბადებულა.

## კ ა ლ ა ფ ი

ნულარ მაწამებთ. გვედრებით, ახლაც მითხრათ, რაც სათქმელი გაქვთ. რა უნდა სთქვათ იმაზე, ვინაც ჩემი სიცოცხლის ერთადერთი ქალღმერთი არის?

## ა დ ე ლ მ ა (თავისთვის)

მაღალო ზეცავ, მონიჭე ჩემს სიტყვას ძალა!

(კალაფს)

ხელმწიფის შვილო, ტურანდოტმა, გულქვა არსებამ, ეგრეთ უსირცხვომ, კარისკაცებს უბრძანა უკვე, ხვალ დილით მოგკლან ვერაგულად. აი, ეს არის თქვენი ქალღმერთის სიყვარული.

## კ ა ლ ა ფ ი

მე უნდა მომკლან?

## ა დ ე ლ მ ა

დიახ, სწორედ თქვენ, მეფის ძეო! როგორც კი ნაბიჯს გადასდგამთ ხვალ ამ ოთახიდან სასახლისაკენ, მაშინვე გულში დაგესობათ ოცი ხანჯალი. ასე უბრძანა თავის მსახურთ იმ უღმობელმა.

## კ ა ლ ა ფ ი

(აწრათად წამოდგება და კარისკენ გაემართება)

გუშაგებს უნდა დავუძახო და გავაფრთხილო.

## ა დ ე ლ მ ა

დარჩით! სად მიხვალთ? იმედი გაქვთ, დაიხსნათ თავი?  
არ იცით, სად ხართ, უბედურო, ნუთუ ვერ მიხვდით,  
რომ გახვეული ხართ მკვლელობის ბადეში უკვე?  
იგივ დარაჯნი, დღეს მცველებად რომ მიგიჩინა  
იმპერატორმა, მოისყიდა მისმა ასულმა  
თქვენს მოსაკლავად.

## კ ა ლ ა ფ ი

(სასწარკვეთილი ხმამალა წამოიძახებს სასწრაფოდ)

თემურ! თემურ! ბედშავო მამავ!

ასე ამთავრებს სიციოცხლის გზას კალაფი შენი!  
პეკინში თითქოს ჩამოხვედი იმის გულისთვით,  
ამ დღეს შეესწრო, დაიტერო ცხედარი მისი.  
აი, ნუგეში, შენი შვილი რასაც შეგპირდა.  
სასტიკო ბედო!

(სახეს ხელებში ჩაიმაღავს და ღრმა მწუხარებას მიეცემა.)

## ა დ ე ლ მ ა

(მზიარული გაოცებით)

კალაფიო? თემურის შვილი!

აწ დაე მოხდეს, რაც მოხდება. თუნდაც დაუსხლტეს  
ამ ბადეს იგი, ჩემს ხელთაა მეფის ძის ბედი.

## კ ა ლ ა ფ ი

მაშ მილაღატეს, გამყიდეს იმ ჯარისკაცებმა.

დასაცავად რომ მომიჩინეს?! ეხ, რა მართალი  
 მითხრა მე ერთმა მოსყიდულმა მონათაგანმა,  
 რომ ერთგულებას ძალზე მალე დაარღვევინებს  
 კაცს ფული ხოლმე და ძლიერთა წინაშე შიში.  
 მაშ, აწ მშვიდობით, სიცოცხლეო, გამშორდი, გასწი!  
 ამოა არის შენთან ბრძოლა, სასტიკო ბედო!  
 დე, უღმობელო, ჩემმა სისხლმა დაგიცხროს მხერა!  
 გაფრინდი, ტკბილო სიცოცხლეო, შენი გზით გასწი!  
 ჩანს, ბედს ველარსად გავექცევი.

ა დ ე ლ მ ა (აღზნებით)

გზას მე გიჩვენებთ.  
 მხოლოდ ცრემლი არ მიფრქვევია თქვენი გულისთვის, —  
 ფხიზლად ვიყავ და ვმოქმედებდი. არ. დამიზოგავს  
 ოქრო დარაჯთა მოსასყიდად. გზა გახსნილია!  
 უკან მომყევით! აქ იმისთვის მოვედი, პრინცო,  
 სიკვდილისაგან რომ დაგიხსნათ, ხოლო ჩემთვის კი  
 თავისუფლება მოვიპოვო. ჩქარა, ცხენები  
 გვიცდიან უკვე, მზად არიან გამცილებლები.  
 ამ კედლებს თავი დავაღწიოთ, სადაც ბინადრობს  
 ღმერთების წყევლა. ბერლის ხანი მეგობარია  
 ჩემი და სისხლით ნათესავი, თან ჩემთან წმინდა  
 ფიცით შეკრული. გზა ხსნილი გვაქვს მის სამეფოში,  
 იგი მიგვიღებს და დაგვიცავს, ლაშქარსაც მოგვცემს,  
 რომ დავიბრუნო სამფლობელო მამაჩემისა;  
 ამ სამფლობელოს, უფლისწულო, თქვენ გინაწილებთ,  
 თუ არ უარყოფთ მსხვერპლს ამგვარი სიყვარულისას.  
 და თუ ხელსა მკრავთ, შემიზიზღებთ, თათართა მხარე  
 განთქმული არის პრინცესებით, სილამაზით რომ  
 ტურანდოტს ჰგვანან და გული კი ნაზი აქვთ უფრო,  
 ჰოდა, მათ შორის აირჩიეთ მეუღლე თქვენთვის,  
 ნე კი როგორმე ჩემს გულს დავძლევ, დავიმორჩილებ,  
 ოღონდაც იხსნათ სიკვდილისგან სიცოცხლე თქვენი!

(ლაპარაკობს თანდათან უფრო გატაცებით, ამავე დროს კალატს ხელს  
სტაცებს და ცდილობს თან წაიყვანოს.)

ჩქარა, დრო მიდის საუბარში, გესმით, მაშლები  
ყვირიან უკვე. სასახლეში ხმაური ისმის.  
გავიქცეთ, ვიღრე გასაქცევ გზას ჩაგვიკეტავენ!

### კ ა ლ ა ფ ი

ადელმა, ჩემო მეგობარო, დიდსულოვანო!  
რარიგ ძლიერ მწყინს, რომ არ ძალმიძს წამოგყვეთ ბერლში —  
თავისუფლება მოგანიჭოთ — ესოდენ ტკბილი,  
ძვირფასი ძღვენი, დაგიბრუნოთ თან მამის ტახტი.  
აბა რას იტყვის ალტოუმი ამ გაქცევაზე?  
მე ხომ დალატად ჩამეთვლება, რომ სასახლიდან  
ბოვტაცო მეფეს ძვირფასი ტყვე და დაეარღვიო  
წმინდა ადათი ჩვენი სტუმარ-მასპინძლობისა?  
მე არ მეკუთვნის ჩემი გული. თვით სიკვდილიც კი,  
რომელსაც ჩუმად განმიმზადებს ზვიადი გული,  
პრინცესას ხელით სასურველი იქნება ჩემთვის.  
წადით, უჩემოდ გაიქცეთ! დაე ღმერთებმა  
გზა წაგიმართონ, მე აქ ჩემს ბედს დაველოდები.  
სიცოცხლე თუ არ მიწერია ტურანდოტისთვის,  
მისი გულისთვის სიკვდილს უფრო ტკბილად მივიჩნევ.  
მშვიდობით!

### ა დ ე ლ მ ა

ასე გადასწყვიტეთ? აზრს არ შეიცვლით?  
უგუნური ხართ!

### კ ა ლ ა ფ ი

დავრჩები და დავუცდი სიკვდილს.

## ა დ ე ლ მ ა

ოჰ, უმადურო! არა, არა, ეს სიყვარული  
როდია, აქ რომ თქვენ გაკავებთ — თქვენ გეზიზღებით!  
სიკვდილი გიჯობთ, ოლონდაც კი მე არ წამომყვეთ!  
მაშ უარყავით ჩემი ხელი და შემეზიზღეთ,  
ოლონდ აქედან გაიქეცით, იხსენით თავი!

## კ ა ლ ა ფ ი

ტყუილუბრალოდ ხარჯავთ სიტყვებს. მე აქ დავრჩები,  
დავუცდი ჩემს ბედს.

## ა დ ე ლ მ ა

დარჩით, მეც აქ დავრჩები მხევლად,  
მე თქვენს გარეშე არ ვისურვებ თავისუფლებას.  
ვნახოთ, ვინ უფრო გაბედულად შეხვდება სიკვდილს!

(გასვლისას)

ნუთუ პირველმა მივალწიე სასურველ მიზანს  
კკუა-გონების მეოხებით?

(თავისთვის, ნიშნის მოგებით)

კალაფი! შვილი თემურისა!

(დაცინვით დაუკრავს თავს)

აბა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, უცნობო პრინციო!

(გაღის.)

## კ ა ლ ა ფ ი

არ მოეღება ბოლო ნეტავ საშინელ ღამეს?



ვინ კანკალებდა ესდენ ძლიერ წამების ტახტზე?  
მაგრამ როდესაც გათენდება, რარიგ ახალ და  
უფრო დიდ საფრთხეს მიმზადებს დღე, ან ვისი ხელით?  
ჩემი ერთგული სიყვარული, ასე სულგრძელი,  
ამის ღირსია ნუთუ შენგან, სასტიკო გულო?!  
კეთილი! უკვე გადაეკრა ცას ვარდისფერი,  
მზე ამოდის და ყველასათვის სიცოცხლე მოაქვს,  
ჩემთვის კი, ესდენ საბრალოსთვის — სიკვდილი უღვთო.  
მოიცა, გულო, შენი ბედი დღეს გადაწყდება!

### გამოსვლა მითერთობა

ბ რ ი გ ე ლ ა, კ ა ლ ა ფ ი

ბ რ ი გ ე ლ ა

ღივანი უკვე შეიკრიბა, ბატონო ჩემო!  
დრო არის უკვე. მოემზადეთ!

კ ა ლ ა ფ ი

(უცქერის შმაგ, დაბნეული მზერით)

შენ აგირჩიეს?

სად გაქვს ხანჯალი დამალული? აბა გაბედე  
და შეასრულე, რაც გიბრძანეს! მას ვერ წამართმევ,  
რასაც ჯერ კიდევ ვაფასებ და ძვირადაც მიიღირს.

ბ რ ი გ ე ლ ა

რა ბრძანებაზე ლაპარაკობთ, ბატონო ჩემო?  
მე მარტოოდენ ის მიბრძანეს, რომ მიგაცილოთ  
ღივანში. სადაც შეიკრიბა სუყველა უკვე.

კ ა ლ ა ფ ი (ჩაფიქრდება, მორჩილად)

წამო, წავიდეთ! თუმცა ცოცხალი იქ ვერ მივალწევ,  
მაგრამ შენ ნახავ, რარიგ მშვიდად შევხვდები სიკვდილს.

ბ რ ი გ ე ლ ა

სიკვდილზე ნეტა რა ეშმაკი ალაპარაკებს?  
ო. ის წყეული ალქაჯები! ჩანს, ერთი წუთით  
არ მოასვენებს მთელი ღამე, არ დააძინებს.  
თავის ჰკუაზე აღარ არის საბრალო პრინცი..

კ ა ლ ა ფ ი (ძირს დააგდებს მანვილს)

აი, მანვილი აქა გდია. თავს არ დავიცავ.  
დაე გაიგოს ულმობელმა მეფის ასულმა,  
რომ შევეგებე სიკვდილს ასე შიშველი მკერდით.

(გადის ოთახიდან და მაშინვე, როგორც კი გავა, გაისმის სამხედრო  
მუსიკის ხმა.)

## მოქმედება მესუთე

### სცენა მეორე მოქმედებისა

დივანის სიღრმეში გამოჩნდება ცვილის სანთლებით გაშუქებული საკურთხეველი ჩინეთის ღვთაებითა და ორი ქურუმით, როცა აიწევა სცენის შიგნითა, სპეციალური ფარდა. ფარდის ახლასას ალტოუმი ზის ტანტზე, პანტალონი და ტარტალია დგანან მის მარჯვნივ და მარცხნვე, თავის ადგილას ზის რვა სწავლელები; დგანს საპატო ყარაულა შიშველი ხმლები.

### გამოსვლა პირველი

ალტოუმი. პანტალონი. ტარტალია. სწავლელები.  
გუშაგები და კალაფი.

### კალაფი

(სწრაფად შემოდის დარბაზში, დაეხვებით მიიხედავს უკან. სცენის შუა ადგილას რომ მიაღწევს, თავს დაუქრავს მეფეს, რის შემდეგ თავისთვის ლაპარაკობს)

როგორ? ცოცხალმა მოვალწიე?.. ყოველ ნაბიჯზე ველოდი, გულში დამკრავენო ოც პირბასრ მახვილს, მაგრამ მთელი გზა, ჩანს, მშვიდობით გამოვიარე. ალბათ ადელმამ მომიტანა მე ყალბი ცნობა, ან ტურანდოტმა სახელები შეიტყო უკვე და აწ ისედაც უეჭველი სიკვდილი მელის.

რაც შეგაშფოთა, ჩემო შვილო? თვალებში გამჩნევ შიშს. უნდობლობას... ნურაფრისა ნუ გეშინია! სულ მალე ბოლო მოეღება წამებას შენსას და ვნახავ მაგ შუბლს სიხარულით გასხივოსნებულს. სასიხარულო, საიდუმლო ცნობა მაქვს შენთვის გასამყლავნები, მაგრამ ჯერ არ შეგატყობინებ. მას შენი გული სიხარულით ჯერ ვერ მიიღებს. იცოდე მხოლოდ: ქვეყანაზე ბედნიერება მარტო არ დადის, უამრავი ამაღა ახლავს! — შენი გახდება ტურანდოტი აუცილებლად. საჩქერ მოვიდა წუხელ ჩემთან შეშფოთებული იგი და მთხოვა, მეხსნა სასტიკ შერცხვენისაგან. თვითონ განსაჯე, ჩემო შვილო, რა დამშვიდებით ძალგიძს ელოდო გამოჩინას ტურანდოტისას.

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი (დარწმუნებით)

ნანდილად ძალგიძთ, უფლისწულო. ძეც გაძლევთ სიტყვას! ჩვენმა ხელმწიფემ რაცა ბრძანა, მართალი გახლავთ. ნება მომეცით, მოგილოცოთ ბედნიერება! დღეს ქორწილია! ტურანდოტმა მე წუხელ ორჯერ გამომიძახა, მაჩქარებდა თან ისე ძლიერ, ძლივს მოვასწარი, ქოშებში რომ წამედგა ფეხი. მერე რისათვის მიმიყვანა მშვიერი მუცლით სასტიკ ყინვაში? — ჟრუანტელი ახლაც კი მივლის. მთხოვა, მერჩია, ვით დაეცვა დივანში თავი, რომ მეფეს მისთვის დამატებით მიეცა ვადა. და ღმერთმა იცის, კიდევ რაღას არ მავალებდა. ნე კი ვუცქერდი მეფის ასულს გახარებული, რადგან ვხედავდი ასე დიდად სასოწარკვეთილს.

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

განთიადისას მან მეც მიხმო, უძილობისგან

ხელმწიფის ასულს თვალები მთლად დასწითლებოდა.  
ნახევარ საათს მთხოვდა იგი, მევედრებოდა  
ლამაზი. სიტყვით, დაპირებით, მაგრამ ამაოდ!  
მე მგონი, ბევრი მწარე სიტყვა ვაკადრე ასულს,  
რაც ჩემს მოთმენის უქონლობას მიეწერება.

### ა ლ ტ ო უ მ ი

ხედავთ, გამოსვლას ვით აყოვნებს ბოლო წუთამდე!  
მაგრამ ამაოდ ჩაიკეტა, ბრძანება გავეც,  
რომ დივანის წინ გამოცხადდეს. თუ თავის ხეობით  
არ მოვა იგი, მაშინ ძალით მოვაყვანიებ.  
თვისი სიკერპით მიმიყვანა ამ სიმკაცრემდე.  
მე მსურდა იგი შერცხვენისგან გადამერჩინა,  
მაგრამ ეს თვით მან არ ისურვა, თავს დააბრალოს!  
მაშ იზვიემე, ჩემო შვილო, შენია რიგი!

### კ ა ლ ა ფ ი

გმადლობთ, ხელმწიფე, მე ზეიმი არ ძალმიძს ახლა,  
თვითონვე ვწუხვარ, ხელმწიფეო, რომ ჩემი სატრფო  
ჩემი გულისთვის ხდება ასე იძულებული.  
განა არ სჯობდა... მაგრამ არა, მე უიმისოდ  
ყოფნა არ ძალმიძს! თუმცა ოდესმე იქნება შევეძლო  
ნაზი მოპყრობით სიყვარულად გადავაქციო  
ჩემდამი ზიზღი, სიძულვილი ტურანდოტისა.  
მე მინდა მისი მონა ვიყო, ჩემი სიცოცხლის  
უმალლეს მიზანს მისი ტრფობა შეადგენს მხოლოდ.  
ვინაც ისურვებს მოიპოვოს წყალობა ჩემი,  
არ დასკირდება სხვა ქომაგი, ოლონდ მანიშნონ  
თქვენი ასულის მშვენიერმა თვალებმა რამე.  
ვიდრე სისხლი ჩქეფს ჩემს ძარღვებში და სული მიდგას,  
ჩემი ოცნება ტურანდოტი იქნება მხოლოდ.

## ა ლ ტ ო უ მ ი

საქმეს წევუდგეთ! დაყოვნების დრო აღარ არის!  
დაე ახლავე გადაიქცეს დივანი ტაძრად!  
საქურთხეველთან ქურუმები გველიან უკვე!  
დე მოსვლისთანვე ნათლად იგრძნოს თავისი ბედი,  
ნაშინვე მიხვდეს — არ დავარღვევ დადებულ აღთქმას.

(სცენის სიღრმეში ფარდა აიწვეა და ჩინეთის ღვთაება და ქურუმები  
გამოჩნდებიან.)

ფართოდ გააღეთ ყველა კარი, მიეცით ნება,  
წთელი ხალხი რომ შემოვიდეს აქ თავისუფლად!  
დრო დადგა, რომ ამ უმადურშა, სასტიკმა შეიღმა  
გადამიხადოს იმ ათასი წამებისათვის,  
რითაც მან ასე დამიმძიმა კალარა თავი.

(ბოსმის სამგლოვიარო მარშის ხმა და დაფდაფთა ცემა. მალე გამოჩნდება  
ტრუფალდონი საკურისებით, მათ უკან მხეველები და ტურანდოტი. ყველა  
წი შავით არიან შემოსილი. ქალებს შავი პირბადეები აქვთ ჩამოფარებული)

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

მოდის! ის მოდის! ეს მუსიკის ხმა რაღას ნიშნავს!  
ყველა თალხებით შემოსილა ნიშნად გლოვისა,  
არა ქორწილის, მარში ისმის სამგლოვიარო.

## გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ი

მ გ ი ვ ე ნ ი. ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი, ა დ ე ლ მ ა, ზ ე ლ ი მ ა ტ რ უ ფ ა ლ დ ი ნ ა,  
მ ხ ე ვ ლ ე ბ ი და ს ა კ უ რ ი ს ე ბ ი.

## ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(დაიკავენს თავის ტახტს და ღრმა მყუდროების დამყარების შემდეგ  
მიმართავს კალაფს)

ასეთი თალხი სამოსელი. უ ც ნ ო ბ ო პ რ ი ნ ც ო,

და ეს უსაზღვრო მწუხარება ჩემი ამალის  
სასიამოვნო სანახაეი იქნება თქვენთვის.  
გზედავ, აქ უკვე აუგიათ საკურთხეველი,  
ქურუმნიც უკვე მზად არიან, დამაქორწინონ,  
და ყველას თვალში ვკითხულობ მე დაცინვას მწარეს.  
მთლად ამოვწურე ჩემი ჭკუა და ხელოვნება,  
რომ თავი ბეხსნა სამარცხეინო მარცხისგან, მაგრამ  
ვერაფერს გავხლა, ჩემს ბელს უნდა დავემორჩილო.

### კ ა ლ ა ფ ი

ო, რომ იცოდეთ, ჩემს სიხარულს რარიგ ჩრდილსა ვფენს  
ეგ მწუხარება, დააცხრობდით თქვენს რისხვას მაშინ.  
ნუთუ იქნება შეცოდება, ასეთ საუნჯეს  
რომ დავეუფლო? არა, მასზე უარი რომ ვთქვა,  
დანაშაული ეს იქნება, მეფის ასულო!

### ა ლ ტ ო უ შ ი

მაგ თავმდაბლობის ტურანდოტი არ არის ღირსი,  
თვითონ მას მართებს, რომ თავმდაბლად მოიქცეს შენთან.  
და თუ არ ძალუძს აღასრულოს ეს ღირსეულად,  
დაე მოიქცეს. როგორც ნებავს და როგორც იცის.  
საქმეს შევეუდგეთ! საზეიმო მუსიკამ დაე  
სუყველას ამცნოს...

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მოითმინეთ, ნუ ჩქარობთ ასე.  
(წამოდგება და მიმართავს კალასს.)  
ამ გამარჯვებით მე მანამდე ვერ დავტკბებოდი,

ვიდრე გულს შენსას, მოტყუებულს ტკბილი იმედით,  
არ ჩავაგდებდი მწუხარების უფსკრულში უცებ.

(ნელა, ხმის ამალღებით)

მისმინე, კ ა ლ ა ფ ე, თ ე მ უ რ ი ს ძ ე ვ, ახლავ დატოვე  
ჩვენი დივანი, სხვა ადგილას ეძიე ცოლი.  
ორივეს სახელს უკვე მიხვდა გონება ჩემი,  
და ვაი ყველას, ვინც ტურანდოტს შეედავება!

კ ა ლ ა ფ ი

ო, უბედურო ჩემო თავო!

ა ლ ტ ო უ მ ი

როგორ გაიგო,

ზეცავ მაღალო!

პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ო, წმინდაო ეკატერინე!

(ტარტალიას)

შინ წადით, ძმაო, და ბრაზისგან იგლიჯეთ შვერი!

ტ ა რ ტ ა ლ ი ა

ჰკუასა ვკარგავ, ეს რა მომდის! ყოვლად ძლიერო!

კ ა ლ ა ფ ი

უკვე დაინთქა, დაიღუპა ყველა იმედი!  
ვილა დამიხსნის, ვილას ძალუძს აწ ჩემი შველა?  
თვით მე დავლუბე ჩემი თავი; ძლიერ მიყვარდა  
სატრფო გულისა, ამიტომაც დავკარგე იგი!  
ნეტავ გუშინვე შევმცდარიყავ, გამოცანები  
არ ამომეხსნა მაინც განგებ, ახლა ხომ უკვე



მოსვენებული ვიქნებოდი მარადი ძილით  
და ჩემი სული ზეცისაკენ გაფრინდებოდა.  
რად შემიბრბილეთ, ხელმწიფეო, კანონი თქვენი!  
მე მსურდა თავი გამეწირა ჯალათის კუნძზე,  
თუ ამოხსნიდა ტურანდოტი ჩემს გამოცანას,  
ნაშინ სავსებით დაცხრებოდა ქალწულის გული,  
თავის უნაკლო გამარჯვებას იზეიმებდა.  
(სცენის სიღრმეში გაისმის აღშფოთებული ხალხის დრტვინვა.)

### ა ლ ტ ო უ მ ი

ელდანაცემი ვდგევარ, შვილო, ჩემი ჰალარა  
ვერ გადაიტანს ასეთ დარტყმას.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (ზელიმას, ხმადაბლა)

ჩემო ზელიმა,

მისმა ღრმა სევდამ, მწუხარებამ მეც ამაღლევა,  
საკუთარ გულთან აღარ ძალმიძს ამგვარი ბრძოლა.

### ზ ე ლ ი მ ა (ტურანდოტს, ასევე ხმადაბლა)

ო, მაშ დანებდით, დედოფალო! დრო არის უკვე!  
ხომ გესმით, ხალხი როგორ დრტვინავს.

### ა დ ე ლ მ ა

ამ ერთ წამზეა

ღამეა: ებული სიცოცხლე და სიკვდილი ჩემი.

### კ ა ლ ა ფ ი

რა საკითხია, აბა, მაშინ კანონის ხმალი  
ჩემი სიცოცხლის მოსასპობად, როცა სიცოცხლე  
აუტანელ არის ჩემთვის?

(მიდის ტურანდოტის ტახტთან.)

გულქვა არსებავ!

დიახ, კალაფი ვდგევარ შენს წინ. კალაფი, ვინაც  
გძულდა სასტიკად, თუმც აქამდე მას არ იცნობდი  
და. როს გაიცან, უფრო მეტად შეგზიზღდა იგი!  
რილასთვის მინდა, რომ ვათრიო სიცოცხლე ჩემი,  
ჩოცა შენს თვალში მას არა აქვს რაიმე ფასი?  
არ მსურს დაჩრდილოს ბრწყინვალემა მაგ ლამაზ თვალთა.  
აჩრდილმა ჩემი სიცოცხლისამ... შენს ფერხთით...  
(იძრობს ხანჯალს და სურს გულში დაიკრას. ადელმა დააპირება მის შე-  
ჩერებას, მაგრამ ტურანდოტი გადმოიქრება თავის ტახტიდან.)

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

(სწევდება კალაფს მაჯაში შიშისა და სიყვარულის გამომხატველი მზერით)  
კალაფ!  
(ორივენი გაშტერებით უცქერიან ერთმეორეს და რამდენიმე ხანს რჩებიან  
ასეთ მდგომარეობაში.)

### ა ლ ტ ო უ მ ი

ამას რას ვხედავ!

კ ა ლ ა ფ ი (პაუზის შემდეგ)

შენ? შენ არ გსურს სიკვდილი ჩემი?  
მაშ გებრალეები? უიმედოდ, უსიყვარულოდ  
უნდა განველო მე გატანჯული სიცოცხლე ჩემი?  
გინდა მბრძანებლად მომეველინო სასოწარკვეთილს?  
— არა, აქ უკვე შენს უფლებას ეღება ბოლო.  
შენ შეგიძლია მომაკვდინო, მაგრამ არ. ძალგიძს,  
შაიძულო, რომ კვლავ ვიცოცხლო. ჩამომეხსენი!  
თუკი მართლა გრძნობს შენი გული სიბრალულს მაინც,  
გთხოვ, მამაჩემი შეიცოდო დამწუხრებული.  
ის პეკინშია, საჭიროებს ხსნასა და ნუგეშს.  
რადგან მოხუცი უკანასკნელ იმედსა ჰკარგავს —  
ძვირფას, ერთადერთ შვილსა სტაცებს სასტიკი ბედი.  
(დააპირებს თავის მოკვლას.)

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი (მერღზე მიჰყვება)  
იკოცხლეთ, კალაფ! დიახ, უნდა იკოცხლოთ ჩემთვის!  
უკვე დავმარცხდი, აღარ ძალმიძს ჩემს გულს ვებრძოლო.  
გასწი, ზელიმა, იმ უბედურთ მიხედვე მალე  
და მიუტანე სიხარული, ხსნა და ნუგეში!

ზ ე ლ ი მ ა

ახლავე, ჩემო დედოფალო!

ა დ ე ლ მ ა (თავისთვის)

უკვე დამენთქა  
ყველა იმედი, დადგა ჩემი სიკვდილის წამი!

კ ა ლ ა ფ ი

ეს ცხადად ხდება თუ სიზმარში, მაღალო ზეცავ?

ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მე ეს ღიღება არაფრით არ დავიმსახურე.  
იკოდეს ყველამ: არა ჭკუით, ხერხით და ცოდნით,  
მხოლოდ შემთხვევით გავიგე მე ორივე სახელი,  
რაც ადელმასთან წუხილის ჟამს წამოიძახეთ,  
მან კი მაშინვე მე მაცნობა. გამარჯვებული  
თქვენ ხართ ნამდვილად, თქვენ გეკუთვნით სახელიც, ჯილდოც-  
მაგრამ მე მარტო სიმართლეს და მოვალეობას  
არ მივდეგ, არა, ვერწმუნები ჩემს გულსაც, როცა  
ხელსა გთავაზობთ — ის მაშინვე თქვენ გეკუთვნოდათ,  
რაწამს პირველად დაგინახეთ, ხელმწიფის შვილო!

ა დ ე ლ მ ა (თავისთვის)

ოჰ, ჯერ არავის განუცდია ამგვარი ტანჯვა!

## კ ა ლ ა ფ ი

(მთელი ამ დროის განმავლობაში სიზმარში წასულივითაა, მხოლოდ ახლად  
მოვა გონს და პრინცესას მკლავებში მოიქცევს)

მაშ შენ ჩემი ხარ? გულო ჩემო, ვით გადაიბრუნ  
ამ განუზომელ სიხარულსა და ნეტარებას.

## ა ლ ტ ო უ მ ი

ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო შვილო, რომ ბოლოს მაინც  
გსურს გაახარო, ანუგეშო მოხუცი მამა.

დაე შეგენდოს, რა წამებაც მარგუნე დღემდე,  
ამ ერთმა წამმა განმიკურნა კრილობა ყველა.

## პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ქორწილი არის! ქორწილია! აბა, სწავლულნო,  
თქვენი ადგილი დაიკავეთ.

## ტ ა რ ტ ა ლ ი ა

ჰო, დაიკავეთ!

ახლავე წესი ადვასრულოთ ქორწინებისა!

## ა დ ე ლ მ ა (კალაფს)

დიახ, იცოცხლე, უღმობელო, და ბედნიერად  
იცხოვრე მასთან, ვინაც მძულს მე ასე სასტიკად.

(ტურანდოტს)

შენ არასოდეს არ მიყვარდი, იცოდე ახლა,  
და, რაც ვქენ, შენი სიძულვილით მოვიმოქმედე.  
სახელები მე იმისათვის შეგატყობინე,  
რომ სატრფო შენი მკლავებიდან გამომეგლიჯა,  
რადგან მიყვარდა ის, სანამდე შენ მას ნახავდი,  
და მასთან ერთად ამ ქვეყნიდან გაქცეულიყავ,  
წუხელ ვცადე ეს, ყოველგვარი ხერხი ვიხმარე,  
თვით სიცრუეც კი, საზიზღარი ცილისწამება,  
უფლისწული რომ გაქცევაზე დამთანხმებოდა,

მაგრამ ამაოდ ჩამიარა სუყველაფერმა.

ეს კია მხოლოდ, მე შევიტყვე ორივე სახელი,  
წუხილის ჟამს რომ უფლისწულმა წამოიძახა.

მე კი შენ გითხარ, რომ ამითი გამარჯვებული  
გამოსულიყავ და მას, შენგან უარყოფილსა,  
ჩემთან ეძია სიყვარულიც, ბედნიერებაც,

მაგრამ აღმოჩნდა ჩემი ზრახვა ფუჭი იმედი!

თურმე ისე ღრმად, ისე ძლიერ უყვარხარ კალაფს, —  
ჩემთან სიცოცხლეს შენი ხელით უჯობს სიკვდილი.

ღიახ, ამაოდ ჩამიარა ყოველგვარმა ცდამ.

მხოლოდ ერთიღა შემიძლია საბრალოს ახლა:

ვით შენს ძარღვებში, ჩემსაშიც ჩქეფს მეფეთა სისხლი  
და სირცხვილია. ვატარებდე მონობის უღელს.

უნდა მძულდე შენ, ვით სასტიკი, მოსისხლე მტერი,  
რადგანაც მამა, დედა, ძმები, დები და ყველა,

ვინც კი ძვირფასი მყავდა ვინმე, მთლად გამიყლიტე,  
ახლა ხელიდან გამომტაცე შეყვარებულოც.

მაშ შეიწირე ნაშიერი უკანასკნელი

ჩემი გვარისა — აღარა მსურს სიცოცხლე უკვე!

(იატაკიდან აიღებს ხანჯალს, რომელიც ტურანდოტმა კალაფს გამოსტაცა.

და დააპირებს თავის მოკვლას.)

კ ა ლ ა ფ ი (ხელს სტაცებს)

გონს მოდით, ამას რასა შვრებით!

ა დ ე ლ მ ა

შორს, უმადურო!

შენ მის მკლავებში მყოფს გხედავდე? არა, არასდროს!

კ ა ლ ა ფ ი

უნდა იცოცხლოთ თქვენ, ადელმა! არ უნდა მოკვდეთ!  
მე ლალატს თქვენსას ვუმადლი ჩემს ბედნიერებას —

ლაშაზი გული თვისი ნებით დამემორჩილა.  
კეთილო მეფევ, თუ მიიღებთ ჩემს გულწრფელ თხოვნას,  
მაშინ უბოძეთ მას ახლავე თავისუფლება,  
რაც საწინდარი ერთადერთი, უპირველესი  
იქნება ჩვენი მომავალი ბედნიერების.

### ტ უ რ ა ნ დ ო ტ ი

მე ამასა გთხოვ, მამაჩემო, ვგრძნობ, სიძულვილი  
დავიმსახურე, რასაც იგი არ მომიტყეებს  
და მეც არასდროს დამიჯერებს, რომ ვაპატიე.  
თავისუფლება მიანიჭეთ! თუ კიდევ ძალუძს  
ბედნიერ იყოს, დაე გახდეს კვლავ ბედნიერი.  
გვეყო ცრემლის ღვრა, სიხარულის ღრო დაღვა უკვე.

### პ ა ნ ტ ა ლ ო ნ ი

ღვთის გულისათვის, ხელმწიფეო, გაუშვით მალე  
თვის სასახლეში, დაუბრუნეთ თვისი სამეფოც,  
თუკი მოგთხოვთ, როცა იგი გაემგზავრება;  
სულ უნდა ვწუხდე, მეშინოდეს, რომ არ გაქარწყლდეს  
და განიავდეს მთელი ჩვენი ბედნიერება,  
ვიდრე სახლში გვყავს ჩვენ ასეთი მძვინვარე ქალი.

### ა ლ ტ ო უ მ ი (ტურანდოტს)

ასეთ ბედნიერ დღეს, რომელიც შენ მომანიჭე,  
ჩემო ასულო, უსაზღვროა წყალობა ჩემი.  
ნე მას ვუბოძებ არა მარტო თავისუფლებას,  
არამედ თავის სამეფოსაც. დე აირჩიოს  
ღირსი მეუღლე, გონივრულად ვინაც იმეფებს  
და თავის ძლიერ მეზობელსაც არ გააბრაზებს.

## ა დ ე ლ მ ა

მეფევ!.. პრინცესა!.. დარცხვენილი, მთლად დაბნეული  
ვარ თქვენი დიდი სულგრძელობით და მოწყალებით.  
თუკი დროს ძალუძს განკურნება ყველა კირილობის,  
ის მეც განმკურნავს, მეც მომარჩენს... ახლა კი, მეფევ,  
ნება მიბოძეთ, რომ დავდუმდე და გაგეყაროთ,  
რადგან ტირილი მსურს და უნდა ცრემლები ვღვარო.  
(შიდის სახეზე ხელებაფარებული, ვიდრე გავა, კალათს ერთხელ კა-  
დევ მიაპყრობს ანთებულ მზერას).

## გამოსვლა უკანასკნელი

ი გ ი ვ ე ნ ი ადელმას გარდა. ბოლოს თემური, ბარაკი, სკიბრინა  
და ზელიმა.

## კ ა ლ ა ფ ი

ოჰ, მამაჩემო, სადა გპოვო, სადა ხარ ახლა,  
რომ ჩემი გულის სიხარული გაგიზიარო?

## ტ უ რ ა ნ ლ ო ტ ი

ძვირფასო კალაფ, მამათქვენი კეთილშობილი  
აქ არის, ჩემთან, იგიც გრძნობს ამ ბედნიერებას.  
მაგრამ ამის მეტს ნურას მკითხავთ მე ჭერჭერობით,  
ამდენი ხალხის თანდასწრებით, — ვერაფერს გეტყვით.

## ა ლ ტ ო უ მ ი

თემური შენთან იმყოფება? სად არის იგი?  
მაშ გიხაროდეს, ჩემო შვილო, შენ მოიპოვე  
ეს იმპერია, დაგიბრუნდა შენი სამეფოც.  
უკვე მოუკლავთ უღმობელი ტირანი, ვინც შენ  
ასე გაგძარცვა, სამშობლოდან გამოგაძევა.

ხალხი გეძებს, რომ აგიყვანონ წინაპართ ტახტზე,  
შენს ერთგულ მსახურს რომ დაუცავს; ყველა მხარეში  
დაუგზავნიათ შიკრიკები შენს მოსანახლად.  
ერთმა მათგანმა მოაღწია ამ ქალაქშიაც.  
აი წერილი, კეთილ ამბის მაუწყებელი.  
(გადასცემს წერილს.)

## კ ა ლ ა ფ ი

(წერილს თვალს გადაავლებს და ერთ ხანს დგას უსიტყვოდ,  
გრძნობამორეული)

დიდო ღმერთებო, თქვენ გაიგებთ ჩემს ალტაცებას,  
აქუმცა დადუმდნენ სიხარულით ბაგენი ჩემნი!

(სწორედ ამ დროს გაიღება დარბაზი'ა კარები. შემოდინ თემური და ბარაკი ზელიმასა და მისი დედის თანხლებით. როგორც კი მამას თვალს მოჰკრავს, კალაფი გაეშურება მის შესაგებებლად. ბარაკი კალაფის ფერხთით დაემხოდა, ზელიმა და სკირინა კი ტურანდოტის წინ. ტურანდოტი მათ თავიანდად წამოაყენებს. ალტოუმი, პანტალონი და ტარტალია დგანან გულაჩვილებულნი. ფარდა ეშვება.)





## ბოლოსიტყვაობა\*

დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი ფრიდრიხ შილერი (1759—1805) გოეთესთან ერთად სამართლიანად ითვლება ვაიმარის თეატრის ფუძემდებლად; იგი დაუცხრომლად ზრუნავდა, რომ მისთვის მრავალფეროვანი რეპერტუარი შეექმნა. ამ მიზნით დაწერა თავისი შესანიშნავი „მარიამ სტიუარტი“, „ვალენშტაინი“ და სხვა ტრაგედიები, რომელთაც გერმანულ სცენაზე დიდი წარმატება ხვდათ წილად. ამავე თეატრისათვის სცენიურად გადაამუშავა გოეთეს „ეგმონტი“ და ლესინგის „ნათან ბრძენი“.

მიუხედავად ორი დიდი ბუმბერაზის—გოეთესა და შილერის—თავგამოდებული ზრუნვისა, გერმანული თეატრის რეპერტუარი ძალზე ღარიბი იყო ორიგინალური პიესებით; როგორც ჩანს, ამ საქმეს არც გოეთეს მიერ გამოცხადებული პრემიის შემდეგ შევლენია: „ჩვენ მივიღეთ 13 კომედია, წარმოდგენილი გოეთეს მიერ გამოცხადებული პრემიის მოსაპოვებელ კონკურსზე, რომელთაგან არც ერთი არ არის ისეთი, მისი დადგმა რომ შეიძლებოდეს. უმრავლესობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აი, როგორ მდგომარეობაშია დრამატული ხელოვნება გერმანიაში“, — სწერდა შილერი თავის მეგობარს, კერნერს. 1801 წლის 5 ოქტომბერს.

გერმანული თეატრის რეპერტუარის ასეთმა მდგომარეობამ გადააწყვეტინა შილერს, ეთარგმნა მსოფლიოს გამოჩენილ

---

\* ბოლოსიტყვაობა ემყარება გერმანულ და რუსულ წყაროებს. მასალები ძირითადად აშლებულია ფრ. შილერის „ტურანდოტის“ ერთ-ერთი პირველი რუსი მთარგმნელის ზინ. ვენგეროვას წერილიდან „ტურანდოტი, ჩინეთის პრინცესა“.

დრამატურგთა ზოგიერთი ცნობილი ნაწარმოები (უ. შექსპირის—„მაკბეტი“, რასინის „ფედრა“, გოცის „ტურანდოტი“ და სხვ.). მაგრამ შილერი მათი თარგმნისას იჩენდა დიდ შემოქმედებითს თავისუფლებას, სცვლიდა ამა თუ იმ პიესის ზოგიერთ ადგილს, უმატებდა ბევრ რამ ახალსაც და ყველაფერს ამას ვაიმარის მაცურებლის გემოვნებას უფარდებდა. მის ერთ-ერთ ასეთ თარგმანს წარმოადგენს წინამდებარე პიესაც, რომელიც ცნობილი იტალიელი დრამატურგის კარლო გოცის ქალამს ეკუთვნის.

კარლო გოცი (1720—1806) ლიტერატურის მოყვარულ, საკმაოდ შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ოჯახის სიმდიდრე კარლოს უფროსი ძმის, გასპაროს (იგი თავისი დროისათვის ცნობილი პოეტი და ლიტერატურის ისტორიკოსი იყო) წინდაუხედავ მოქმედებათა გამო მალე განიავდა და კარლო იძულებული გახდა საკუთარი შრომით ერჩინა თავისი თავი და ოჯახის სხვა წევრებიც. ერთ ხანს სამხედრო სამსახურშიც კი შევიდა დალმაციაში, სადაც სამი წელი დაჰყო (1741—1744); აქ ყოფნისას იგი გაეცნო აქაურ ხალხურ თქმულებებს, რაც შემდეგ შემოქმედებითს მუშაობაში ღიჯად გამოადგა. დალმაციიდან ის ვენეციაში დაბრუნდა და რეალისტურსა და რომანტიკულ მიმართულებებს შორის გაჩაღებულ ლიტერატურულ ბრძოლაში ჩაება. გოციმ ამ ბრძოლაში უკანასკნელის მხარე დაიჭირა. როგორც რომანტიკული მიმართულების წარმომადგენელი, ის მთავარ ყურადღებას უთმობდა ზღაპრულ, უფრო მსუბუქ სიუჟეტებს. ერთ-ერთ მისთვის ყველაზე ცნობილ ტრაგიკომიკურ ზღაპარს წარმოადგენს „ტურანდოტი“, რომლის წერა მან 1761 წელს დაამთავრა.

„ქარიშხლისა და შეტევის“ ეპოქის მწერლებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ფრიდრიხ შილერიც, არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა გოცის ამ ნაწარმოების თავისუფალი, რომანტიკული სული, რითაც ავტორი არღვევდა კლასიკურ თეატრის ყოველგვარ ტრადიციას. გოცის „ტურანდოტით“ განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყვნენ გერმანული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ფრ. შლეგელი, ჰოფმანი და სხვ.).

„ტურანდოტის“ თარგმანსა და გადაწეშავენას შილერი 1801 წლის დეკემბერში შეუდგა და ეს შრომა, მიუხედავად ნძიმე ოჯახური მდგომარეობისა (ბავშვების ავადმყოფობა), სამ კვირაში დააწთავრა. 1802 წლის 30 იანვარს „ტურანდოტის“ შილერისეული ვარიანტი (თარგმანი) ვაიმარის თეატრის სცენაზე დაიდგა.

თუმცა შილერი თავის შრომას თარგმანს უწოდებდა, მაგრამ მაინც აღნიშნავდა, რომ ამ შრომაში არის რაღაც დამოუკიდებელი. მასში გამოვავლინე ჩემი მხატვრული შესაძლებლობა, რამაც დიდი სიამოვნება მომანიჭაო.

რა ცვლილებები შეიტანა შილერმა გოცის პიესაში?

მთავარი ცვლილება დიდმა გერმანელმა დრამატურგმა პიესის ხასიათში შეიტანა. ეს უპირველეს ყოვლისა, შეეხება პიესის ოთხ გმირს: ტრუფალდინს, პანტალონს, ტარტალიას, ბრიგელას. მათ. გარდა ტრუფალდინისა, შეცვლილი აქვთ თანამდებობები. მაგ. თუ გოცის პანტალონს ჩინეთის იმპერატორის უბრალო მდივნის თანამდებობა უკავია, შილერმა მას სახელმწიფო კანცლერობა „უბოძა“, ტარტალიას კი, პირიქით. იგი კანცლერი კი არაა, როგორც ეს გოცისთანაა, არამედ ერთ-ერთი მინისტრი; ასევე ბრიგელაც: *magistro de paggi*-ს თანამდებობიდან შილერთან დარაჯთა უფროსად გვევლინება. ამ ცვლილებებით შილერმა რამდენაღმე რეალურ საფუძვლებზე დააყენა ეს კომიკური გმირები და უფრო დაახლოვა ჩინეთის სამეფო კართან. გარდა ამისა, შილერმა შეანელა ამ გმირების საუბრითა და მოქმედებით გამოწვეული გოცისეული იუმორი. ამასთან, თუ გოცი მაყურებლებს სულაც არ ეუბნება, თუ როგორ მოხვდნენ აქ ეს იტალიელები, რომელთაც ძალზე უკვირთ ჩინეთის სამეფო კარის უცნაური წესები, შილერმა, როგორც მისი ერთ-ერთი გმირი პანტალონი ლაპარაკობს, ნათელი გახადა მათი აქ ყოფნა. ტურანდოტის სისასტიკითა და ჩინეთის იმპერატორის უცნაური კანონით აღშფოთებული პანტალონი ველარ მალავს დივანის წინაშე თავის აღშფოთებებს:

..ჩვენს ქრისტიანულ ქვეყანაში როდია ასე...  
 ძვირღას, მწობლოურ, ჩემს საყვარელ ვენეციაში  
 არ გამოხატემენ ასეთ სასტიკ, სისხლისმღვრელ კანონს,  
 და არც ყოფილა იქ შემთხვევა ამისი მსგავსი;  
 არ მოუხიბლავს ქალის სურათს ვაჟაკი ისე,  
 რომ მისთვის მსხვერპლად შეეწირა თავისი თავი.  
 ჩვენსა ისეთი ქალწულები ჯერ არ შობილან,  
 ვით ეს კაცულა ქალიშვილი, რომ ყველა ყრმისთვის  
 უარი ეთქვათ... დაგვიფაროს მალაღმა ღმერთმა!  
 ასეთი რამე ძილშიაც არ დაგვისზმრებია.  
 როცა ჯერ კიდევ სამშობლოში ვიმყოფებოდი,  
 კაბუკობისას, ესე, იგი, მანამდე, ვიდრე  
 არ დავტოვებდი ჩემს ქვეყანას დუელის გამო, —  
 და, მართლაც, უნდა ეუმადლოდე ბედნიერ ვარსკვლავს,  
 რომ აქ მშვიდობით მოვალწიე. სამეფო კარზე,  
 სადაც კანცლერად ვმსახურებ თქვენს უდიდესობას, —  
 მე თქვენს ჩინებზე არაფერი ვიცოდი მაშინ.  
 ახლა კი, მეფეც, მეტისმეტად მაკვირვებს თქვენი  
 ზნე-ჩვეულება საოცარი, აღთქმები მტკიცე,  
 ეს სისხლისმღვრელი კანონები: სასტიკი, მკაცრი,  
 და ჭინიანი ქალები და ვაებატონები.  
 ეს ამბები რომ ევროპაში მოვუყუე ვინმეს,  
 არ დაშიკვრებს, ჩემს ნათქვამზე დაიწყებს ხარხარს“.

თუ პანტალონი ყველაფერს დასცინის, რასაც კი უცხო  
 ქვეყანაში ხედავს. ტარტალია უბრალო ხასიათის ადამიანია  
 და იგი აღშფოთებულია პრინცის გიჟური თავგანწირვით; მაგ-  
 რამ თავის გრძნობას დაცინვით კი არ გამოხატავს, არამედ გუ-  
 ლის ამაჩუყებელი სიტყვებითა და ცრემლებით. იგი შეყვარე-  
 ბულ პრინცს მიუთითებს იმ საშიშროებაზე, რაც მას ელის:

..ეს რა წყეული ურჩობაა, რა სიბრმავეა!  
 აქ კაცლებით არ თამაშობენ, ბატონო ჩემო,  
 არცთუ წაბლითა... არა. ზაქმე აქ თავს ეხება...  
 საქმე სიცოცხლეს შეეხება... დაფიქრდით კარგად!  
 სხვა საბუთები არ მჭირდება აქ, ერთის გარდა,  
 და ეს საბუთი თავი გახლავთ, თვით თქვენი თავი.  
 ..ქვეყანაზე რომ საჩინეთის პრინცესას გარდა  
 არაფერ იქონს სხვა ასული, კაბუკო პრინცო,  
 თქვენს მოქმედებას სიგიჟედ არ ჩავთვლიდი მაშინ.  
 ღმერთმა ხომ იცის, ასეთ რამეს თქვენს მომართ მხოლოდ  
 სიყვარული და სიბრალეული მალაპარაკებს.  
 იცით, რას ნიშნავს, უფლისწულო, თავის დაქარგვა?“

დანარჩენი ორი ზემოხსენებული გმირი — ტრუფალდინი და ბრიგელაც შილერს უფრო მეტი ცხოვრებისეული სიმართლითა აქვს დახატული, ვიდრე გოცის. რომელსაც ისინი უფრო კარიკატურულად ჰყავს წარმოდგენილი.

პიესის მთავარი გმირი ტურანდოტია და შილერმაც უფრო მეტი ყურადღება მას დაუთმო. გოცის მიხედვით, ჩინეთის იმპერატორის ასული, რომელიც განთქმულია თავისი სილამაზითა და სიბრძნით, ზიზლით უარჰყოფს ყველა საქმროს და ყოველგვარი ქორწინება თავის დამცირებად მიაჩნია; მაგრამ იტალიელ დრამატურგს დასაბუთებული არა აქვს, თუ რატომ მოქმედებს ასე ტურანდოტი. შილერმა კი მის საქციელს შესაფერი არგუმენტაცია გამოუძებნა და ამ საქმეში მეტი სინათლე და დამაჯერებლობა შეიტანა; შილერის თარგმანში იგი მამაკაცთაგან დამცირებულ და შევიწროებულ ქალთა უფლებების დამცველად გვევლინება:

-ქერ კიდევ დროა,

ხელმწიფის შვილ! უარჰყავთ განზრახვა თქვენს  
და გაქექით, განერიდეთ ჩვენს დოჯნხანას!  
ღმერთმა ხომ იცის, რომ ტყუილად ხმას მივრცელებენ,  
თითქოს გულქვა ვარ და სასტიკი. ო, სრულებითაც  
არა ვარ გულქვა, მე მსურს მხოლოდ თავისუფლება;  
არა. არ მანდა სხვისი მონა-მორჩილი ვქნე;  
არ მსურს დაუთმო ვინმეს იგი წმინდა უფლება,  
რაც თვით გლახათაც დაჰყოლიათ დედს მუცლიდან;  
ნუთუ არ ძალმიძს მისი დაცვა ხელმწიფის ასულს?  
მთელს აზიაში დამდაბლებულს, დაბეჩავებულს  
ვხედავ ყველა ქალს, შური უნდა ვიძიო მათთვის  
ამ მეტისშეტად ამაყ, ზვიად მამაკაცებზე,  
ნაზ არსებებთან მხოლოდ ძალთ რომ მოაქვთ თავი.  
დედა ბუნებამ მე მიბოძა მახვილი ჰყუა,  
რათა დავიცვა მათგან ჩემი თავისუფლება.  
— სულაც არა მსურს, რომ ვაცნობდე ვინმე მამაკაცს,  
მძულს ის სასტიკად, მეზიზღება მისი ამაყი,  
ზვიადი ქცევა, ქვეყანაზე ყველა ძვირფასი  
ქმნილები-საკენ გაწვდარი აქვს მას ხარბი ხელი.  
ყველაფერი სურს, რაც კი ოდნავ მოუჯა თვალში.  
ჰკუთსთან ერთად ბუნებამ მე სილამაზითაც  
დამაჩილოვა. ყველაფერი საუკეთესო  
რად უნდა გახდეს მამაკაცთა სურვილის მსხვერპლი,

მანინ როდესაც უმნიშვნელო მსუიდად სტოვებენ?  
რად უნდა გახდეს სილაქაზე ნადავლი ერთი ს<sup>9</sup>  
თავსუვალი არის ივი. ვით ბრწყინვალე მზე.  
კიდან რომ დაჯეკერს დიდებულად და ერთნაირად  
გვაფრქვევს თავის სხივთ, როგორც მონას, ისე მბრძანებელს“.

ასე მიმართავს იგი კალაფს, რომელიც მის ხელს ეძიებს,  
და ანგვარი მსჯელობით შილერი ზღაპრულ პრინციესას უფრო  
ადამიანურ სახეს აძლევს, რითაც მან გოცის ზღაპარში მეტი  
ფსიქოლოგიური დრამატიზმი შეიტანა. ამასთან, მისი კალაფ-  
თან შერიგების: ამბავი შილერს უფრო დასაბუთებული აქვს.  
(ტურანდოტი ნებდება კალაფს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ,  
რომ კალაფმა პირველმა აღიარა მისი თავისუფლება).

ცვლილებები შეიტანა შილერმა დანარჩენ გმირთა ხასია-  
თებშიც, რითაც მათ უფრო მეტი დამაჯერებლობა და ფსიქო-  
ლოგიური დასაბუთება მისცა.

შილერმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია პიესაში გამოყე-  
ნებულ გამოცანებსაც. გოცის გამოცანები მან ძალზე ადვილად  
აშოსასხნელ, უბრალო გამოცანებად მიიჩნია, რაც მისი აზრით,  
სიბრძნით განთქმული პრინციესას რეპუტაციას ლახავდა. ამი-  
ტომ მან იტალიელი ავტორის გამოცანებიდან დატოვა მხო-  
ლოდ ერთი (პირველი გამოცანა, ისიც საფუძვლიანად გადაა-  
წეშავა). ორი დანარჩენი კი თვითონ შეთხზა.

ასეთია, მოკლედ, ის ცვლილებები, რომლებიც შილერმა  
შეიტანა გოცის პიესაში, რითაც გერმანულ თარგმანში ის უფ-  
რო მაღალმხატვრულ სიმაღლეზე აიყვანა და მას გერმანულად  
დაწერილი ორიგინალური ქმნილების სახე მისცა.

დასასრულ საყურადღებოა, რომ პიესაში მოხსენებულია  
თბილისის მეფე (ხანი), რომელიც უღმობელ ტირანად იწოდე-  
ბა. ნას ვითომ ასტრახანის ხანი გაუდევნია თავისი სამეფოდან.  
ეს, რა თქმა უნდა, ისტორიული ანაქრონიზმია, მაგრამ პიესა  
ხომ ზღაპარია და ზღაპარში ასეთი რამ დასაშვებია.

გერმანულ თარგმანში ხშირად ერთმანეთს სცვლიან ერთი  
და იგივე ცნებისა და ტიტულის გამომხატველი სახელები და  
ჩვენც, როგორც გერმანულ ვარიანტში იყო, ისე დავტოვეთ  
(მაგ. მეფე, ხანი, დიდი ყაენი და იმპერატორი, უფლისწული,

პრინცი. თავადიშვილი და სხვ მისთ.). ზოგჯერ გნირები. რომლებიც ერთმანეთს „თქვენობით“ ზიმართავენ „შენ“ ფორმაზეც გადადიან, რაც გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტებიდან გამომდინარეობს.

ქართულად „ტურანდოტი“ ითარგმნა 1955 წელს, შილერის გარდაცვალებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით და სეზონსენებული თარიღის აღსანიშნავად ამავე წელს დაიდგა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე (რეჟისორი ს. კელიძე); წელს კი იგი ხელახლა გადავამუშავე და წინააღმდეგობა სახით ვუდგენ ახალგაზრდა ქართველ მკითხველს.

**ვახტანგ ბენუკელი**

Фр. Шиллер

ТУРАНДОТ

Принцесса китайская

(На грузинском языке)

Худож. Г. Поцхишвили

Министерство Просвещения ГССР

Детиздат

Тбилиси

1957

რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

მხატვარი რედაქტორი გ. დიკი

ტექნორედაქტორი შ. ლოლობერიძე

კორექტორი მ. ამაშუკელი

გამომშვები მ. ლაშქარეიშვილი

გადაეცა წარმოებას 1/IX-57 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 19/IX-57 წ. ნაბეჭდ ფორ. რაოდენ-  
ობა 9, სააღრიცხვო ფორ. რაოდენობა 4,6  
ანაწყოების ზომა 5,5×9, ქალაქის ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>

ფასი 5 მანეთი

შეკვ. № 1158

ტირაჟი 7000

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი  
Типография Грузмедгиза, Тбилиси, Медгородок